გამოიყვანს თუ არა გუბერნატორი გურიას სიბნელიდან A2

ენერგოსექტორის მონიტორინგი A8

ტერორიზმი B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 18 ოქტომბერი, 2004 წელი. №247 (796)

ფასი 50 თეთრი


### პოლიტიკა

ურემი გადაბრუნდა და მაჟორიტარები გზის სანახავად გამოჩნდნენ



ვალერი გელბახიანი მევენახეებს მათი პრობლემების პატიოსნად განხილვას დაჰპირდა, ვანო ჩხარტიშვილს კი გლეხებმა კრედიტები სთხოვეს.

A2

### ეკონომიკა

ქვეყანაში შემოტანილი საიუველირო ნაწარმის თითქმის ნახევარი აღურიცხავია

A4

### საზოგადოება

საქაერონავიგაციაში დივერსიაზე საუბრობენ



სახელმწიფო საწარმო “საქაერონავიგაცია” სკანდალურ ინფორმაციას ავრცელებს. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გიორგი კარბელაშვილი დივერსიაზე საუბრობს.

A6

### სამართალი

საეჭვოდ დაკავებული სარდალი საპყრობილეს საეჭვოდ დაემშვიდობა

A7


იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი “24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

### ამინდი

| | 17/10 | 18/10 |
|---|---|---|
| თბილისი | 22 | 23 |
| ქუთაისი | 27 | 27 |
| ბათუმი | 27 | 27 |
| სოხუმი | 25 | 23 |
| ფოთი | 27 | 27 |
| თელავი | 21 | 23 |
| ზუგდიდი | 27 | 27 |
| გორი | 20 | 21 |
| ახმეტა | 21 | 23 |
| ჭიათურა | 23 | 24 |
| გაგრა | 24 | 22 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8350 |
| ევრო | 2.2732 |
| გირვანქა სტერლ. | 3.2971 |
| რუბლი | 0.0630 |

# როგორ დავამთავროთ რევოლუცია

გია ნოდია

სამხრეთ ოსეთის მოვლენები გარდატეხის მომენტი იყო საქართველოს პოსტრევოლუციურ ისტორიაში. ეს იყო ახალი ხელისუფლების პირველი სერიოზული წარუმატებლობა. იქვე დამთავრდა მისი და საზოგადოების საკმაოდ გაგრძელებული თაფლობის თვეც.

დღეს ხელისუფლების რეიტინგი აშკარად ის აღარ არის, რაც რამდენიმე თვის წინ იყო. მისით უკმაყოფილების ხმები სულ უფრო ხშირად ისმის, მაგრამ პირველ განწბილებას ვერ უპოვია კონკრეტული პოლიტიკური პროგრამის სახე: ეს უფრო ზოგადი გაღიზიანებაა ვერგამართლებული მოლოდინების გამო. ხელისუფლებით ბევრია უკმაყოფილო, მაგრამ თუ იკითხავ, კონკრეტულად რა უნდა გააკეთოს მან სხვაგვარად, ამაზე უამრავ სხვადასხვა, ხშირად ურთიერთდაპირისპირებულ აზრს გაიგონებ.

პოლიტიკოსთა თუ პოლიტიკასთან დაახლოებულთა წრეებში ყველაზე ხშირად ამბობენ იმას, რომ ხელისუფლებას არა აქვს ერთიანი გეგმა, რომ ის იმპროვიზებულად, ქაოტურად და არათანამიმდევრულად მოქმედებს. მეორე მხრივ, სულ უფრო ხშირად ისმის კრიტიკა ავტორიტარიზმისა და ადამიანის უფლებათა გახშირებული დარღვევების გამო. ის ადამიანები, ვინც "ვარდების რევოლუციას" მხარი არ დაუჭირა, ამ ბრალდებებს ედუარდ შევარდნაძის გადადგომიდან რამდენიმე დღეში აყენებდნენ, მაგრამ დღეს ამაზე რევოლუციის აქტიური მონაწილეებიც ფართოდ საუბრობენ. სულ ბოლო ხანებში, იმ ფაქტს, რომ წამების შემთხვევები ჩვენს საპყრობილეებში კი არ შემცირდა, არამედ გაიზარდა, სახელისუფლებო წრეებიც აღიარებენ.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ რაღაცა თუ არ შეიცვალა, ხელისუფლება შეიძლება კრიზისის წინაშე აღმოჩნდეს. მაგრამ რა უნდა შეიცვალოს?

გაგრძელება A3 გვერდზე

# აშშ-ს პრეზიდენტის წარმომადგენელი აფხაზეთის ახალ მთავრობას ეცნობა



სტივენ მანი ირაკლი ალასანიასთან შესახვედრად მიეშურება.

ვახო ბესელიას ფოტო

გუშინ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ალასანია აშშ-ს სპეციალურ წარმომადგენელს კონფლიქტების საკითხებში სტივენ მანს შეხვდა. დახურულ კარს მიღმა გამართულ ერთსაათიან შეხვედრაზე საუბარი, ძირითადად, აფხაზეთის პრობლემატიკაზე მიმდინარეობდა. თავად ალასანიას თქმით, ჟურნალისტებისთვის “დახურული” ინფორმაციის გარდა, განიხილეს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში საქართველოს მეგობარი ქვეყნების უფრო აქტიურად ჩართვის საკითხები და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის თვალსაზრისით არსებული პრობლემატიკა. ალსანიას თქმით, მანი საქმის კურსში გახლდათ, თუმცა, ქართულმა მხარემ მას კიდევ უფრო სრული ინფორმაცია მიაწოდა. აშშ-ს პრეზიდენტის წარმომადგენლის თქმით, **„ეს გაცნობითი ხასიათის შეხვედრა თბილ ატმოსფეროში მიმდინარეობდა და მას კიდევ ერთხელ მიეცა შესაძლებლობა, დაედასტურებინა აშშ-ს მთავრობის მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი.“** მიუხედავად იმისა, რომ მანი ამავე დროს აშშ-ს პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელია კასპიის აუზის ნავთობის უსაფრთხო ტრანსპორტირების საკითხებში, ალასანიასთან შეხვედრისას მას ნავთობისა და გაზის თემაზე არ უსაუბრია.

*24 საათი*

# მის აღმატებულებას, საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს

ბატონო პრეზიდენტო!

2003 წლის ოქტომბერ-ნოემბრის მოვლენებიდან სადაცაა, ერთი წელი შესრულდება. “ვარდების რევოლუციის” წლისთავი, თავისთავად, იძლევა საბაბს, გავაანალიზოთ ქვეყანაში მიმდინარე პროცესები, ვისაუბროთ ხელისუფლების მიღწევებსა თუ მის მიერ დაშვებულ შეცდომებზე.

1990 წლის შემდეგ ქართულ საზოგადოებას კიდევ ერთხელ აქვს თავისუფალ მოქალაქეთა ერთობად ჩამოყალიბების უნიკალური შანსი. უკანასკნელი წლების მანძილზე პირველად, საქართველოს ჰყავს ხელისუფლება, რომელიც საზოგადოების დიდი ნაწილის მხარდაჭერით სარგებლობს. ამავე დროს, ქვეყნის მთავრობაცა და პარლამენტიც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებზე სერიოზული გავლენის მქონე, ორგანიზებული პოლიტიკური ოპოზიციის არარსებობის პირობებში ფუნქციონირებს. ასეთ ვითარებაში პრეზიდენტს, აღმასრულებელ ხელისუფლებასა და მმართველ პარტიას კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებათ დემოკრატიული ქვეყნის უმთავრესი ატრიბუტების – სიტყვის თავისუფლებისა და პოლიტიკური პლურალიზმის უზრუნველყოფის საქმეში.

სამწუხაროდ, საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში განვითარებული შემაშფოთებელი პროცესები გვაიძულებს, მოგმართოთ თქვენ, როგორც ქვეყნის პრეზიდენტსა და მმართველი პარტიის უპირობო ლიდერს. ქართულ პოლიტიკაში და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში (ბიზნესი, განათლება, მეცნიერება, კულტურა, სპორტი და ა.შ.) ინერგება შეუწყნარებლობა განსხვავებული აზრის მქონე პირთა მიმართ. მმართველი პარტიის ლიდერთა თუ მათ სამსახურში მყოფ ჩინოვნიკთა ლექსიკაში სულ უფრო მზარდ ადგილს იკავებს გასული საუკუნის 80-იან წლებში, ქართული დემოკრატიის გარიჟრაჟზე დამკვიდრებული და თითქმის უკვე მივიწყებული იარლიყები: “სახელმწიფოს მტერი”, “მოღალატე”, “მეხუთე კოლონა” და ა.შ. ამის ნათელ მაგალითად სულ ცოტა ხნის წინ პარლამენტში გამართული პოლიტიკური დებატებიც გამოდგება. სენმა, რომელმაც თხუთმეტიოდე წლის წინათ გახლიჩა და სამოქალაქო ომამდე მიიყვანა ქართული საზოგადოება, თითქოს კვლავ იჩინა თავი. განსაკუთრებით გვაშფოთებს ის ფაქტი, რომ ბოლო პერიოდში თქვენს საჯარო გამოსვლებშიც სულ უფრო მატულობს ოპონენტთა დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი ფორმებით მოხსენიების ფაქტები.

ბატონო პრეზიდენტო!

სახიფათოა ილუზია, თითქოს განსხვავებული აზრის მქონე პირებზე ზემოქმედების ასეთი ფორმებით, ხელისუფლება მოახერხებს საზოგადოების კონსოლიდირებას ქვეყანაში აუცილებელი რეფორმების მაქსიმალურად სწრაფად გატარების მიზნით. ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოში ინტელექტუალური დიქტატისა და ერთაზროვნების დამკვიდრების მცდელობას ქვეყანა არა დაჩქარებულ რეფორმებამდე, არამედ ავტორიტარულ მმართველობამდე და სტაგნაციამდე მიჰყავს. ალტერნატიული აზრის გამოხატვის და დისკუსიის უფლება არა მხოლოდ სახელმწიფოს სტაბილური, დემოკრატიული განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ქვაკუთხედია, არამედ ხშირად იცავს თავად ხელისუფლებას ნაჩქარევი და მოუმზადებელი გადაწყვეტილებების მიღებისაგან. საქართველოში არსებული უამარვი პოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის ფონზე რეალურია საფრთხე, რომ ხელისუფლების მხრიდან დისკუსიის აგრესიული, პიროვნული ღირსების შეურაცხმყოფელი ფორმების დანერგვამ და მოქალაქეთა ფუნდამენტური უფლებების იგნორირებამ, საზოგადოების კონსოლიდაცია კი არა, პოლიტიკური ოპონირების მძაფრ პიროვნულ დაპირისპირებაში გადაზრდა გამოიწვიოს. ქართული სახელმწიფოს მოწინააღმდეგეები ამ ფაქტორის გამოყენებას ყოველთვის წარმატებით ახერხებდნენ, რისი მაგალითებიც ჩვენს უახლეს ისტორიაშიც მრავლად მოიძებნება.

ბატონო მიხეილ!

თქვენ, როგორც ქვეყნის პრეზიდენტსა და მმართველი პარტიის ერთპიროვნულ ლიდერს, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა გეკისრებათ სახელმწიფოში ნორმალური პოლიტიკური კლიმატის ჩამოყალიბებაზე. საზოგადოების გახლეჩა-დაპირისპირებას საქართველოსთვის კატასტროფული შედეგები შეიძლება მოჰყვეს. მოგიწოდებთ, რომ გამოიყენოთ თქვენ ხელთ არსებული ყველა საშუალება და საქართველოს თავიდან აცილოთ მოვლენათა არასასურველი გზით განვითარების პერსპექტივა.

პატივისცემით,

**პაატა ზაქარეიშვილი**
**ირაკლი მელაშვილი**
**გია ნოდია**
**ნიკო ორველაშვილი**
**ლაშა ტუღუში**
**დავით უსუფაშვილი**
**ზვიად ქორიძე**
**დევი ხეჩინაშვილი**
**ვახტანგ ხმალაძე**
**ქეთევან ხუციშვილი**
**ირაკლი შავიშვილი**
**ნიკოლოზ შენგელაია**
**მიხეილ ჩაჩხუნაშვილი**
**თამარ ჩიქოვანი**

A2 ამბები A3 თვალსაზრისი A4 ეკონომიკა A5 რეკლამა A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 მონიტორინგი

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 ტერორიზმი B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

## მიხეილ სააკაშვილი: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის განხორციელებით ოცნებების ასრულების მნიშვნელოვანი ეტაპი იწყება

საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვარზე, ჯანდარის დასახლებასთან 16 ოქტომბერს ე.წ. "ოქროს შეერთების" - ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის შედუღების - ცერემონია გაიმართა. ამ მილსადენის მშენებლობა, რომელიც 2002 წელს დაიწყო, საქართველოს მთავრობის პრიორიტეტად რჩება. ცერემონიას საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობების, ასევე "ბრითიშ პეტროლიუმის" წარმომადგენლები და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი ესწრებოდნენ. თითოეული მათგანი აღნიშნავდა, რომ ამ მონაკვეთის შედუღებით პროექტის უმთავრესი ნაწილი დასრულებულია და უკვე მომავალი წლის ზაფხულში ახალი საბადოდან პირველი ნავთობის მიღებაა დაგეგმილი. ცერემონიაზე სიტყვა საქართველოს პრეზიდენტმა წარმოთქვა.

მან განაცხადა, რომ პროექტის განხორციელებით ოცნებების ასრულების მნიშვნელოვანი ეტაპი იწყება. თუმცა აღნიშნა ისიც, რომ რამდენიმე წლის წინათ პროექტის განხორციელების ხელშემშლელი პირობა ბევრი იყო, მაგრამ დღევანდელი ცერემონია, პრაქტიკულად, ნავთობსადენის მშენებლობის დამთავრების მაუწყებელია. მიხეილ სააკაშვილის თქმით, საქართველოსა და აზერბაიჯანს ბევრი საერთო აქვთ და მილსადენი კიდევ ერთი დამაკავშირებელი რგოლია.

**"წინა ხელისუფლება ხალხს ჰპირდებოდა, რომ ნავთობსადენის ამოქმედების შემდეგ საქართველოში სოციალური პრობლემები ერთბაშად გადაიჭრებოდა. ეს სიმართლეს არ შეესაბამება. თუმცა პროექტის განხორციელება, უდავოდ იმის მაჩვენებელია, რომ საქართველო სწორ გზას დაადგა,"** - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა. მან "ბრითიშ პეტროლიუმთან" ახლახან გამართულ მოლაპარაკებაზე გაამახვილა ყურადღება და თქვა, რომ ამ მოლაპარაკების შედეგად საქართველომ ნავთობსადენის უსაფრთხოების დამატებითი გარანტიები, ასევე დამატებითი 60 მილიონი ამერიკული დოლარის მიღება შეძლო, რაც ნავთობსადენის მიმდებარე ტერიტორიების ინფრასტრუქტურის განვითარების საშუალებას იძლევა.

**"მთავარია, რომ თითოეულმა მოქალაქემ იგრძნოს, თუ როგორ მივდივართ წინ. უნდა იგრძნოს, რომ ყოველდღიურად ხდება კონკრეტული საკითხების უკეთესობისაკენ შემობრუნება და სახელმწიფოებრიობის კონსოლიდაცია,** - ხაზგასმით აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა, - **ისე, როგორც ჩვენს ქვეყნებს, მე და ილჰამ ალიევსაც ბევრი რამ გვაერთიანებს, მათ შორის მომავლის საერთო ხედვა და ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების განუზომელი, თავგანწირული სიყვარული."**

**"დღეს უდავოდ ისტორიული დღეა და აღსანიშნავია, რომ უდიდესი ნავთობსადენის მილსადენი მოძმე ქვეყნების საზღვარზე ერთიანდება,** - განაცხადა თავის გამოსვლაში აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა. - **ამ პროექტის განხორციელების შესაძლებლობა ზოგს მითი ეგონა, თუმცა ეს მითი ასრულდა."**

ილჰამ ალიევმა აღნიშნა, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი უმნიშვნელოვანესია, როგორც აზერბაიჯანისათვის, ასევე საქართველოსთვის: **"მან ჩვენს ქვეყნებს დიდი შემოსავალი უნდა მოუტანოს და ეკონომიკის აღორძინება უნდა უზრუნველყოს... ამ პროექტის განხორციელება რეგიონში არსებული სხვა პრობლემების მოგვარებასაც შეუწყობს ხელს."**

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ყურადღება გაამახვილა ორი მეზობელი ქვეყნის მეგობრობისა და თანამშრომლობის პოზიტიურ მხარეებზე და აღნიშნა, რომ ორივე ქვეყნის მომავლისათვის ამ ურთიერთობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. მისივე თქმით, მეზობელ ქვეყნებში, ახალი ხელისუფლების პირობებში, ძალისხმევა არც ერთმა მხარემ არ უნდა დაიშუროს, რათა ეს კეთილგანწყობილი ურთიერთობა ყველა სფეროში აისახოს.

*საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური*

## ფოთის წყალგამანაწილებელი კვანძი ბედის გამოცდას უძლებს

შესაბამისი სტრუქტურებისა და ექსპერტთა დასკვნების შემდეგ ატეხილი ხმაურიდან მხოლოდ მერვე წელიწადს, მსოფლიო ბანკის გრძელვადიანი სესხითა და კაშხლების უსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში, დაიწყო ფოთის შემოსასვლელში მდებარე წყალგამანაწილებელი კვანძის სარეაბილიტაციო სამუშაოები. კვანძს არა მარტო წყალდიდობის რეგულირებისა და ზღვის სანაპირო ზოლის ეროზიის შემცირებისათვის საჭირო ჩანატანის გადაადგილების ფუნქცია აქვს, არამედ ის არის თბილისი-ფოთის სატრანსპორტო მაგისტრალის უმოკლესი მონაკვეთი.

გურამ ქანდარია, ფოთიქალაქპროექტის დირექტორი: **"წყალგამანაწილებელი კვანძი 1960 წელს შევიდა ექსპლუატაციაში. იგი მოსკოვის წყალპროექტის საკავშირო გაერთიანების პროექტით აიგო. ობიექტს ანალოგი არ გააჩნია იმ თვალსაზრისით, რომ რთულ გრუნტზეა განთავსებული. ორი ჰექტარი წყალქვეშა ტერიტორია, ფაქტობრივად, ლამი და ტორფია. ექსპლუატაციის ვადად 50 წელიწადი განისაზღვრა, მაგრამ ეს დრო თავისთავად გულისხმობდა ბურჯების პერიოდულ გამაგრებასა და სხვა ტიპის სარემონტო სამუშაოების ჩატარებას".**

სარემონტო სამუშაოები არა, მაგრამ წყალგამანაწილებელი კვანძის შესწავლა და მდგომარეობის შემოწმება ყოველწლიურად ხდებოდა, როცა სათანადო ფინანსები იყო. დეფორმირების პირველი ნიშნები 1998 წელს დაფიქსირდა. მაშინ დაზიანებული ბურჯების აღსადგენად მხოლოდ 45 ათასი ლარი იყო საჭირო. თანხა ვერც ადგილობრივი და ვერც ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ევრ გამოინახა. კვანძს რომ სასწრაფო შველა სჭირდება, ეს აქსიომაა, საოცარია, ამდენი წელი როგორ გადავურჩეთ კატასტროფას".

როგორც სპეციალისტები ამბობენ, სარეაბილიტაციო სამუშაოთა წარმოება სრულიად ახალი, უანალოგო მეთოდით ხდება. ეს პირველი ეტაპია და კაშხლის დეფორმირების პროცესს ორი-სამი წლით შეაჩერებს. შემდეგ უფრო გლობალური ღონისძიებების გატარება უნდა დადგეს დღის წესრიგში. თუ კი დროებითი რეაბილიტაციის დაწყებას რვა წელიწადი მოუნდა, ხსენებული გლობალური პროექტისთვის რამდენი დრო გახდება საჭირო, არავინ იცის.

ისედაც ყოფითი პრობლემებით გადაღლილ მოსახლეობას კი, რადგან იცის, რომ პანიკითა და შიშით ვერაფერს შეცვლის, მასშტაბურ სატკივარზე მეტად ყოველდღიური აწუხებს, ანუ ის, დაეკეტება თუ არა აღმოსავლეთიდან ფოთში შემოსასვლელი და ქალაქიდან გასასვლელი ერთადერთი გზა.

არაოფიციალური ინფორმაციით, ფოთში შემოსასვლელი გზის ალტერნატივა ვერ გამოინახა (გარდა სამტრედია-ლანჩხუთის მონაკვეთისა, რომელიც გზას რამდენიმე ათეული კილომეტრით აგრძელებს). იყო საუბარი რკინიგზის ხიდზე ავტომობილების მოძრაობის დროებით დაშვებაზე, რაც რკინიგზის დეპარტამენტის მიერ, თავად ამ ხიდის დაზიანებისა და არასაიმედოობის მოტივით გამოირიცხა.

მთავრობაც და მშენებლებიც, როგორც ეტყობათ, ბედის იმედად არიან.

*ქეთინო ჯაკობია*
*ფოთიდან*

## პლებისციტი კვლავ აქტუალურია

პოლიტიკური ორგანიზაცია "ეროვნულ ძალთა გაერთიანების" ლიდერები აცხადებენ, რომ აჭარაში 120 ათასი ამომრჩევლიდან 70 ათასი თანახმაა, რომ რეგიონის სტატუსთან დაკავშირებით გაიმართოს საერთო-სახალხო გამოკითხვა, პლებისციტი. ამასთან დაკავშირებით "ეროვნულ ძალთა გაერთიანების" ლიდერებმა, პარლამენტარებმა კობა დავითაშვილმა, ზვიად ძიძიგურმა და კახა კუკავამ აჭარაში პლებისციტის დანიშვნის მოთხოვნით, პრეზიდენტის ადმინისტრაციას გადასცეს 70 ათასი ხელმოწერა, რომელზეც პრეზიდენტმა ერთი თვის ვადაში პასუხი უნდა გასცეს.

*მედია-ნიუსი*

## ურემი გადაბრუნდა და მაჟორიტარები გზის სანახავად გამოჩნდნენ



*ვალერი გელბახიანი მევენახეებს მათი პრობლემების პატიოსნად განხილვას დაჰპირდა, ვანო ჩხარტიშვილს კი გლეხებმა კრედიტები სთხოვეს.*

*როგორც ძველ ხელისუფალთ სჩვეოდათ, ამჯერადაც "ვარდების მთავრობამ" კახელ მეზვრეზე ფიქრი იმ დროს დაიწყო, როცა ურემი უკვე გადაბრუნდა. "რიღასთვის ჩამოხვედით, რთველი უკვე გაუბარაქოვდა... ეხ, მთავრობის შენახული ხალხი ვის უნახავს?" - ამ მწარე რეალობის მოსმენა უწევდა გურჯაანის რაიონში ჩასულ თხუთმეტამდე დეპუტატს. ამ ვიზიტის ინიციატორი გურჯაანელების რჩეული და "მონატრებული" დეპუტატი ნიკოლოზ კვეზერელი იყო.*

ზვიად რუაძე
კახეთიდან

იმ დროს, როდესაც აქურ გლეხს მოსავლის დაბინავება ძალზე გაუჭირდა, ისინი მთავრობამ ღვთის ანაბარა დატოვა. რომ არა პიკეტები და აქციები, ისედაც დაზიანებული ყურძენი დაუბინავებელი დარჩებოდა, მაგრამ გლეხი "გაღებული მოწყალებით" მაინც უკმაყოფილოა, რადგან ქარხნებს მათთვის ვალი სრულად ჯერ კიდევ არ გაუსტუმრებიათ. მიუხედავად ამისა, ძველი ხელისუფლების მსგავსად, "ვარდების მთავრობა" დაზარალებულ გალეხობას მაინც ოპტიმიზმისკენ მოუწოდებს.

დაგვიანებული რთველის გამო კი, საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებმა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბრალი იმ დროს დასდეს, როც ურემი უკვე გადაბრუნდა. დეპუტატებს იმის აღიარება არ სურთ, რომ, სამინისტროს მსგავსად, სოფლის მიმართ უყურადღებობა პარლამენტმაც დაგვიანებით გამოიჩინა. გურჯაანში გამართულ მაჟორიტართა ფრაქციის გასვლით სხდომაზე მთავრობის კრიტიკა მოსახლეობამ გულგრილად მიიღო. როგორც კახელი მევენახეები ამბობენ, ისინი ერთხელ უკვე მოტყუვდნენ და მათი კვლავ გაცუცურაკება შეუძლებელია.

**"კომუნისტების დროს რთველს სექტემბრის დასაწყისში ვიწყებდით, თუ გადასცდებოდა, განგაშს ავტეხდით და ვინც მოსავლის აღებას გვიჭიანურებდა, სამშობლოს მოღალატედ ვაცხადებდით. ეხლა კიდევ რთვლის დროულად დაწყებაში ხელს ხან ღვინის ქარხნები გვიშლიან, ხან მთავრობა. ამას აქური კაცი უკვე აღარ გაპატიებთ, რადგან კახეთი გამწარებულია,"** - ამბობს სოფელ ძირკოკის საკრებულოს თავმჯდომარე ბორის ფენაშვილი და მთავრობას გონიერებისკენ მოუწოდებს.

რთველი, ასე თუ ისე, თითქმის დასრულდა. ამჯერად, აქაური გლეხკაცობისთვის პრობლემას უკვე სასოფლო სამეურნეო მიწების დამუშავება წარმოადგენს, რადგან დიზელის საწვავი გაძვირდა. **"ბატონო ვანო, თქვენზე ამბობენ ფულებთან აქვს საქმეო, ხო და იქნებ ჩვენც გვიშველოთ. ამ გაცოდვილებულ ხალხს რაიმე შეღავათიანი კრედიტები მოუძებნოთ, მიწასაც დაამუშავებენ და ხორბალსაც დათესენ,"** - განუცხადეს ვანო ჩხარტიშვილს სოფლის თავკაცებმა. ამასთან მათ პარლამენტარებს კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა სთხოვეს, რათა თვითმმართველობებზე მეტი უფლებების დელეგირება რეალობად იქცეს. უსახსრობის გამო კი, საკრებულოს თავმჯდომარეებს სოფელში არსებული არანაირი პრობლემის მოგვარების შესაძლებლობა არა აქვთ.

აი ამ მეტად მწარე რაელობის მოსმენა უწევდათ მაჟორიტარ პარლამენტარებს კახეთში სტუმრობისას, თუმცა ისინი სოფლის თავკაცებს გულს იმით უმაგრებდნენ, რომ ყველა საკითხი, რომელიც სხდომაზე წამოიჭრა, პარლამენტის განხილვის საგანი გახდება. ამის კი ნაკლებად სჯერათ კახელებს.

დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის წევრი ვალერი გელბახიანი მიიჩნევს, რომ იგი გაყალბებით და ფალსიფიკაციით მოსული დეპუტატი არ არის და ხალხის მოტყუებას არ აპირებს: **"ეს შეხვედრა დაგვიანებული სულაც არ არის. ჩვენ კახეთში იმიტომ ჩამოვედით, რომ გავიგოთ, რეალურად რა ვითარებაა. თუ ეს ამბები ტრიბუნიდან ვილაცამ არ გააჟღერა, აღქმადი არ იქნება,"** - ამბობს ვალერი გელბახიანი.

ფრაქცია მაჟორიტარების გასვლითი სხდომა კი კახელებმა ასე აღიქვეს: **"აგე, პრეზიდენტი დეემუქრათ, თუ ერთი წლის თავზე ანგარიშს არ ჩამაბარებთ, სავარძლებს დეემშვიდობეთო... მაგათაც სკამები ესე გაამყარეს."**

*თემის გაგრძელება A4 გვ.*

## გამოიყვანს თუ არა გუბერნატორი გურიას სიბნელიდან

საქართველოს ენერგოკომპანიის სადისტრიბუციო ქსელის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ 3-პროცენტიანი გადახდის მაჩვენებელი, რომელიც გურიის რაიონებს გააჩნიათ, ერთობ მცირეა და გურიას ელექტროენერგიის მიწოდება საერთოდ უნდა შეუწყდეს, თუმცა ეს ორგანიზაცია დიდად ხელგაშლილი არც ადრე ყოფილა. მთლად ბნელსა და უკუნეთში დარჩენილი ოზურგეთის მისახლეობა პერმანენტულ აქციებს აწყობს, უკმაყოფილებამ პიკს მიღწია. გურიის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის ჟანი კალანდაძისა და ქსელის წარმომადგენლების შეხვედრის შემდეგ, ეს უკანასკნელნი გარკვეულ დათმობაზე წავიდნენ და ორი დღეა, მდგომარეობა ოდნავ გამოსწორდა. ორიოდ საათით ელექტროენერგია ოზურგეთსაც სტუმრობს 3 მეგავატის მოცულობით, რაიონის უზრუნველყოფას კი ამაზე ათგზის მეტი სჭირდება. ამჟამად დენი, ძირითადად, სასიცოცხლო ობიექტებს მიეწოდება. საერთოდ კი ელექტროენერგიასთან დაკავშირებით ერთგვარი ჩიხური სიტუაციაა შექმნილი -მოსახლეობა გადახდისუუნაროა, მაგრამ გადახდისუნარიანიც რომ იყოს, იმედი არ აქვს, რომ დენს მაშინ მიაწვდიან, როცა მას სჭირდება და არა შუაღამით, როცა ერთი პირი მდინარესაც კი სძინავს.

სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის ოზურგეთის ფილიალის უფროსი გია ნაკაიძე შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთ გამოსავალს მოსახლეობის გამრიცხველიანებაში ხედავს. მისი ვარაუდით, 15 ნოემბრიდან დაიწყება სოფლად მცხოვრები მომხმარებლების ინდივიდუალური გამრიცხველიანება. ანალოგიური რამ უნდა განხორციელდეს ქალაქშიც, მაგრამ ეს ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული.

შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით თავისი გეგმა აქვს მხარის ახალ რწმუნებულს ჟანი კალანდაძეს, რომელმაც, როგორც თავად აცხადებს, ბნელი გურია ჩაიბარა და ეს პრობლემა იმდენად მტკივნეული გახლავთ, რომ ერთი შეხედვით უპერსპექტივობის იერს ტოვებდა. დავიწყოთ იმით, რომ ეს ყბადაღებული სამპროცენტიანი ამოღებაც არარეალურია, რადგან არ არსებობს მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ამოღების მექანიზმი. დანერგილი იყო ასეთი პრაქტიკა: ინდივიდუალური მოხმარების მაჩვენებელი არ ვლინდებოდა, საშუალო გადასახადი ხშირად გამოჰყავდათ ფიდერების მიხედვით, ასეთი გაანგარიშება კი მიუღებელია.

ჟანი კალანდაძე აცხადებს, რომ ის ენერგოკომპანიას სთავაზობს მდგომარეობის გამოსწორების პრაქტიკულ და მისაღებ გზას: **"მოსახლეობას ხელაღებით ფულის გადახდას ვერ მოვთხოვთ. სანამ მასიური გამრიცხველიანება დაიწყება, მოსახლეობამ განსაზღვრული მტკიცე გრაფიკით, თუნდაც 2-3 საათით უნდა მიიღოს ელექტროენერგია, თანაც დიფერენცირებულად, გადახდის მაჩვენებლის დონის მიხედვით, 15 ნოემბრამდე კი სერიოზული მუშაობა უნდა ჩატარდეს მოსახლეობის სრულყოფილი ინფორმირებისათვის. მათ მკაფიოდ უნდა უწყოდნენ ყველა ნიუანსი - გამრიცხველიანების შემთხვევაში როგორ მიიღებს ელექტროენერგიას, რამდენს გადაიხდის, რა სანქცია ელის გადაუხდელობისას. ამ საქმეში გამოყენებული იქნება მთელი ადმინისტრაციული რესურსი. მართალია ფუნქციურად მათ ეს არ ეხებათ, მაგრამ პროცესში აქტიურად ჩაერთვებიან ყველა დონის გამგეობათა ხელმძღვანელები, რომლებიც ენერგოკომპანიის მუშაკებთან ერთად ყველა ოჯახს კარდაკარ დაივლიან და მოსახლეობას, რომელსაც ბოლომდე არ აქვს გააზრებული, რომ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური აუცილებლად უნდა გადაიხადოს, ყველაფერს განუმარტავენ. გურიაში დენის პრობლემა უპირველესია და მისი გადაწყვეტის გარეშე ყველაფერზე ლაპარაკი ზედმეტია.**

**სამხარეო ადმინისტრაციასთან ერთად, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება ენერგოკომპანიას. ჩვენ მას ვთავაზობთ წინადადებას, აიღოს კრედიტი, რათა დაეხმაროს, განსაკუთრებით ქალაქის მოსახლეობას, მრიცხველების გარეთ გამოტანაში. თუ ენერგოკომპანიამ ამ საქმეზე რეალურად არ იზრუნა, იძულებული გავხდები, მთავრობის წინაშე დავაყენო საკითხი, გურიის გამანაწილებელი ქსელი გამოეყოს ამ კომპანიას და თავად ვიზრუნოთ მხარის სხვა წყაროებიდან მომარაგებაზე, რადგან გაურკვეველ თეორიებსა და არგუმენტებს ხალხი აღარ მოისმენს. თუმცა ამ რადიკალურ ნაბიჯამდე მზად ვარ, ენერგოკომპანიასთან ბოლომდე ვითანამშრომლო. მე მაქვს პოლიტიკური პასუხისმგებლობა რეგიონში და ანგარიში უნდა გავუწიო მოსახლეობის მოთხოვნებს, მით უფრო - სამართლიანსა და ობიექტურს. ენერგოკომპანია ვალდებულია, რომ როცა მოგებაზე ფიქრობს, ჯერ თავად დახარჯოს ფული. ისინი დაახლოებით ასეთ სიტუაციაში იმყოფებიან - მიხვიდე მაღაზიაში შაქრის საყიდლად; იქ არ დაგხვდეს სასწორი და მიახლოებით გამოგიანგარიშონ შეძენილი პროდუქციის ღირებულება. მაღაზიამ შაქართან ერთად სასწორის შეძენაზეც უნდა იფიქროს. ვფიქრობ, რომ თუ კომპანია პირველად ინვესტირებას მოახდენს, მას თანხების ამოღებაც გაუადვილდება და მიწოდებაც გაუმჯობესდება. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია: გადამხდელს დენი უნდა მიაწოდო. ენერგოკომპანიასთან გვაქვს წინასწარი შეთანხმება, რომ გამრიცხველიანებამდე დღე-ღამეში დენს ორი-სამი საათით მოგვაწვდიან. ამ პირობის დარღვევის შემთხვევაში ძალზე მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდებით".**

დასკვნის სახით ის შეიძლება ითქვას, რომ ენერგოკომპანიისა და სამხარეო ადმინისტრაციის მესვეურებს წინ მძიმე სამუშაო და მოუსვენარი დღეები ელით. ელექტროენერგია შეიძლება მოსახლეობის მღელვარების მიზეზი გახდეს. ხალხი გაძლების ზღვარზეა. გურიაში უკვე იგრძნობა ზამთრისპირის სუსხი. სიცივისა და სიბნელისადმი შემგუებლობა კი აქაურებს ბოლომდე ჯერ კიდევ არ აქვთ გამომუშავებული.

*თამაზ ხარაიშვილი*
*ოზურგეთიდან*

### უცხოეთი

**ჩრდილოეთი კორეა.** იაპონიის მინიტრთა კაბინეტის გენერალური მდივნის ჰიროიუკი ჰოსოდას განცხადებით, ჩრდილოეთმა კორეამ უკვე დაასრულა პლუტონიუმის გამოყენებით ბირთვულ იარაღზე მუშაობა, რომელიც 1945 წელს ნაგასაკიზე ჩამოგდებული ამერიკული ბომბის ანალოგია. მისივე მტკიცებით, ჩრდილოეთი კორეა ამჟამად უკვე ურანის ისეთივე ბომბის წარმოებაზე მუშაობს, როგორიც ჰიროსიმაზე იქნა გამოყენებული. ადგილობრივი პრესის თანახმად, იაპონიის მინისტრთა კაბინეტის გენერალურმა მდივანმა აღნიშნული განცხადება სიმანის პრეფექტურაში ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის რეგიონულ ყრილობაზე გააკეთა და კონკრეტული მტკიცებულებები არ წარმოუდგენია. ფხენიანი ადასტურებს, რომ იგი ფლობს პლუტონიუმის გამოყენებით დამზადებულ ბირთვულ იარაღს, მაგრამ კატეგორიულად უარყოფს აშშ-ს მტკიცებას ჩრდილოეთ კორეაში საიდუმლო ბირთვული პროგრამის შესახებ, სადაც მაღალი ხარისხის გამდიდრებულ ურანს გამოიყენებს. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**ბრაზილია.** კანონი, რომელიც ძალაში გუშინ შევიდა და ნარკოკონტრაბანდის წინააღმდეგ ღონისძიებების გამკაცრებას ეხება ივლისის შუა რიცხვებში იქნა მიღებული. აღნიშნული კანონის თანახმად, ბრაზილიაში ნარკოკონტრაბანდის გადაზიდვაში ყველა ეჭვმიტანილ თვითმფრინავს ჩამოაგდებენ. ქვეყნის ხელისუფლებისთვის ცნობილი გახდა, რომ საიდუმლო ასაფრენ-დასაფრენი ბილიკები, რომლებსაც დამნაშავეები იარაღისა და ნარკოტიკების ბრაზილიის მეზობელ ქვყნებში გადასაზიდად იყენებენ, ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილშია ჩამალული. ბრაზილიის სამხედრო საჰაერო ძალების მონაცემებით, მიმდინარე წელს ამოუცნობი თვითმფრინავების მიერ კანონდარღვევით განხორციელებული რეისების უკვე 3500 ფაქტი იქნა დაფიქსირებული. ახალი კანონის შესაბამისად, თვითმფრინავის ჩამოგდებამდე ბრაზილიის სამხედრო საჰაერო ძალების პილოტები ვალდებულნი არიან რაციის საშუალებით აწარმოონ მოლაპარაკებები, რათა აიძულონ ეჭვმიტანილი თვითმფრინავის პილოტი საავარიო დაშვება განახორციელოს. თუკი მოლაპარაკებებისა თუ გამაფრთხილებელი გასროლების შემდეგ კანონდამრღვევი პილოტი ბრძანებას არ მოიყვანს სისრულეში, სამხედრო საჰაერო ძალების წარმომადგენლებს თვითმფრინავის ჩამოგდების სრული უფლება აქვთ. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**უკრაინა.** უკრაინაში საგარეო დაზვერვის სამსახურის შექმნა ხელი ქვეყნის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ ორი დღის წინ მოაწერა. ახალი უწყების ხელმძღვანელად ოლეგ სინიანსკია დანიშნული. საგარეო დაზვერვის სამსახური ეროვნული ინტერესების დაცვის მექანიზმის სრულყოფისთვის ჩამოყალიბდა და მოიცავს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო-ტექნოლოგიურ, საინფორმაციო და ეკოლოგიურ სფეროებს. საგარეო დაზვერვის სამსახური მონაწილეობას მიიღებს ასევე საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და დაიცავს უკრაინის საკუთრებაში არსებული დაწესებულებებისა და მოქალაქეების უსაფრთხოებას საზღვარგარეთ. ახალი სტრუქტურა დაარსდა დაზვერვის დეპარტამენტისა და უკრაინის უშიშროების სამსახურის რეგიონული ქვეგანყოფილებების ბაზაზე. საგარეო დაზვერვის სამსახურის შექმნა, თავისთავად ცხადია, უკრაინის 23-ე კანონში ცვლილებების შეტანასაც გამოიწვევს. **იტარ-ტასი**

### ორი სიტყვით

**თბილისი.** ბელორუსიაში გამართულ საპარლამენტო არჩევნებს ორი ქართველი დამკვირვებელი დაესწრო. ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) სადამკვირვებლო მისიის შემადგენლობაში მოძრაობა "ახალი თაობა - ახალი ინიციატივის" წევრები კონსტანტინ იონათამაშვილი და მიხეილ დევდარიანი შედიოდნენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გავრცელებულ ინფორმაციას ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და ტრადიციონალისტთა კავშირის ალიანსის დაშლის თაობაზე ედპ-ს ლიდერი ბაჩუკი ქარდავა არ ადასტურებს. "მართალია, ოცდაოთხსაათიანი კონსულტაციები არ გვაქვს, მაგრამ ჯერ გაყოფის საკითხი დღის წესრიგში არ დამდგარა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია არა უგვიანეს გაზაფხულისა, ყრილობას გამართავს, რომელზეც, რა თქმა უნდა, საუბარი იქნება ტრადიციონალისტებთან ჩვენი მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივაზე", - აცხადებს ბაჩუკი ქარდავა. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო ხვალ აფხაზეთის პრეზიდენტობის კანდიდატის რაულ ხაჯიმბას სარჩელის განხილვას დაიწყებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" შეშფოთებას გამოთქვამს საქართველოს პარლამენტის მიერ 12 ოქტომბერს საარჩევნო კოდექსში მიღებული ცვლილებების და დამატებების გამო, რომლითაც მაჟორიტარი დეპუტატის შუალედური არჩევნების ჩატარებულად გამოცხადებისთვის აუცილებელი ხმათა ერთი მესამედის საარჩევნო ბარიერი გაუქმდა. **პრაიმ-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# როგორ დავამთავროთ რევოლუცია

პირველი გვერდიდან

## როგორ დავაოკოთ რევოლუციური სული

დღეს ხელისუფლების ძირითადი ამოცანაა რევოლუციური რეჟიმიდან სახელმწიფოს მართვის ნორმალურ რეჟიმში გადართვა. მაგრამ სწორედ ესაა, რაც მას ყველაზე მეტად უჭირს.

ასეთი სირთულე ყველა რევოლუციური გზით მოსულ ხელისუფლებას აქვს. რაკი თვით რევოლუცია მისი პირველი დიდი წარმატებაა, ის ინსტინქტურად ცდილობს, რაც შეიძლება დიდხანს გააგრძელოს რევოლუციური განწყობა და იმ მეთოდებით მუშაობა, რამაც პირველი გამარჯვება მოუტანა. ადამიანთა ჯგუფს, რომელმაც წარმატებით ჩაატარა რევოლუცია, შეიძლება ნაკლებად ეხერხებოდეს სახელმწიფო მართვის რუტინული, ყოველდღიური ამოცანების გადაწყვეტა, ამიტომ მის ინტერესებშია, ისეთი ამოცანები დაისახოს და, საზოგადოდ, ისე დაინახოს სამყარო, რომ რევოლუციური მეთოდებით მოქმედება გაამართლოს. ლოგიკურად ეს იმას ნიშნავს, რომ რევოლუცია პერმანენტულ რეჟიმში უნდა გადავიდეს. მაგრამ თუ ხელისუფლება ამ ინსტინქტს აჰყვა, ამის შედეგი იქნება ან დიქტატურის დამყარება, ან რევოლუციის მარცხი (რომელსაც მერე "კონტრრევოლუციას" დაარქმევენ).

რას ვგულისხმობ აზროვნებისა და მოქმედების რევოლუციურ სტილში? "რევოლუცია" არა მხოლოდ რომელიმე მთავრობის (შევარდნაძის, აბაშიძის, კოკოითის) გაძევების არანორმატული მეთოდია. რევოლუციურობა – ეს ცნობიერების მდგომარეობაა, რომელიც შემდეგი ძირითადი დაშვებებით შეიძლება დავახასიათოთ:

დღეს საგანგებო ვითარებაში ვიმყოფებით, ამიტომ ჩვეულებრივი კანონებისგან დროებითი გადახვევა დასაშვებია;

რევოლუციაში გადამწყვეტია დრო, სისწრაფე, მოწინააღმდეგე გონს ვერ უნდა მოეგოს, ამიტომ არ არის ხანგრძლივი დაგეგმვის და რთული პროცედურების დაცვის დრო;

რევოლუცია – ეს არის ბრძოლა სიკეთისა ბოროტების წინააღმდეგ, ამიტომ მოწინააღმდეგე არა მხოლოდ არასწორია, ის უზნეოცაა;

რაც აქამდე იყო, ბოროტებაა, უნდა დავიწყოთ სუფთა ფურცლიდან;

გამარჯვების მოსაპოვებლად გადამწყვეტია ერთიანობა, შეკრულობა. ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია.

საკმაოდ ადვილი დასანახია, რომ ყველა ეს პრინციპი საკმაოდ ხშირად მჟღავნდება ხელისუფლების მეტყველებაშიც და მოქმედებაშიც. უდიდესი ნაწილი იმ უკმაყოფილებისა, რაც საზოგადოების ერთ და არცთუ მცირე ნაწილში გროვდება, უპირველეს ყოვლისა, ამ გაგრძელებული რევოლუციონიზმით არის გაპირობებული. ვერც ერთ რევოლუციას (რაც გინდა "ხავერდოვანს") წინასწარ ზუსტად ვერ დაგეგმავ და არსებული კანონმდებლობის სრული დაცვით ვერ ჩაატარებ: აქ გადამწყვეტია არაწინასწარმეტყველებად სიტუაციებში იმპროვიზაციის უნარი, გაბედულება, ერთიანობა.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*დღეს ხელისუფლების ძირითადი ამოცანაა რევოლუციური რეჟიმიდან სახელმწიფოს მართვის ნორმალურ რეჟიმში გადართვა. მაგრამ სწორედ ესაა, რაც მას ყველაზე მეტად უჭირს.*

მაგრამ თუ რევოლუციური სულისკვეთება სახელმწიფო მართვის პერიოდზე გავრცელდა, ეს ნიშნავს უკანონობას, ქაოსს, პრობლემების ხელოვნურ გამარტივებას, მოწინააღმდეგის დათრგუნვის მცდელობას.

ყველაზე სახიფათო რევოლუციური აზრი, რაც ხელისუფლებაში ან მასთან დაახლოებულ წრეებში ტრიალებს, ისაა, რომ ახლა, როცა ასეთი განსაკუთრებული ვითარებაა, შეიძლება დროებით გვერდზე გადავდოთ კანონების დაცვის აუცილებლობა ან სახელმწიფო მართვისთვის აუცილებელი პროცედურები, დრაკონული მეთოდებით გავატაროთ აუცილებელი რეფორმები და მერე ნათელ, ევროპულ მომავალში რომ გადავინაცვლებთ, ყველაფრის ნორმალიზება მოხდება. ასეთ რამეს ბევრი რევოლუციონერი ამბობდა (ხშირად სრულიად გულწრფელადაც), მაგრამ მართალი არასოდეს აღმოჩენილა: არც ნორმალიზება მომხდარა და, მით უმეტეს, ნათელი ევროდემოკრატიული მომავალი ხომ მთლად გამორიცხულია.

სანამ ხელისუფლება რევოლუციიდან რევოლუციამდე მიდიოდა (თბილისი, ბათუმი, ცხინვალი), ასეთი განწყობა, თუნდაც სახიფათო, გასაგები იყო. საზოგადოებაც, ძირითადად, "უგებდა" ხელისუფლებას – ამიტომ გრძელდებოდა მათ შორის "თაფლობის თვე". მაგრამ სამხრეთ ოსეთმა აჩვენა რევოლუციური ტიპის მოქმედების შეზღუდვები. ლოგიკურად, ამით უნდა დასრულებულიყო ახალი ხელისუფლების რევოლუციური პერიოდიც. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ამავე დროს, არავინ გვიხსნის, რატომაა მდგომარეობა ისევ საგანგებო და როგორ უნდა მივხვდეთ, რომ ის ასეთი აღარ იქნება.

ეს სულაც არ ეწინააღმდეგება იმას, რომ ხელისუფლების ამოცანაა ძირფესვიანი ცვლილებების გატარება ჩვენი ცხოვრების მრავალ სფეროში. საზოგადოება სწორედ ამას ელის მისგან და სრულიად სამართლიანად. საქართველოს მრავალ რეგიონში სულ უფრო ხშირად ამბობენ, რომ რევოლუცია იქ ჯერ არ მომხდარა: ისინი სწორედ ძირეულ, არსებით ცვლილებებს ითხოვენ. ასეთ ცვლილებებს "რევოლუციურს" ვუწოდებთ მათი დიდი მნიშვნელობის გამო: ამ სიტყვის ამ აზრით გამოყენების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. მაგრამ აქ სულ სხვა რამეზეა საუბარი.

ამ ფსიქოლოგიური წინააღმდეგობის გადაწყვეტა - საჭიროა ძირფესიანი ცვლილებები (ანუ "რევოლუცია უნდა გაგრძელდეს"), მაგრამ ისინი სახელმწიფო პოლიტიკით და არა რევოლუციური მეთოდებით უნდა გატარდეს - განსაკუთრებით რთულია. ეს რთულია საზოგადოდ, მაგრამ განსაკუთრებით გაუჭირდა ჩვენს ხელისუფლებას. ამ აზრით, ყოველი რევოლუციის ყველაზე სახიფათო მტერია ის არარეალისტური, გაზვიადებული მოლოდინები, რასაც ის ქმნის როგორც ხალხში, ისე, უპირველეს ყოვლისა, თვით რევოლუციის შემოქმედებში. ერთი მხრივ, ხალხი ელის რომ ყველაფერი სრულიად სხვაგვარად იქნება, რომ ახალი და ბედნიერი ცხოვრება დაიწყო, და მეორე მხრივ, რომ "ჩვენ ყველაფერი შეგვიძლია". თუ ("კორუმპირებული", "რეპრესიული", "დახავსებული") მთავრობა გადავაგდეთ, წინ ვეღარავინ დაგვიდგება, ოღონდ მოვინდომოთ. ეიფორიას გარდაუვალად მოჰყვება გაწბილება და დეპრესიაც კი. ძალიან მალე იწყება ბრალდებები რევოლუციის ღალატში ("სააკაშვილიც შევარდნაძეს ჰგავს", "ესენიც ისეთებივე არიან, როგორც წინამორბედები, არსებითად არაფერი შეცვლილა"). ხელისუფლებას უნდა, წარმოაჩინოს, რომ ეს ასე არ არის, ამიტომ ცდილობს, დააჩქაროს ცვლილებების ტემპი და ახალი და ახალი მტრები გამონახოს რევოლუციური სულის გასაღვივებლად. ბოლოო, როგორც ვთქვი, ორია: ან რეპრესია მართვის ძირითად იარაღად იქცევა (ანუ დიქტატურა), ან საზოგადოების და სახელმწიფოს ინსტიტუტები ქაოტურ მდგომარეობამდე მივა, რასაც "კონტრრევოლუცია" მოჰყვება ხოლმე.

### რას ნიშნავს "ნორმალური" სახელმწიფო მართვა?

ძირფესვიანი ცვლილებების პროგრამის შენარჩუნება და ამავე დროს საგანგებო (ანუ რევოლუციური) მოქმედების წესებიდან ნორმალურ სახელმწიფო მართვაზე გადასვლა ძალიან ძნელია. მაგრამ ეს არის ერთადერთი, რამაც "ვარდების რევოლუცია" შეიძლება მართლა წარმატებულად აქციოს.

სახელმწიფოს ნორმალური მართვა, რაც თანამედროვე სამყაროში დემოკრატიულს ნიშნავს, ზუსტად იმის საპირისპირო ნიშნებით ხასიათდება, რაც ზემოთ ჩამოვთვალე:

სახელმწიფო მართვა არის პროცესი, რუტინა, პროცედურა, სადაც გადამწყვეტია გარკვეული წესების, კანონების მკაფიო ფორმულირება და განუხრელი დაცვა. უნდა განხორციელდეს ძველი რომაელების ფორმულირებული წესი - სჯობს დაინგრეს ქვეყანა, ვიდრე არ შესრულდეს კანონი, რადგან, თუ კანონი არ შესრულდა, ქვეყანა თავისთავად უკვე დანგრეულია;

სახელმწიფო მართვაში გადამწყვეტია სახელმწიფო ინსტიტუტების შეთანხმებული მუშაობა, რისი უზრუნველყოფაც მხოლოდ აწყობილ ბიუროკრატიულ მანქანას შეუძლია;

სახელმწიფო მართვა საჭიროებს გრძელვადიან სტრატეგიებს, რომლებიც მრავალ წელზეა გათვლილი;

სახელმწიფო მართვა – ეს არის მრავალი სხვადასხვა ინტერესის, პრინციპის, ღირებულების შეჯერება და მათთვის "საერთო მნიშვნელის" გამონახვა;

სახელმწიფო პოლიტიკაში იშვიათად ხდება არჩევანი ბოროტსა და კეთილს შორის; ტიპურია არჩევანი ცუდსა და უარესს შორის;

სახელმწიფო მართვა წარმატებულია მაშინ, როდესაც ის ამოდის იმ რესურსებიდან, რაც არსებობს - მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, იმ ჩამოყალიბებული ინსტიტუტებიდან, ადამიანური რესურსებიდან, ტრადიციებიდან, გამოცდილებიდან, რაც საზოგადოებაშია დაგროვილი. ხელისუფლებისგან წამოსული ინოვაცია წარმატებული იქნება მხოლოდ მაშინ, თუ ის ერთი ან ორი ნაბიჯით უსწრებს საზოგადოებას. ნახტომები წარუმატებლობისთვისაა განწირული.

ეს ყველაფერი ძალიან გამაწბილებელია: ეს ნიშნავს ცვლილებების ტემპის დაგდებას; რაღაც ისეთზე დროებით მაინც უარის თქმას, რაც სწორი გგონია; რთულ კომპრომისებს, იმ ადამიანების მოსმენას, ვისთანაც ეს სულაც არ გსიამოვნებს; არაპოპულარული გადაწყვეტილებების გამართლებას, და ა. შ. მაგრამ სახელმწიფოს მართვის ხელოვნება სწორედ ესაა.

ჩვენი ხელისუფლების თავკაცებს ყოველივე ამის სწავლება სულაც არ სჭირდებათ. მათ ძალიან კარგად იციან, რომ პოლიტიკა – ეს შესაძლებლის ხელოვნებაა, და ცოტა სასაცილო იქნებოდა მათი კრიტიკა იმისათვის, რომ კომპრომისებზე არ მიდიან. პირიქით, ბევრ შემთხვევაში ხელისუფლება საკმაოდ, რბილად რომ ვთქვათ, საკამათო გარიგებებზე მიდის. ამათგან თუნდაც სულ პირველი, ნოემბრის მაჟორიტარული არჩევნების გასაჩივრებაზე უარის თქმა გავიხსენოთ. პრობლემა ისაა, რომ ხელისუფლება ორი უკიდურესობის შეთავსებას ცდილობს: ერთი მხრივ, საეჭვო გარიგებებზე მიდის, მეორე მხრივ კი, მორალისტური შეურიგებლობის მანტიას არ იხსნის.

სინამდვილეში რევოლუციონერები გარიგებებზე ყოველთვის მიდიოდნენ და მიდიან. პრობლემა იმის აღიარებაა, რომ მათი რესურსები და შესაძლებლობები შეზღუდულია და ბევრი ის მოლოდინი, რითაც ისინი ხელისუფლებაში მოვიდნენ, პრინციპულად შეუძლებელია, გამართლდეს. ძნელი იმის აღიარებაა, რომ ცუდსა და უარესს შორის არჩევანი შევარდნაძის კორუმპირებული ეპოქისთვის კი არ არის მხოლოდ დამახასიათებელი, არამედ, საერთოდ, ცხოვრების კანონია. საჭიროა საზოგადოებისთვის და, როგორც ჩანს, საკუთარი თავისთვის იმის ახსნა, რისი გაკეთებაა ამ ეტაპზე შესაძლებელი და რას დასჭირდება გაცილებით მეტი დრო და რესურსები.

### კომპლექსებისგან გათავისუფლება

კიდევ ერთი, რისი აღიარებაც რევოლუციურ ხელისუფლებას უჭირს, არის ის, რომ იგი არც ისე განსხვავდება ძველისაგან, როგორც თვით მას და საზოგადოებას ეგონა. ამაში ტრაგიკული არაფერია. ყოველი ოპოზიცია ცდილობს, მაქსიმალურად გაუსვას ხაზი საკუთარ განსხვავებას ხელისუფლებისაგან – და, როგორც წესი, გულწრფელად სწამს, რომ როცა თავად დაეუფლება ძალაუფლების ბერკეტებს, ყველაფერს სხვაგვარად გააკეთებს. მაგრამ, თუ ის მართლა მოექცა სათავეში, აღმოჩნდება, რომ ბევრი ისეთი რამის გაკეთება უხდება, რისთვისაც წინა ხელისუფლებას აკრიტიკებდა. ეს პოლიტიკის კანონია, ამას ვერსად წაუხვალ. ძნელია სტილით და ტემპერამენტით იმდენად განსხვავებული ორი პოლიტიკოსის წარმოდგენა, როგორიც ედუარდ შევარდნაძე და მიხეილ სააკაშვილი არიან. მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი გარკვეული შედარებები გარდაუვალია: მსგავსია კონტექსტი, მსგავსია ამოცანები, ხანდახან მსგავსი იქნება გადაწყვეტებიც. ამ შედარებების გამო ნერვიულობა, ცოტა არ იყოს, არასერიოზულია. სააკაშვილს არ სჭირდება ვილაცისთვის იმის დამტკიცება, რომ შევარდნაძეს არ ჰგავს: მას სჭირდება იმის ჩვენება, რომ რასაც დღეს აკეთებს, სწორია.

გასაგები მიზეზების გამო, "შევარდნაძისნაირობის" კომპლექსი ახალი ხელისუფლების ლიდერებს განსაკუთრებით ღრმად აქვთ გამჯდარი. ოპოზიციაში ყოფნის მთელი ხანმოკლე პერიოდის მანძილზე, მათ ყველაზე მეტად სწორედ შევარდნაძისგან გამოზრდილობასა თუ მასთან ფარულ ალიანსში ადანაშაულებდნენ. შემთხვევითი არ იყო, რომ პრეზიდენტის ერთ-ერთი ბოლოდროინდელი გამოსვლა მიეძღვნა გულისწყრომის გამოხატვას იმის გამო, რომ ვილაცამ შევარდნაძეს შეადარა. მაგრამ ამ კომპლექსისგან ხელისუფლება უნდა გათავისუფლდეს. ჯერ ერთი, ჩემი აზრით, არც ზურაბ ჟვანიას, არც მიხეილ სააკაშვილს, არც ნინო ბურჯანაძეს არ უნდა რცხვენოდეთ, რომ თავის დროზე ედუარდ შევარდნაძის თანამოსანგრენი იყვნენ (თუმცა ზოგიერთი იქიდან გამოყოლილი ჩვევის გადაგდებაზე იქნებ იფიქრონ კიდეც). შევარდნაძე მეტად წინააღმდეგობრივი ფიგურაა საქართველოს ისტორიაში და, მისი მოღვაწეობის ყველა ეტაპზე, ბევრი რამე შეგვიძლია დავუწუნოთ. მაგრამ, მოგვწონს თუ არა ამის აღიარება, ჩვენი ისტორიის გარკვეულ ეტაპზე მისი ხელისუფლება საუკეთესო იყო, რაც მოცემულ ვითარებაში რეალურად იქნებოდა შესაძლებელი. ამიტომ მასთან თანამშრომლობა ჩვენი დღევანდელი ლიდერებისთვის ისეთივე ლოგიკური ნაბიჯი იყო, როგორც მოგვიანებით მასთან დაპირისპირება.

იგივე ლოგიკა, სხვათა შორის, ახლანდელ ხელისუფლებაზეც ვრცელდება: ისიც, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, საუკეთესოა, რაც არსებულ ვითარებაში შეიძლება გვყავდეს. ამის უტყუარი ინდიკატორი არსებობს: სერიოზული ოპოზიციის არარსებობა. როგორც ჩანს, ჩვენი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური კაპიტალი, ჯერჯერობით, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ რამდენიმე ქმედითუნარიანი პოლიტიკური ელიტა შექმნას. ამ პირობებში კი გარდაუვალია დომინანტი, ხელისუფლებასთან შეზრდილი პარტიების წარმოქმნა. ამ აზრით ჩვენი დღევანდელი ვითარება მართლაც ჰგავს დაახლოებით 1995 წლის მდომარეობას, ხოლო დღევანდელი "ნაციონალური მოძრაობა" – "მოქალაქეთა კავშირს". თავისთავად ამ საკმაოდ აშკარა ფაქტის აღნიშვნა არ უნდა ნიშნავდეს დღევანდელ ხელისუფალთა გაქილიკებას.

ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ შევარდნაძის შეცდომები გაიმეოროს, ან ისინი ეპატიოს. მაგრამ დღეს ხელისუფლებამ უნდა დაიჯეროს, რომ რევოლუცია დამთავრდა, რომ ის აღარაა ოპოზიცია, ის მართვის და საზოგადოებასთან ურთიერთობის ნორმალურ რიტმში გადავიდეს, რაც გინდა რთული და ზოგისთვის მოსაწყენი იყოს ეს. ჩვენ დღეს რევოლუცია კი არ გვაკლია, არამედ - ბიუროკრატია.

საზოგადოებამ უნდა გაიგოს, რომ სააკაშვილი, შევარდნაძისა არ იყოს, ჯადოქარი არ არის, რომ ყველა პრობლემა უცებ ვერ გადაწყდება. მათ შორის, სამწუხაროდ, ვერ შესრულდება ყველა მისი დანაპირებიც. ზოგი მისი ნაბიჯი მცდარი იქნება, ხოლო ზოგი სწორი ნაბიჯი – არცთუ სასიამოვნო. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ახალი რევოლუციისთვის უნდა ვემზადოთ. ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ისევ უნდა გამოვიყენოთ და ამავე დროს განვავითაროთ ხელისუფლებასთან დიალოგის, მასთან თანამშრომლობის და, ამავე დროს, მასზე ზეწოლის ის მექანიზმები, რასაც ეს 10-15 წელია, ვსწავლობთ.

## ავტომობილების იმპორტიორთა ასოციაციის მიმართვა საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ახალი საგადასახადო კოდექსის შემმუშავებელი კომისიის თავმჯდომარეს ბატონ ზურაბ ჟვანიას

მოგმართავთ საგანგაშო განცხადებით ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტით საავტომობილო ბიზნესისადმი შექმნილი საფრთხის გამო.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ახალი კოდექსის პროექტი უდავოდ მნიშვნელოვნად წინგადადგმული ნაბიჯია ეკონომიკის რიგი დარგებისათვის, გარდა ავტომობილების (განსაკუთრებით ახალი ავტომობილების) იმპორტის ბიზნესისა.

აღნიშნული პროექტი ოფიციალური სადილერო წარმომადგენლობების დახურვის და ამ ბიზნესის არაცივილურ, შავ ბაზარზე გადანაცვლების პირდაპირ საფრთხეს ქმნის. რაც თავის მხრივ, გულისხმობს სამუშაო ადგილების გაუქმებას, ბიუჯეტში შემოსავლების შემცირებას და რაც მთავარია საქართველოდან მსოფლიოში ისეთი ცნობილი უცხოური კომპანიების ინვესტიციების შეჩერებას და გადინებას როგორებიცაა დრაიმლერ კრაისლერი, ფოლკსვაგენი, ბმვ, რენო, ოპელი, აუდი, პეჟო, ტოიოტა, ვოლვო, შკოდა, ჰუნდაი, კრაისლერი, ჰონდა, ნისანი და სხვა. თითოეული მათგანის მიერ ქვეყნის დატოვება კატასტროფულად იმოქმედებს საქართველოს, როგორც უცხოური ინვესტიციებისათვის ისედაც არაკეთილსაიმედო ქვეყნის იმიჯზე. ამავე დროს, სადილერო წარმომადგენლობების დახურვა ავტომატურად გულისხმობს ავტომობილებისათვის ორიგინალი ნაწილების იმპორტის და მომსახურების გაუქმებას, რაც კიდევ უფრო გაართულებს და პრაქტიკულად შეუძლებელს გახდის ქვეყანაში არსებული უცხოური ავტოპარკის კვალიფიციურ მომსახურებას.

აღსანიშნავია, რომ 2002 წლის მარტში მიღებული, ამჟამად მოქმედი ავტომობილების იმპორტის დაბეგვრის მეტად ეფექტური რეჟიმის შემოღების შემდეგ, ზემოთ ჩამოთვლილი უმრავლესი სადილერო წარმომადგენლობების გახსნა და ამუშავება მოხდა. ამის გარდა, თუ ძველი (2002 წლის მარტამდე) დღგ-ს რეჟიმით დაბეგვრის დროს ბიუჯეტში ყოველთვიურად საშუალოდ 350-400 ათასი ლარი შედიოდა, ამჟამად ეს თანხა 1,9-2,5 მილიონ ლარს აღწევს.

ჯერ კიდევ მოქმედი საგადასახადო სისტემით, მანქანების იმპორტი იბეგრება მანქანის ძრავის მოცულობის (კუბადურის) და ასაკის მიხედვით, რაც უზომოდ აადვილებს გადასახადის ამოღებასა და მცირეოდენ საშუალებასაც კი არ აძლევს რუხ (არაოფიციალურ) იმპორტიორებს საბუთებით, კერძოდ საინვოისო ღირებულების დაწევის მაქინაციებით დამალონ გადასახადების ოდენობა.

კოდექსის ახალი ვარიანტი გულისხმობს ამ ბიზნესის გაუმართლებელ შეზღუდვას ამჟამად მოქმედი მეტად გამართლებული და ეფექტური გადასახადის, აქციზისა და დღგ-ს გადასახადის შეცვლით, რაც ასახვას ჰპოვებს შემდეგი უკუეფექტის სახით:

1. საგრძნობლად (მინიმუმ მეოთხედით) გაიზრდება იმპორტირებული მანქანების ფასი, განსაკუთრებით ახალი მანქანებისა, მაშინ, როდესაც საქართველო არ არის ავტო-მწარმოებელი ქვეყანა და სამამულო ბაზრის დაცვის მიზეზი არ არსებობს. ასეთი მიდგომა უბრალოდ მოკლავს ქვეყნის ავტოპარკის განახლების პროცესს ახალი თანამედროვე მანქანებით.

2. აშკარად ხელოვნურად იქმნება ხელშეწყობა "ქრიეთივ კომპლაენსისა", ანუ იურიდიულად გამართული გადასახადების დამალვისა, რისი კონტროლიც ძალზე რთული იქნება. რუხი (არაოფიციალური) იმპორტიორი გადასახადის ნაწილობრივ დამალვის მიზნით, ეცდება დაწიოს მანქანების საინვოისო ღირებულება.

3. ფინანსთა სამისისტროს ის არგუმენტი, რომ იმპორტირებულ მანქანებს დაბეგრავენ საბაზრო ღირებულებიდან და საინვოისო ფასს არ ექნება მნიშვნელობა, არის სრულიად უსუსური, რამეთუ მანქანების და განსაკუთრებით ნახმარი მანქანების საბაზრო ფასი ფერის, ლაკირებისა და ასაკის გარდა უამრავ ფაქტორზეა დამოკიდებული. თვალსაჩინოებისათვის, იხილეთ **დანართში** ერთ-ერთი მოდელის მხოლოდ ნაწილი ოფციების ჩამონათვალი. აღსანიშნავია რომ სხვადასხვა მოდელს სხვადასხვა ოფციები გააჩნია. იმისათვის რომ ყველა ეს ფაქტორი იქნეს გათვალისწინებული, აუცილებელია ცალკე სოლიდური სამსახურის შექმნა, რომელიც მოახდენს თითოეული იმპორტირებული მანქანის შეფასებას, რაც რეალურად შეუძლებელია ცვალებადი ბაზრის ფასებისა და სხვადასხვა ოფციებით აღჭურვილი ავტომობილების შეფასების ტექნიკური სირთულეების და სახელმწიფო მოხელეთა დაბალი კვალიფიკაციის გათვალისწინებით.

4. გარდა ამისა, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ თვითოეულ მოდელს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ფასი გააჩნია (მაგალითად გერმანიაში, გაერთიანებულ არაბეთის საიმეროებში და სხვა), ფინანსთა სამინისტრომ უნდა მოახერხოს ყველა ქვეყნის საბაზრო ფასების მონიტორინგი ზემოთ აღნიშნული კომპლექსურობის გათვალისწინებით, რაც ასევე სრულიად შეუძლებელია.

5. ამგვარი მიდგომა ზღუდავს თავისუფალი ბაზრის პრინციპს. იმ შემთხვევაში თუ კერძო პირი რეალურად მოახერხებს საზღვარგარეთ ავტომობილის საბაზრო ფასზე იაფად შეძენას, საქართველოში გადასახადს უანგარიშებენ მომატებული ფასიდან, რაც მოქალაქის აშკარა ძარცვა და უფლებების შელახვა გახლავთ. დაბეგვრის შემოთავაზებული სისტემა არ ითვალისწინებს მანქანების კორპორატიულ შესყიდვებსაც, რომლის დროსაც მწარმოებელი კომპანია მნიშვნელოვან ფასდაკლებებს იძლევა. ამ ფაქტის გაუთვალისწინებლობა კვლავ და კვლავ უარყოფით გავლენას იქონიებს ბიზნესის განვითარებაზე და განსაკუთრებით კორპორატიულ შესყიდვებზე.

6. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თითქმის თითოეული მანქანის იმპორტი იქნება არბიტრაჟის განხილვის საგანი.

ამრიგად, ახალი საგადასახადო კოდექსი საავტომობილო ბიზნესის დაბეგვრის ნაწილში სრულიად ეწინააღმდეგება ხელისუფლების მიერ დასახულ მიზნებს და ქვეყნის ინტერესებს, კერძოდ:

*1. სახელმწიფო ბიუჯეტში დადებითის ნაცვლად მივიღებთ უარყოფით ეფექტს ანუ ქვეყანა დაკარგავს შემოსავლების დიდ ნაწილს.*

*2. მოიმატებს კორუფცია, გადასახადის ამკრეფსა და გადამხდელს შორის გარიგებები, რადგან თვით კოდექსი იქნება კორუფციის გამომწვევი, კორუფციაგენური.*

*3. დაიხურება მსოფლიოს უდიდესი კომპანიების წარმომადგენლობები, დაიკარგება უკვე განხორციელებული და პოტენციური ინვესტიციები, შეილახება ქვეყნის იმიჯი და შეფერხდება ეკონომიკის განვითარებისთვის საჭირო უცხოური ინვესტიციები.*

*4. გაუარესდება ეკოლოგიური მდგომარეობა, გაიზრდება ავტოკატასტროფების რიცხვი და შესაბამისად უბედური შემთხვევები, რაც უფრო ძვირი დაუჯდება საზოგადოებას და სახელმწიფოს.*

*5. გაიზრდება უმუშევრობა, შემოსავლის გარეშე დარჩება ათასობით ადამიანი, განსაკუთრებით ლეგალურ სექტორში ანუ გაუქმდება სწორედ ის სამუშაო ადგილები, რომელიც აღრიცხულია და სახელმწიფოსთვის დამატებითი შემოსავლის წყაროა სოციალური და სხვა გადასახადის სახით.*

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე საქართველოში მოქმედი ყველა ავტომობილების ოფიციალური იმპორტიორებისა და დილერების სახელით მოგმართავთ თხოვნით, ნუ დაუშვებთ ზემოთ აღნიშნული უცხოური კომპანიების დახურვას და ინვესტიციის ქვეყნიდან გადინებას, რასაც უცილობლად გამოიწვევს მოქმედი დაბეგვრის სისტემის შეცვლა ახალი საგადასახადო კოდექსის ვარიანტით.

***ავტომობილების იმპორტიორთა ასოციაცია მოგმართავთ თხოვნით, ახალ საგადასახადო კოდექსში დატოვებულ იქნეს ამჟამად მოქმედი ამ ბიზნესის მეტად ეფექტური და გამჭვირვალე დაბეგვრის სისტემა.***

**დღეს 16.00 საათზე სასტუმრო "თორში" ავტომობილების იმპორტიორთა ასოციაცია სპეციალურ პრესკონფერენციას გამართავს.**

# ქართული სავაჭრო ნიშნის მქონე ნოუთ-ბუქების აწყობა იწყება

სოფიკო ოხანაშვილი

ქართულმა კომპიუტერულმა კომპანიამ "მაქსტოპ-პირველმა" საქართველოში აწყობილი ქართული სავაჭრო ნიშნის მქონე "ნოუთბუქის" წარმოება დაიწყო. ახალი კომპიუტერი ცნობილი კომპიუტერების მწარმოებლი კომპანიის "ინტელის" ტექნიკურ ბაზაზეა აწყობილი. **"ეს არის ის კომპიუტერი, რომელიც არ საჭიროებს კაბელს და ნებისმიერი წერტილიდან თავისით შედის ინტერნეტში,"** – შაბათს გამართულ პრეზენტაციაზე განაცხადა ქართული კომპიუტერული კომპანიის "მაქსტოპ-პირველის" გენერალურმა დირექტორმა მინდია ქაშიბაძემ. მისივე თქმით, Intel-ის ტექნოლოგიური სიახლით - უკაბელო ინტერნეტით აღჭურვილი ნოუთბუქების გაყიდვა სპეციალურ მაღაზიებში ნოემბრის დასაწყისში დაიწყება. **"ქართული" უკაბელო ნოუთბუქის ფასი 1000 დოლარამდეა, ჩვეულებრივი ნოუთბუქები 800 დოლარზე ნაკელბი ეღირება. საქართველოში აწყობილი ნოუთ-ბუქები 200-300 დოლარით იაფი ჯდება, ვიდრე იგივე ტიპის უცხოური ბრენდი"** – განაცხადა კომპანია "მაქსტოპ-პირველის" გენერალურმა დირექტორმა. მისივე თქმით, ქართული კომპანია კორპორაცია "ინტელთან" თანამშრომლობის შედეგად მომხმარებლებს შვიდი სახეობის, თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ ნოუთბუქებს შესთავაზებს, რისი შეძენაც მომხმარებლებს ნოემბრის დასაწყისიდან სპეციალურ მაღაზიებში შეეძლება.

კომპანია მყიდველებს პროდუქციას 1-2 წლამდე საგარანტიო ვადით შესთავაზებს. ქაშიბაძის ინფორმაციით, ნოუთბუქების შეძენის მსურველებს "ინვესტ-ბანკი" შეღავათიან კრედიტსაც გამოუყოფს.

ცნობისთვის, ქაშიბაძის ინფორმაციით, პირველი ქართული სავაჭრო ნიშნის მქონე ორი ნოუთბუქის ექსპორტი ინგლისში უკვე განხორციელდა.

# "დოიჩე ტელეკომი" "ტი-ონლაინს" უკან იბრუნებს

თორნიკე შარაშენიძე

კავშირგაბმულობის უმსხვილესი ევროპული გიგანტი "დოიჩე ტელეკომი" აპირებს უკან შეისყიდოს ოდესღაც მისივე კუთვნილი საინტერნეტო ბიზნესი "ტი-ონლაინი," რომლის აქციებიც 4 წლის წინ საჯარო გაყიდვაში გაუშვა. ამ ცნობამ უკვე სერიოზული მითქმა-მოთქმა და უკმაყოფილება გამოიწვია აქციონერებში. საქმე ისაა, რომ ოთხი წლის წინ, როცა "ტი-ონლაინის" აქციები გაიყიდა, საქმიან სამყაროში საინტერნეტო ბუმის ხანა იდგა და, შესაბამისად, ამ ფირმის აქციებიც ზღაპრულ ფასებში გაიყიდა. სულ მალე კი საინტერნეტო და ტექნოლოგიურ ბირჟებზე კრახი მოხდა და ამ სფეროში დასაქმებული ყველა კომპანიის აქცია მკვეთრად გაუფასურდა. თუკი "დოიჩემ" 2000 წელს "ტი-ონლაინის" აქციები საშუალოდ 5 ევროდ გაყიდა, ერთ წელიწადში ეს მაჩვენებელი 4,95 ევროზე ჩამოვიდა.

სწორედ ამიტომ "დოიჩე ტელეკომის" ახლანდელი განზრახვა "სილის გაწვნად" და "ცინიზმად" იქნა მონათლული გერმანულ პრესაში. კომპანია კი თავის მართლებისათვის აცხადებს, რომ ცინიზმი არაფერ შუაშია და "ტი-ონლაინის" უკან შესყიდვა მას სულ სხვა მიზეზებმა გადააწყვეტინა.

დღესდღეობით ვინც "დოიჩე ტელეკომის" მეშვეობით ინტერნეტში მუშაობს, საამისოდ ნაწილობრივი მომსახურება "ტი-ონლაინის," ნაწილობრივი კი "დოიჩეს" კუთვნილი სატელეფონო კომპანია "ტი-კომიდან" უნდა მიიღოს (და ცხადია, მომსახურების სანაცვლოდ გადაიხადოს კიდეც). ორივე განყოფილებას თავისი სხვადასხვა სერვისები გააჩნია, მათ შორის მუსიკის გადმოწერის, რომლებიც ერთმანეთთან მეტოქეობენ.

"ჩვენს კლიენეტებს სურთ მომსახურება ერთი წყაროდან მიიღონ და ეს სრულიად სამართლიანი პრეტენზიაა, რომელსაც ანგარიში უნდა გავუწიოთ," - აცხადებს "დოიჩე ტელეკომის" წარმომადგენელი.

"დოიჩეს" უპირველესმა ევროპელმა კონკურენტმა "ფრანს ტელეკომმა" უკვე უკან შეისყიდა თავისი საინტერნეტო ბიზნესი.

## მოკლედ

### სახელმწიფო უწყებები გრანტებსა და კრედიტებს პარლამენტის ნებართვის გარეშე ვერ მიიღებენ

სახელმწიფო უწყებები გრანტებსა და კრედიტებს პარლამენტის ნებართვის გარეშე ვერ მიიღებენ. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საკანონმდებლო ხარვეზის გამოსწორებას ცდილობს და "სახელმწიფო ვალის შესახებ" კანონში ცვლილებების შეტანის ინიციატივით გამოდის.

ამჟამად პარლამეტი რატიფიკაციას მხოლოდ საერთაშორისო კრედიტებს და საგრანტო ხელშეკრულებებს უკეთებს, თუმცა როგორც ფინანსთა სამინისტროში აღნიშნავენ, სახელმწიფო ვალი ხშირად სხვა სახის ხელშეკრულებებიდანაც წარმოიშვება.

პარლამენტი საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან და სხვა სახელმწიფოების ორგანოებთან დადებულ ხელშეკრულებებს რატიფიკაციას უკეთებს. კანონპროექტის მიხედვით, პარლამენტი მიიღებს დადგენილებას სხვა სუბიექტებისგან აღებულ კრედიტებსა და გრანტებზე.

კანონპროექტის მიღების შემთხვევაში ფინანსთა სამინისტროს შესაძლებლობა ექნება, სრულ ინფორმაციას ფლობდეს საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისთვის შემოსული ყველა სახის საერთაშორისო სესხისა და დახმარების შესახებ.

"სამინისტროს ინიციატივა მისაღებია. მას სურს, ამ სფეროში მონიტორინგი პარლამენტის დახმარებით აწარმოოს, ჩვენ ამის წინააღმდეგები არ ვართ" - განაცხადა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ რომან გოცირიძემ.

*ინტერ-პრესი*

**აბიტურიენტთა საყურადღებოდ !!!**

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებით ამა წლის 20 და 27 ოქტომბერს, 4 საათზე ატარებს

**ღია კარის დღეს**

*მისამართი: ქ. თბილისი, მარი ბროსეს ქ.N2. ტელ: 931466, 934346, 932201*

**ს/ს თელასის" განცხადება**

**ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:**

**19 ოქტომბერს, 11.00-დან 17.00 სთ-მდე:**
საბანაკოს, საბარგოს, ნავთლუღისა და პეტრე-პავლეს დასახლებების, კახეთის გზატკეცილის(ნაწილობრივ), ქეთევან წამებულის გამზირის(ნაწილობრივ), დურმიშიძის, ამირეჯიბის, ანდღულაძის, არველაძის, აფანასიევის, შერვაშიძის, მიქელაძის, ნანეიშვილის, ონიანის, წალენჯიხის, გუჯარეთის, მელაანის, ტოლენჯის, ხარაბაძის, ყარყარაშვილის, კვალის, ყვარლის, ბაქრაძის, ხაჩატრიანის, ხახანაშვილის, გუთნის, ახმეტის, საბადურის, წინანდლის, ბეთანიის, ოძისის, ახალუბნის, კვალეთის მოედნის, კვესეთის, ნიაბის, საინგილოს, ფშავის, თეძამის, გუმბრის, რაზიკაშვილის, ურიცკის, შაქრიანის, ბოროდინის, მარტყოფის, მიჩურინის, სართიჭალის, სევანის, ფაღავას, ირბახის, წურწუმიას, მთავარანგელოსის, დმანისის, მარტყოფის, ალიხანიანის, იზაშვილის, ფოსტის, ხერხეულიძეების, ქურხულის, მახათას, ნიორაძის, მუკუზნის, დედოფლისწყაროს, ახმეტის, ბადიაურის, წურწუმიას, ნასაკირალის, ჩუბინიძის, ალადაშვილის, ერევნის, ფაბრიციუსის, ხივინის, ობსერვატორიის, შორაპნის 2 ქუჩების მაცხოვრებლებს.

**19 ოქტომბერს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:**
ჩიქოვანის, ახალშენის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**19 ოქტომბერს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
გლდანის IV მიკრორაიონის, გლდანულას დასახლების, თიანეთის გზატკეცილის, ვართაგვავას, მორეტის ქუჩების მაცხოვრებლებს.

# მთავრობის დაპირების შესრულება იგვიანებს

ეთერ მამულაშვილი



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*წლევანდელი რთველი ზეიმს არ ჰგავდა.*

ოქტომბრის დასაწყისში, ზურაბ ჟვანიასთან მეღვინეებისა და რამდენიმე სამინისტროს წარმომადგენლების შეხვედრის შემდეგ, ის შვიდი ქარხანა შეირჩა, რომლებსაც სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ თეთრი ყურძნის შესასყიდად გამოყოფილი სუბსიდია - 1 მილიონ 5 ათასი ლარი გადაუნაწილდებოდა. ესენია: წინანდლის ღვინის ქარხანა, რომელსაც ყველაზე მეტი – 375062 ლარი ერგო, "ჭანდარი" – 150000, "ხირსა" – 150000, "ალთა" – 70000, "სამება" – 100000, "ალაზანი-ორგ" – 100000 და "ქინძმარაული" – 60000 ლარი. სამინისტროში ზუსტად არ იციან, თუ რატომ განაწილდა თანხები არათანაბრად ან რა კრიტერიუმებით შეირჩა ხსენებული შვიდი ქარხანა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ექსპორტ-იმპორტის სამმართველოში ამბობენ, რომ პრიორიტეტი სახელმწიფო და სახელმწიფო წილის მქონე ღვინის ქარხნებს მიენიჭათ. იმავე სამინისტროს კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის დეპარტამენტში კი აცხადებენ, რომ ქარხნების შერჩევის დროს უპირატესობა იმ საწარმოებს მიენიჭათ, ვისაც ყურძნის მიღება-გადამუშავების უკეთესი ტექნიკური შესაძლებლობა და რამდენიმეწლიანი გამოცდილება აქვთ. თავად მეღვინეები კი განსხვავებულ კომენტარს აკეთებენ.

**"მოვიდნენ, ნახეს, რომ ჩვენს ქარხანას არ ჰქონდა არცერთი თეთრი საბიუჯეტო დავალიანება, ყოველთვის იყო პატიოსანი გადამხდელი და, თანაც, ჩვენ წარვადგინეთ საბანკო გარანტია. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ჩვენს საწარმოს სუბსიდია სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უპრობლემოდ გამოუყო,"** - გვითხრა სს „ჭანდრის" (რომლის აქციათა ასივე პროცენტი კერძო მფლობელობაშია) დირექტორმა გია ზაკალაშვილმა. იგი ამბობს, რომ გამოყოფილი თანხით გლეხებისგან მაქსიმუმ 400 ტონა ყურძნის შესყიდვა შეუძლია.

საკმარისია თუ არა მილიონ ხუთი ათასი ლარი?

ერთი რამ აშკარაა: მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ სუბსიდიის გამოყოფის თაობაზე გადაწყვეტილება დაახლოებით სამი კვირის წინათ მიიღო, ღვინის ქარხნებს ამ დროისთვის არც ერთი თეთრი არ მიუღიათ. საწარმოს ხელმძღვანელები პრემიერ-მინისტრს სიტყვაზე ენდნენ და გლეხებისგან ყურძნის ჩაბარება თანხის მიღების იმედად დაიწყეს. სხვათა შორის, მინისტრი შერვაშიძე თავდაპირველად მეღვინეებს დაჰპირდა, რომ ისინი კუთვნილ თანხას მაქსიმუმ ორ კვირაში მიიღებდნენ, თუმცა მოგვიანებით ეს ვადა 20 დღემდე გაგრძელდა.

მეღვინეები ამბობენ, რომ ფულის დროულად მიუღებლობის შემთხვევაში, მათ ყურძნის შესყიდვის პროცესის შეჩერება მოუწევთ.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: ხელისუფლების მიერ გაღებული სუფსიდია მეღვინეებმა მომავალი წლის 1 სექტემბრამდე უნდა დააბრუნონ. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ საბანკო ანგარიშებს, აქტივებს, დაყადაღება და, შესაბამისად, კონფისკაცია ემუქრება. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის ეს საჩუქარი უპროცენტოა და მეღვინეებს სახელმწიფოსთვის სესხის დაბრუნება სარგებლის გარეშე მოუწევთ, ისინი ფიქრობენ, რომ თანხის უკან დაბრუნება გაუჭირდებათ, თუკი სოფლის მეურნეობის სამინისტრო მათ ღვინის რეალიზებაში არ დაეხმარება. დახმარება კი, პირველ რიგში, საერთაშორისო და ადგილობრივ ბაზრებზე ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლას გულისხმობს.

# ქვეყანაში შემოტანილი საიუველირო ნაწარმის თითქმის ნახევარი აღურიცხავია

ეთერ მამულაშვილი

*მართალია, საბაჟო კონტროლი გასულ წლებთან შედარებით წელს ერთი ორად არის გამკაცრებული და კონტრაბანდული პროდუქცია თითქმის მინიმუმამდეა შემცირებული, მაგრამ საიუველირო ნაწარმი ერთ-ერთი იმათგანია, რომლის "გათეთრება" გოდაბრელიძის უწყებამ დღემდე ვერ მოახერხა.*

საბაჟო დეპარტამენტის თავკაცი გიორგი გოდაბრელიძე აღიარებს, რომ ქვეყანაში შემოტანილი საიუველირო საქონლის თითქმის ნახევარი დღესაც განუბაჟებელია, რომლის აღრიცხვასაც მისი სამსახური უფრო ხშირად ტექნიკური პრობლემების გამო ვერ ახერხებს. **"მაგალითად, ოქროულობა კაცმა შეიძლება ჯიბეში ჩაიდოს და აეროპორტით ისე შემოიტანოს, რომ ვერავინ ვერაფერი გაიგოს. ჩვენს დეპარტამენტს იმის შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობაც კი არ გააჩნია, რომ ჩანთა დეტალურად დაათვალიეროს,"** - ამბობს გოდაბრელიძე.

სხვათა შორის, ამ ფაქტს ქართველი იუველირებიც აღიარებენ, რასაც არსებული საბაჟო კანონმდებლობის ნაკლოვანებით ხსნიან. მათივე თქმით, დღევანდელი საბაჟო კოდექსი ნებისმიერ იუველირს აიძულებს, ძვირფასი ლითონები ქვეყანაში ფარულად შემოიტანოს.

ცნობისათვის: საბაჟო დეპარტამენტის ოფიციალური მონაცემებით, გასულ რვა თვეში იმპორტირებული საიუველირო ნაწარმის რაოდენობამ 4418 კილოგრამი შეადგინა, ხოლო ექსპორტირებულმა 451. საიუველირო ნაწარმის თითქმის 80 პროცენტი ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობებზე მოდის. ინდოეთი, სომხეთი, გერმანია, თურქეთი, აშშ, უკრაინა, რუსეთი და შვეიცარია - ის ქვეყნებია, საიდანაც საიუველირო ნაწარმის დიდი ნაწილი საქართველოში შემოდის.

დაზუსტებით იმის თქმა, თუ რამდენი ლარი აკლდება ყოველთვიურად ან თუნდაც ყოველწლიურად ქვეყნის ბიუჯეტს, ძალიან რთულია, რადგან ამის არც ოფიციალური მონაცემები და არც ექსპერტული მიახლოებითი გათვლები არ არსებობს. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ დღეს მხოლოდ თბილისში დაახლოებით ათი ეგრეთ წოდებული ოქროს ბირჟა და კიდევ ბევრად მეტი საიუველირო მაღაზია ფუნქციონირებს, რომელთა მიერ რეალიზებული პროდუქციის თითქმის 80 პროცენტი იმპორტირებულია, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქმე რამდენიმე ათეულ ან იქნებ ასეულ მილიონობით ლარის დანაკლისს ეხება.

ამ პრობლემის მოგვარება, იუველირების თქმით, მხოლოდ საბაჟო კოდექსის გამარტივებით და სახელმწიფოს მხარდაჭერით არის შესაძლებელი, როგორც ეს ორიოდე წლის წინათ თურქეთის ხელისუფლებამ გააკეთა. **"როცა ქართველ მეწარმეს ქვეყანაში საიუველირო ნაწარმის დასამზადებლად საჭირო შესაბამისი მასალა შემოაქვს, საბაჟო გადასახდის გარდა, ის იბეგრება წინასწარ 20 პროცენტიანი დამატებითი ღირებულების გადასახადით. ეს მაშინ, როცა მას ჯერ არა აქვს პროდუქცია დამზადებული. მართალია, მისი რეალიზაციის შემდეგ ამ 20 პროცენტს სახელმწიფო გვიქვითავს, მაგრამ წინასწარი გადახდის პრაქტიკა ძალიან ბევრ მეწარმეს წელში წყვეტს. რატომ არ შეიძლება, რომ ქართველმა ბიზნესმენებმა საიუველირო ნაწარმის მასალა შემოიტანონ საერთაშორისო ფასით და შემდეგ მოგებიდან გადაუხადონ სახელმწიფოს ყველა ის გადასახადი, რაც მათზეა დაკისრებული?"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს ოქროს ბირჟის გენერალურმა დირექტორმა იულონ ბალაშვილმა.

ცნობისათვის - დღეს სახელმწიფო ოქროს არ ყიდის, როგორც ეს მეზობელ თურქეთში ან სხვა სახელმწიფოებში ხდება, ამიტომაც ადგილობრივი ბაზარი თითქმის მთლიანად იმპორტირებული ნაწარმით არის გაჯერებული.

მოქმედი კანონმდებლობის კიდევ ერთი ხარვეზი, რაზეც იუველირები ხშირად მიუთითებენ და რაც მათ ბიზნეს ხელ-ფეხს უკრავს, ექსპორტირებულ პროდუქციას ეხება. **"აქ დამზადებული საიუველირო ნაწარმი, როდესაც რეალიზაციისთვის საზღვარგარეთ გადის, როგორც ეს ექსპორტის სხვა სახეობების შემთხვევაში, გათავისუფლებულია გადასახადისგან, მაგრამ თუკი მეწარმემ ვერ მოახერხა ამ პროდუქციის რეალიზაცია, უკან შემოტანის დროს მისი ნაწარმი იმპორტივით იბეგრება. ეს კი მეწარმეს ხშირად აიძულებს, რომ ექსპორტისგან თავი შეიკავოს,"** – ამბობენ ქართველი იუველირები, რომლებიც დარწმუნებულები არიან, რომ ამ სფეროში ქაოსი საბაჟო კოდექსის რადიკალურ ცვლილებამდე იარსებებს.

ძნელი სათქმელია, როდის მოიცლის საქართველოს ყველა შესაბამისი უწყება მეწარმეთა ამ კატეგორიის ინტერესების დასაცავად, თუმცა ერთი რამ აშკარაა, რომ პოსტრევოლუციური სახელმწიფო ასეთი "ფუფუნების" უფლებას საკუთარ თავს უახლოესი ორი სამი წლის განმავლობაში ვერ მისცემს.

## ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია იწყებს დასუფთავების კამპანიას ბორჯომსა და ბაკურიანში

**ბორჯომი, 2004წლის 15 ოქტომბერი, პარასკევი** ბი-პი (BP) და მის პარტნიორები ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) ნავთობსადენის პროექტში სიამოვნებით გაცნობებენ, რომ დაიწყო ახალი პროექტის განხორციელება, რომელიც მიმართულია სანიტარული და ბუნებრივი გარემო პირობების გაუმჯობესებისაკენ ბორჯომისა და ბაკურიანის მოსახლეობისათვის. პროგრამას აფინანსებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია (ბი-თი-სი კო) და ახორციელებს გერმანიის ტექნიკური დახმარების საზოგადოება - საერთაშორისო სერვისები (GTZ IS) ბორჯომის რაიონის გამგეობასთან შეთანხმებით.

პროექტის მიზანია სანიტარული მდგომარეობის და ბუნებრივი გარემოს სწრაფად გაუმჯობესება ბორჯომსა და ბაკურიანში, საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელების გზით:

- უნებართვო ნაგავსაყრელების დახურვა, დასუფთავება და ტერიტორიების რეაბილიტაცია
- არსებული ნაგავსაყრელების და მათთან მისასვლელი გზების მოწესრიგება
- ნარჩენების შეგროვებისა და ნაგავსაყრელების ოპერირებისათვის საჭირო მანქანა-მექანიზმებისა და აღჭურვილობის შეძენა
- პერსონალის ტრეინინგი და ინსტრუქტაჟი
- საზოგადოების ინფორმირების კომპანიის წარმარათვა, ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართვის მიზნით

ეს პროექტი პირველია, რომლის განხორციელებაც დაიწყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის 5 მილიონიანი პროექტის "დიდი" ბორჯომის ინიციატივის ფარგლებში, რომელიც საქართველოში ბი-თი-სი-კო-ს გრძელვადიანი სოციალური ინვესტირების პროგრამის მთავარი ნაწილია.

"დიდი"" ბორჯომის ინიციატივა, რომლის დეტალებიც ამჟამად დამუშავების პროცესშია, შეეხება ისეთ სფეროებს, როგორიცაა გარემოს დაცვა, ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა და პროფესიული ტრენინგი, რითაც ხელს შეუწყობს ბორჯომის, წალკისა და ახალციხის რაიონების მომავალ განვითარებას.

BP საქართველოს გენერალურმა მენეჯერმა ბატონმა ედ ჯონსონმა აღნიშნა: "BP და BTC აცნობიერებს ბორჯომის რაიონის მნიშვნელობას საქართველოსათვის. მოხარული ვართ, რომ ჩვენი სოციალური ინვესტირების პროგრამები საშუალებას გვაძლევს გამოვხატოთ ბორჯომის მოსახლეობისადმი მხარდაჭერა და ხელი შევუწყოთ მათ განვითარებას. ჩვენ გვჯერა, რომ ეს პროგრამა არის BP-სა და ბორჯომის მოსახლეობის ხანგრძლივი და ნაყოფიერი თანამშრომლობის გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯი."

# საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
## აცხადებს კონკურსს
# საეთერო საერთო რადიომაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად

"კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის 362 მუხლის შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში "კომისია") სიხშირული სპექტრის გამოყენებით საქმიანობაზე ლიცენზიის გასაცემად კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კონკურსის გამოცხადების საფუძვლების - თავისუფალი რესურსის არსებობის და/ან ლიცენზიის მაძიებლის მიერ კომისიისათვის შესაბამისი განცხადების წარდგენის შემთხვევაში.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიას განცხადებით მიმართა ტელერადიოკომპანია "მწვანე ტალღამ" (11.08.2004 №0702) საეთერო საერთო რადიომაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ.

კანონმდებლობით მაუწყებლებისათვის განსაზღვრული ვალდებულებების, ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტების, აგრეთვე, სამაუწყებლო ზონის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, არსებული სიხშირული რესურსის მიზნობრივი და ოპტიმალური გამოყენების, ხარისხიანი მაუწყებლობის მიწოდების წინაპირობების შექმნის მიზნით, "კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა და 455 მუხლის, "კოდის გამოყენებით საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე და სიხშირული სპექტრის გამოყენებით საქმიანობაზე სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის განსაზღვრისა და სალიცენზიო გადასახდელის გადახდის წესის შესახებ" დებულების მე-2 მუხლის თანახმად, კომისიამ

**გადაწყვიტა:**

**1.** გამოცხადდეს კონკურსი საეთერო საერთო რადიომაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად შემდეგი პირობებით:

| | სამაუწყებლო ზონა | ანტენის განთავსების ადგილი | გეოგრაფიული კოორდინატები | ანტენის სიმაღლე მიწის ზედ.მ | სიხშირე, მჰც | სიმძლ. კვტ | მაუწყებლობის საშ. რად კმ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 4 | გორის ანძა | 44E03; 42N02 | 140 | 101.5 | 1 | 45 |
| 2 | 7 | ქუთაისის ანძა | 42E44; 42N17 | 100 | 107.4 | 2 | 55 |
| 3 | 10 | ზუგდიდის ანძა | 41E52; 42N30 | 50 | 103.6 | 1 | 40 |
| 4 | 2 | ბათუმის ანძა | 41E43; 41N41 | 100 | 101.5 | 0.5 | 25 |
| 5 | 3 | თელავი | 45E29; 41N55 | 35 | 101.1 | 0.5 | 40 |
| 6 | 6 | ბორჯომის ანძა | 43E22; 41N49 | 30 | 107.4 | 0.25 | 20 |
| 7 | 6 | ბაკურიანი | 43E31; 41N44 | 20 | 107.0 | 0.025 | 10 |
| 8 | 6 | ახალქალაქის ანძა | 43E25; 41N21 | 60 | 107.4 | 0.5 | 35 |
| 9 | 6 | ახალციხის ანძა | 42E57; 41N38 | 35 | 104.6 | 0.25 | 25 |
| 10 | 4 | ფასანაური | 44E41; 42N21 | 30 | 107.4 | 0.25 | 20 |
| 11 | 4 | გუდაური | 44E53; 42N20 | 30 | 101.6 | 0.025 | 10 |
| 12 | 4 | ყაზბეგი, ელ. კავშირის ანძა | 44E39; 42N39 | 25 | 107.4 | 0.25 | 20 |
| 13 | 5 | დმანისის ანძა | 44E13; 41N22 | 150 | 101.0 | 1 | 50 |
| 14 | 3 | დ. წყაროს ანძა | 46E08; 41N27 | 180 | 100.6 | 1 | 50 |
| 15 | 8 | ჭიათურის ანძა | 43E16; 42N17 | 50 | 107.4 | 0.25 | 35 |

ა) თხუთმეტი გადამცემის გამოყენებით მითითებული სამაუწყებლო ზონების მიხედვით

შენიშვნა:
სამაუწყებლო ზონები განსაზღვრულია კომისიის 2003 წლის 13 ივნისის N267 გადაწყვეტილების პირველი პუნქტით.
გეოგრაფიული კოორდინატები მითითებულია საანძო კონსტრუქციისათვის. შესაძლებელია ანძის კონსტრუქციის აგება აღნიშნული კოორდინატებიდან 1 000 (ერთი ათასი) მეტრის რადიუსში ზღვის დონიდან ანტენის განთავსების მითითებული სიმაღლის შენარჩუნებით (კანონმდებლობით დადგენილი აუცილებელი ნებართვების მიღების შემთხვევაში).

**ბ)** სამოქმედო ზონა - ქ.ბათუმი, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედას, შუახევის, ხულოს რაიონები (სამაუწყებლო ზონა 2);
ქ.თელავის, გურჯაანის, ახმეტის, ყვარელის, ლაგოდეხის, სიღნაღის, დედოფლისწაროს, თიანეთის რაიონები (სამაუწყებლო ზონა 3);
ქ.მცხეთის, კასპის, გორის, ხაშურის, ქარელის, ცხინვალის, ჯავის, ახალგორის, დუშეთის, ყაზბეგის რაიონები (სამაუწყებლო ზონა 4);
ქ.რუსთავი, გარდაბნის, საგარეჯოს, მარნეულის, ბოლნისის, თეთრი-წყაროს, დმანისის რაიონები (სამაუწყებლო ზონა 5);
ქ.ბორჯომის, ახალციხის, ახალქალაქის, ასპინძის, ადიგენის, ნინოწმინდის, წალკის რაიონები (სამაუწყებლო ზონა 6);
ქ.ქუთაისი, ხონის, ბაღდათის, ვანის, სამტრედიის, ზესტაფონის, თერჯოლის, ხარაგაულის, ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის რაიონები (სამაუწყებლო ზონა 7);
ქ.ჭიათურის, საჩხერის, ონის, ტყიბულის, ამბროლაურის, ცაგერის, ლენტეხის რაიონები (სამაუწყებლო ზონა 8);
ქ.ზუგდიდი და ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მესტიის რაიონები (სამაუწყებლო ზონა 10);
**გ)** სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობა განისაზღვროს 59 778 (ორმოცდაცხრამეტი ათას შვიდას სამოცდათვრამეტი) ლარით;
**დ)** კონკურსის ჩატარების თარიღად გამოცხადდეს 2004 წლის 17 დეკემბრის 12:00 საათი;
**ე)** ლიცენზიის მაძიებლების განცხადებების მიღება კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მოხდეს 2004 წლის 12 ნოემბრის 17:00 საათამდე;

**2.** ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის მაძიებელი კომისიას მიმართავს განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:
ა) ფიზიკური პირისთვის - სახელი, გვარი, დაბადების ადგილი და თარიღი, რეგისტრაციის მონაცემები, მისამართი, მოქალაქეობა;
ბ) იურიდიული პირისთვის - საფირმო სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი (ადგილსამყოფელი), სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემები, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი, მონაცემები დამფუძნებლების შესახებ;
გ) ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიის სახე, რომლის მიღებასაც მოითხოვს ლიცენზიის მაძიებელი;
დ) ტელერადიომაუწყებლობის სავარაუდო ხანგრძლივობა დღე-ღამის განმავლობაში;
ე) ტელერადიომაუწყებლობის დადგენილი პრიორიტეტების უზრუნველყოფის პირობები;
ვ) სამაუწყებლო ზონის დასახლებული ტერიტორიის მაუწყებლობით მოცვის გრაფიკი და სამაუწყებლო ზონაში პრაქტიკული საქმიანობის დაწყების ვადები;
ზ) ტელერადიოპროგრამების გავრცელებისათვის გამოსაყენებელი ტექნიკური საშუალებები;

**3.** ლიცენზიის მაძიებლის განცხადებას თან უნდა დაერთოს:
ა) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი.
ბ) სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის 10%-ის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. ეს თანხა ჩაირიცხება კომისიის ანგარიშზე. ლიცენზიის მიუღებლობის შემთხვევაში ლიცენზიის მაძიებელს უბრუნდება აღნიშნული თანხა, საბანკო მომსახურების ხარჯების გამოკლებით, კომისიისთვის წერილობითი განცხადების წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დარჩენილი თანხა გადაიხადოს კონკურსის პირობების შესაბამისად.
გ) სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები; ფიზიკური პირისათვის - აგრეთვე, პირადობის მოწმობის ასლი;
დ) ლიცენზიის მიღების შემთხვევაში განსახორციელებელი სამაუწყებლო კონცეფცია;
ე) სამაუწყებლო საქმიანობის დოკუმენტურად დასაბუთებული დაფინანსების გეგმა;
ვ) განსახორციელებელი საქმიანობის ტექნიკური პროექტი, რომელმაც სამშენებლო, სანიტარულ-ჰიგიენური, ეკოლოგიური ექსპერტიზისა და სათანადო ნებართვების უზრუნველყოფის მიზნით ექსპერტიზა უნდა გაიაროს კომისიასთან შექმნილ მუდმივმოქმედ ქვეკომისიაში. ლიცენზიის მაძიებელი კონკურსზე დაიშვება ქვეკომისიის დადებითი დასკვნის არსებობის შემთხვევაში.

**4.** კომისია არ მიიღებს წარმოებაში ლიცენზიის მაძიებლის განცხადებას კონკურსში მონაწილეობის შესახებ, თუ მის მიერ არასრულყოფილადაა წარმოდგენილი ამ გადაწყვეტილების მე-2 და მე-3 პუნქტებში მითითებული მონაცემები და დოკუმენტაცია, რის თაობაზეც ლიცენზიის მაძიებელს განემარტება განცხადების წარდგენისთანავე. დაუშვებელია კონკურსში მონაწილეობის თაობაზე განცხადებისა და დოკუმენტაციის კომისიისათვის საფოსტო გზავნილების სახით მიწოდება. კონკურსის ჩატარების დროს სავალდებულოა ლიცენზიის მაძიებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის დასწრება;

**5.** ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად კონკურსში მონაწილეობის მიღება, "კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის 452 და 362 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ეკრძალება:
ა) უცხო ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს და მის წარმომადგენლებს;
ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეს, მოქალაქეობის არმქონე პირს და მათ წარმომადგენლებს;
გ) უცხოეთის კანონმდებლობის მიხედვით რეგისტრირებულ პირს, მის წარმომადგენლობებსა და ფილიალებს;
დ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, რომლის საწესდებო კაპიტალის 50%-ზე მეტი ეკუთვნის ამ პუნქტის "ბ"-"გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ სუბიექტს.
ე) პირს, რომელიც კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში სამაუწყებლო სატელევიზიო სიხშირული რესურსის საერთო მოცულობის 50%-ის ან მეტის მფლობელი გახდება ამ გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრულ კონკრეტულ სამაუწყებლო ზონაში.

**6.** კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება შემდეგი ასპექტების მიხედვით:
ა) ტექნიკური;
ბ) ფინანსური;
გ) პროგრამირების.

**7.** ტექნიკური ასპექტის შეფასებისას კომისია პრიორიტეტს ანიჭებს ლიცენზიის მაძიებლის მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების პირობას, აგრეთვე მის მიერ მაუწყებლობის პროცესში გამოყენებული ტექნიკური საშუალებების ევროპულ ჰარმონიზებულ სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხს.
ტექნიკური ასპექტის მიხედვით შეფასების მაჩვენებელია 1 ქულა.

**8**. ფინანსური ასპექტი შეფასდეს წარმოდგენილი სამაუწყებლო საქმიანობის დოკუმენტალურად დასაბუთებული დაფინანსების გეგმის თანახმად, მიმდინარე და მომავალში საქმიანობის დაწყებისა და გაფართოების დაფინანსების წყაროების და მოცულობის მიხედვით, შემდეგი ჩამონათვალის შესაბამისად:
ა) საკუთარი წყაროები (მათ შორის უშუალოდ განხორციელებული საქმიანობიდან მისაღები სავარაუდო შემოსავლები);
ბ) სესხები;
გ) სუბსიდიები, გრანტები და სპონსორული დაფინანსება;
დ) საინვესტიციო ვალდებულებები;
ფინანსური ასპექტის მიხედვით შეფასების მაჩვენებელია 2 ქულა;

**9.** პროგრამირების ასპექტი შეფასდეს წარმოდგენილი სამაუწყებლო კონცეფციის კომისიის მიერ დადგენილ ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტებთან შესაბამისობის, ადგილობრივი წარმოების პროდუქციის ოდენობის, აგრეთვე სამაუწყებლო ზონის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის (მომხმარებლების) მრავალფეროვანი ინტერესების გათვალისწინებით. პროგრამირების ასპექტის მიხედვით შეფასების მაჩვენებელია 3 ქულა.

**10.** კონკურსში მონაწილეობის მსურველმა ამ გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის "დ", "ე", "ვ", "ზ" ქვეპუნქტით, მე-3 პუნქტის "დ" და "ე" ქვეპუნქტებით, მე-8 და მე-9 პუნქტების მოთხოვნების ამსახველი მასალები უნდა წარმოადგინოს ბიზნეს-გეგმის სახით, რომელსაც თან უნდა დაერთოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

**11.** გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია - ტექნიკური, ფინანსური და პროგრამირების ასპექტების მიხედვით დაგროვილი ქულების მაქსიმალური რაოდენობა.

**12.** კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება კომისიის სხდომაზე. კომისიის სხდომაზე დგინდება საჭირო დოკუმენტაციის არსებობა და კონკურსის პირობებთან შესაბამისობა. კონკურსში მონაწილეობისთვის არ დაიშვება ის პირი, რომელსაც არასრულად აქვს წარმოდგენილი დოკუმენტაცია ან მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ შეესაბამება კანონით დადგენილ მოთხოვნებს ან კონკურსის პირობებს. სხდომის ოქმი, რომელსაც კონკურსის დამთავრების შემდეგ ხელს აწერენ საკონკურსო სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი, მოწმდება კომისიის ბეჭდით.

**13.** თუ კონკურსის ორი ან მეტი მონაწილის ქულების ოდენობა თანაბარია, კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება "კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის 455 მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად, შემდეგი წესით:
ა) საკონკურსო სხდომის თავმჯდომარის მიერ ხდება სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის დაფიქსირება და თანხის იმ მინიმალური ოდენობის გამოცხადება, რომელიც უნდა დაემატოს კონკურსის მსვლელობისას ბოლო მაქსიმალურ განაცხადში დაფიქსირებული თანხის ოდენობას (საკონკურსო ბიჯი), რომელიც შეადგენს სალიცენზიო გადასახდელის 5 პროცენტს დამრგვალებულს მთელ რიცხვამდე. საკონკურსო ბიჯი უცვლელია. იგი ჯერადად უნდა დაემატოს კონკურსის მსვლელობისას ბოლო მაქსიმალურ განაცხადში დაფიქსირებულ თანხის ოდენობას.
ბ) კონკურსის მონაწილის მიერ კონკურსის დაწყებისას დაფიქსირებული თანხის ოდენობა არ უნდა იყოს ნაკლები სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობისა და საკონკურსო ბიჯის ჯამისა.
გ) ყოველი მომდევნო მონაწილის მიერ თანხის დაფიქსირება ხდება წინა მონაწილის მიერ თანხის დაფიქსირების შემდგომ საკონკურსო ბიჯის დამატებით. კონკურსის მონაწილეს უფლება აქვს დააფიქსიროს საკონკურსო ბიჯზე მეტი თანხა.
დ) კონკურსში გამარჯვებულად ჩაითვლება ის მონაწილე, რომელიც კონკურსის მსვლელობისას დააფიქსირებს გადასახდელი თანხის მაქსიმალურ ოდენობას.
ე) ყოველი მონაწილის მიერ დაფიქსირებული თანხა აისახება სხდომის ოქმში.

**14.** კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ მიიღება კომისიის გადაწყვეტილება. კომისიის გადაწყვეტილების ასლი კონკურსის შედეგების შესახებ ეგზავნება კონკურსის ყველა მონაწილეს.

**15**. სალიცენზიო გადასახდელის ოდენობა ან სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობა და გადახდის პირობები მითითებული უნდა იყოს კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ კომისიის გადაწყვეტილებაში.

**16**. კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონკურსში გამარჯვებულისათვის ლიცენზიის გაცემის თაობაზე სალიცენზიო გადასახდელის ან სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის 20%-ის კომისიის ანგარიშზე, ხოლო 10%-ის კავშირგაბმულობისა და ფოსტის ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების ხელმისაწვდომობისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ხაზინაში გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე თანხების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში. დარჩენილი ნაწილის გადახდა უნდა მოხდეს ლიცენზიის მოქმედების ვადის პირველი წლის გასვლიდან მომდევნო ცხრა წლის განმავლობაში თანაბარწილად ლიცენზიის მოქმედების ვადის ყოველი მომდევნო წლის პირველივე თვის განმავლობაში სახელმწიფო ხაზინაში გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე, კავშირგაბმულობისა და ფოსტის ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების ხელმისაწვდომობისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად.

**17**. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია მაუწყებლობის პროცესში დაიცვას საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით ან/და შეთანხმებებით, საქართველოს ორგანული კანონით "საქართველოს საარჩევნო კოდექსი", "კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ", "დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ", "საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ", "მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ", "რეკლამის შესახებ" და "სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონებით და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესები.

**18.** კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია მაუწყებლობის განხორციელების პროცესში უზრუნველყოს მისთვის ლიცენზიით განსაზღვრული სამაუწყებლო ზონ(ებ)ის სრულად დაფარვა ლიცენზიით განსაზღვრულ ვადაში, საკუთარი სამაუწყებლო ქსელის შექმნის ან სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე სხვა პირის ტექნიკური საშუალებების გამოყენების გზით.

**19**. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია კომისიას მოთხოვნისთანავე წარუდგინოს მაუწყებლობის პროცესში ტელერადიოპროგრამის გავრცელების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

**20**. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია მაუწყებლობის დაწყების შემდეგ კვირაში ერთხელ კომისიას მიაწოდოს და გამოაქვეყნოს ყოველი მომდევნო კვირის სამაუწყებლო ბადე.

**21**. კონკურსის საფუძველზე ლიცენზიის მიღებისას კონკურსის პირობები და ლიცენზიის მაძიებლის მიერ კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილ დოკუმენტაციაში აღნიშნული პირობები აისახება კომისიის მიერ გაცემული ლიცენზიის განსაკუთრებულ პირობებში, როგორც ტელერადიომაუწყებლობის ოპერატორის ვალდებულებები.

**22.** ლიცენზიის განსაკუთრებული პირობები შეიძლება შეიცვალოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში მოქმედი კანონმდებლობლობის ცვლილების შესაბამისად.

**23.** გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საოლქო სასამართლოში (ქ. თბილისი, რობაქიძის გამზ. 7ა) 6 თვის ვადაში;

**24.** საკონკურსო სხდომა საჯაროა. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ კომისიის გადაწყვეტილება ვრცელდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და ქვეყნდება კომისიის ვებ-გვერდზე (www.gncc.ge) ინტერნეტში;

*კომისიის თავმჯდომარე* *დ.ქიტოშვილი*

# ნახევრად გათხრილი არქიტექტურული ძეგლები

*თელავის რაიონში, სოფელ გულგულას, ყარაჯალასა და ვარდისუბნის გადაკვეთაზე "ნოტკორას" სამნავიანი ბაზილიკის ნანგრევებია შემორჩენილი. მეექვსე საუკუნეში აგებული ბაზილიკის ნაშთები ატმოსფერული პირობებისა და მცენარეთა ფესვების ზემოქმედებით სულ უფრო ზიანდებოდა. 2002 წლის ზაფხულში იქ არქეოლოგიური სამუშაოები დაიწყო, თუმცა უწყებათაშორის შეუთანხმებლობის საფუძველზე, რასაც უსახსრობაც დაემატა, გათხრები შეჩერდა, რამაც ისტორიულ ძეგლს დიდი ზიანი მიაყენა. სპეციალისტების აზრით, არქეოლოგიური გათხრების დაწყებამდე საჭიროა, გათვალისწინებული იქნეს საკონსერვაციო სამუშაოების ხარჯები, წინააღმდეგ შემთხვევაში, არქეოლოგიური სამუშაოები არ უნდა დაიწყოს.*

თამარ დვალი

**"დაუმთავრებელი არქეოლოგიური სამუშაოების უმეტესობა უწყებებს შორის შეუთანხმებლობის ბრალია. ამჟამად "ნოტკორაში" კატასტროფული სიტუაციაა. არ შეიძლება მიწა მოვაცალოთ ძეგლს და შემდეგ ასეთ მდგომარეობაში დავტოვოთ. "ნოტკორაში" რომ მუშაობა ინსტრუქციის მიხედვით დაწყებულიყო, რასაკვირველია პრობლემების წინაშე არ აღმოვჩნდებოდით. ჩვენი მიზანი მარტო გათხრა არ არის, ჩვენი მიზანი აღმოჩენილის დაცვაა. შექმნილ სიტუაციაში ერთ-ერთი გამოსავალია, ძეგლს მიწა მივაყაროთ და მოვახდინოთ მისი დროებითი კონსერვაცია. ეს ნაგებობა თავდაპირველ მდგომარეობაში რომ დაგვეტოვებინა, ბევრად უფრო დაცული იქნებოდა. დღეს არქეოლოგიაში ქაოსური მდგომარეობაა. ამას მოწმობს ისიც, რომ შავ ბაზარზე არქეოლოგიური ნივთები იყიდება. ჩემი აზრით, ეკლესია მხოლოდ ძეგლი არ არის და უკეთესია, თუკი მის ამოქმედებას შევუწყობთ ხელს, "** – აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას, საპატრიარქოს საბჭოს წევრმა, არქეოლოგმა გივი ბოლქვაძემ. იგი როგორც საპატრიარქოს საბჭოს წევრი, მიიჩნევს, რომ სამარხების გათხრა მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში უნდა მოხდეს და ცნობისმოყვარეობის მიზნით მათი შეხება დაუშვებელია.

2002 წელს დაწყებულ "ნოტკორას" არქეოლოგიურ გათხრებში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან შეკრებილი სტუდენტებიც იღებდნენ მონაწილეობას. გათხრების შედეგად მიკვლეულია ერთი მეტრის სიგანის მასიური კედელი. ნაპოვნია უამრავი თიხის ჭურჭლისა და კრამიტის ფრაგმენტები. გათხრებთან ახლოს აღმოჩენილია ქვა, რომელზედაც ადამიანის ხელია გამოსახული. მოპოვებულია ძვირფასი ნივთიერი მასალა: კანკელის ქვის სვეტები ბოლნური ჯვრებით და მცენარეული ორნამენტი. ვერცხლის მეთოთხმეტე და და მეთვრამეტე საუკუნის მონღოლური და ირანული მონეტები, ვერცხლის ბეჭედი წარწერით "შუშანა" და სხვა. აღმოჩენილი ნივთების უმეტესი ნაწილი თელავის ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება.

არასამთავრობო ორგანიზაციის "ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის ინიციატივით", სხვადასხვა დარგის სპეციალისტები ძეგლის გადარჩენის საკითხზე მსჯელობენ. მიხეილ გელაშვილმა, რომელიც პროფესიით არქიტექტორ-რესტავრატორია, პრობლემის მოგვარების გეგმა წარმოადგინა. მისი პროგრამის თანახმად, "ნოტკორაში" გაზაფხულზე საკონსერვაციო სამუშაოები დაიწყება.

**"არქეოლოგიური სამუშაოები ქალაქ თელავის მკვიდრის, არქიტექტორ გრიგოლ გაგნიძის ინიციატივით დაიწყო. მას მიაჩნდა, რომ ამ ადგილას არჩილ მეფე იყო დაკრძალული. ჩვენი ორგანიზაცია ამ იდეის ხელშემწყობად გამოვიდა. არქეოლოგიურ სამუშაოებს კი არქეოლოგიის ცენტრი აწარმოებდა. რადგანაც, არქეოლოგიის ცენტრი ველარ ასრულებს თავის ფუნქციებს, საჭიროა საქმე ბოლომდე ერთობლივად მივიყვანოთ, "** – განაცხადა "ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს ეროვნული კომიტეტის კოორდინატორმა ალექსანდრე რუსეცკიმ.

# სომხურ-გერმანული მრიცხველების მოლოდინში

*1 ოქტომბერს "თბილწყალკანალისა" და წყალმზომი ხელსაწყოების მწარმოებელი სომხურ-გერმანული კომპანია "არაზენის" წარმომადგენლებმა საქართველო-სომხეთის საზღვართან ახლოს ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის თანახმად, კომპანია "არაზენი" "დიდი დილმის ექსპერიმენტისათვის" საჭირო წყლის მრიცხველებს "თბილწყალკანალს" უახლოეს სამ კვირაში მიაწვდის. ექსპერიმენტისთვის შერჩეულ კორპუსებში კი მათ ჩამოტანიდან უმოკლეს ვადაში დაამონტაჟებენ.*

ნანა ყაველაშვილი

მრიცხველების დამონტაჟება ექსპერიმენტის მეორე და არსებითი ეტაპია. 23 აგვისტოს "თბილწყალკანალმა" წერილები გაუგზავნა ექვს პოტენციურ მომწოდებელ კომპანიას: "შლუნბერგერი" (საფრანგეთი), "ბი-მეტერსი" (იტალია), "ცენერი" (გერმანია), "ჰიდრომეტერი" (გერმანია), "ABB-კენტი" (გერმანია), "არაზენი` (სომხეთი-გერმანია), რომ პასუხად მათ საჭირო მოწყობილობის დახასიათება და კომერციული წინადადებები გამოეგზავნათ. მიღებული წინადადებების განხილვისა და ანალიზის შედეგად, "თბილწყალკანალის" მუდმივმოქმედმა სატენდერო კომისიამ მისაღებად მიიჩნია კომპანია "არაზენის" შემოთავაზება და რეკომენდაცია გაუწია მასთან ხელშეკრულების გაფორმებას.

"არაზენის" მრიცხველი, "თბილწყალკანალის" მენეჯერის (სამეცნიერო დარგში) გურამ სოსელიას თქმით, საერთაშორისო სტანდარტების, ზუსტად აღმრიცხავი, იაფი და საიმედოა. მისი საცალო ფასი 10 ევრო, დაახლოებით 25 ლარია, თუმცა მსგავს წყალმზომებს ელიავას ბაზრობაზე, თურმე, 45 ლარად ყიდიან.

**"დაახლოებით ოთხი-ხუთი წლის წინათ, დიდ დიღომში ერთმა მეცნიერ-მუშაკმა, გვარად მეგრელიშვილმა, საკუთარი ინიციატივით თვითონვე დააყენა ბინაში ორი მრიცხველი: ერთი – აბაზანაში, უნიტაზსა და პირსაბანზე, მეორე – სამზარეულოში. გადასახადებს არსებული ტარიფით იხდიდა. აღმოჩნდა, რომ მისი შვიდსულიანი ოჯახის მიერ ერთი თვის განმავლობაში დახარჯული წყლის გადასახადმა ნაცვლად რვა ლარი და 40 თეთრისა, სამი ლარი შეადგინა,"** - ამბობს "თბილწყალკანალის" მენეჯერი გურამ სოსელია. მისივე თქმით, ერევნის 45 პროცენტი "არაზენის" ნაწარმითაა გამრიცხველიანებული. იქ მოსახლეობაც კმაყოფილია და წყალკანალის ადგილობრივი სამსახურიც. საქართველოსგან განსხვავებით, სადაც ერთი ოჯახი დღე-ღამეში, საშუალოდ, 960 ლიტრ წყალს მოიხმარს, "გამრიცხველიანებულ" ერევნელებს 250-300 ლიტრი, თურმე, თავისუფლად ჰყოფნით.

**"რამდენიმე წლის მერე, როცა დღის წესრიგში დადგება მთელი ქალაქის გამრიცხველიანება, ისევ"არაზენის", ჩვენ მიერ იმ დროისთვის უკვე გამოცდილ მრიცხველებს დავამონტაჟებთ. ამ წყალმზომების გაჩერება შეუძლებელია. მას კარგი დამცავი მექანიზმი აქვს და ნებისმიერ მანიპულაციაზე მაშინვე რეაგირებს. მწყობრიდან მხოლოდ მაშინ გამოდის, თუ რამის დარტყმის შედეგად დაიმტვრა,"** - ამბობს გურამ სოსელია.


## სამკურნალო გაერთიანება "ლიგა"

**სექსოპათოლოგიის კლინიკა**
**ტელ: 32 21 21**

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გაუმჯობესება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა ქრონიკული დაავადებების ფონზე.

თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11


# საქაერონავიგაციაში დივერსიაზე საუბრობენ

## კარბელაშვილმა კომპრომატების ფრიალი დაიწყო

ოთარ ქირია

*სახელმწიფო საწარმო "საქაერონავიგაცია" სკანდალურ ინფორმაციას ავრცელებს. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გიორგი კარბელაშვილი დივერსიაზე საუბრობს. რატომ და ვის მიერ იქნა შესყიდული უვარგისი ტენიკა ქვეყნის ნავიგაციისათვის, ვინ ჩაიჯიბა მილიონები და რა მისწერა კარბელაშვილმა პროკურატურას?*



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

არცთუ დიდი ხნის წინათ, "24 საათი" მკითხველს იმ დარღვევებისა და გარეცხილი მილიონების შესახებ მოუთხრობდა, რასაც გასული თერთმეტი წლის მანძილზე საქაერონავიგაციაში ჰქონდა ადგილი. საქაერონავიგაციის ყოფილი და ერთპიროვნული ხელმძღვანელი ალექსანდრე სილაგაძე საწარმოს პირადი და რამდენიმე კონკრეტული პირის ინტერესების სასარგებლოდ მართავდა. გარეცხილი მილიონები, გაბერილი სამშენებლო თანხები, საეჭვო საბანკო და საფინანსო შეთანხმებები და გარიგებები, ხელოვნურად შექმნილი დავალიანებები და ა.შ. "24 საათმა" იმ ხალხის სიაც გამოაქვეყნა, რომლებიც საქაერონავიგაციის ისედაც გაბერილ შტატში შედიოდა და, ამავდროულად, სილაგაძის ნათესაობაში ირიცხებოდა. მაშინ ძალოვანება "24 საათის" ინფორმაცია ყურად არ იღეს. ან შესაძლოა, იღეს კიდეც. ნებისმიერ შემთხვევაში, გიორგი კარბელაშვილის მიერ პროკურატურისთვის გაკეთებულ ინფორმაციაში დარღვევებზე საკმაოდ ბევრია ნათქვამი.

დღეს ყურადღების ცენტრში მოექცა რუსულ კომპანია "ნიტასთან" გაფორმებული კაბალური ხელშეკრულება და მისი სავალალო შედეგები. რა მოხდა?

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ დაახლოებით ათი წლის წინათ, საქაერონავიგაციამ, სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციით, ხელშეკრულება გააფორმა ამერიკელებთან და დაიწყო ქართული ნავიგაციის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აღჭურვის პროცესი. ამერიკელებს მუშაობა დღესაც არ დაუმთავრებიათ, თუმცა 1997 წლიდან საქაერონავიგაციასთან მათ გაუგებრობა შეექმნათ. რატომ? იმიტომ, რომ საწარმოს ხელმძღვანელმა სილაგაძემ გადაწყვიტა დანარჩენი საქმიანობის არა ამერიკელებთან, არამედ რუსებთან ერთად წარმართვა. ჩვენი ინფორმაციით, საქართველოს მთავრობამ მაშინ წერილიც კი მიიღო ამერიკული მხარისგან, საყვედურების ტონით, თუმცა პასუხი არავის გაუცია, რადგან ავიაციის ადმინისტრაციას მაშინ ზურაბ ჭანკოტაძე ხელმძღვანელობდა. ეს ის ჭანკოტაძეა, რომელიც უკვე რამდენიმე თვეა, პატიმრობაში იმყოფება. მეტიც, ხშირად კულუარებში საქაერონავიგაციას "ჭანკოტაძის კანტორას" უწოდებდნენ.

მოკლედ, სილაგაძემ რუსულ კომპანია "ნიტას", რომელიც, სხვათა შორის, მხოლოდ 12-13 წელიწადია, რაც არსებობს და ექსპერტთა განმარტებით, ეს ვადა პრაქტიულად არაფერს ნიშნავს ავიაციაში, შეუკვეთა სპეციალური ტექნოლოგიები. როცა "24 საათმა" კულურაული ინფორმაცია გამოაქვეყნა იმის თაობაზე, რომ "ნიტასთან" გაუგებარი ხელშეკრულება დაიდო, სილაგაძეს ბევრი ქომაგი გამოუჩნდა ყველა დონის ხელისუფლებაში. მას შეუდარებელ ნავიგატორად რაცხავდნენ.

რა მოხდა დღეს? ორიოდ დღის წინათ, როცა კარბელაშვილის ინიციატივით "ნიტასთან" გაფორმებული ხელშეკრულების ექსპერტული შესწავლა დასრულდა, ამავდროულად რუსეთიდან მიიღეს განბაჟებული ტვირთი, გაირკვა, რომ საქაერონავიგაციაში სპეც-ტექნიკის ნაცვლად მიიღეს უბრალო ტელევიზორები, ჩვეულებრივი კომპიუტერები და მონიტორები, სკანერები, პრინტერები და ა.შ. - ჩვეულებრივი საოფისე ტექნიკა. ამასთან - არა რუსული წარმოების, არამედ ჩინური და ტაილანდური, რომელბიც, სხვათა შორის, თბილისის ბაზრობებზეც უხვად მოიძებნება, თანაც გაცილებით იაფად, ვიდრე სილაგაძემ შეიძინა რუსებისგან. ანუ გამოდის, რომ "ნიტა" არა მწარმოებელი კომპანიაა, არამედ - გადამყიდველი, რომელიც ასაღებს დაბალი ხარისხის ორგტექნიკას.

**"კიდევ კარგი, დროულად დავაფიქსირეთ ყველაფერი. ამ აპარატურის დაყენება აუცილებლად კატასტროფას გამოიწვევდა. ამ ტექნიკის გამოყენება შეუძლებელია, ვინაიდან ოფისებისა და კაბინეტის გარდა ეს ნავიგაციას არაფერში გამოადგება. ფულის რეცხვა ამათი ჩვეული მეთოდი იყო. გაცილებით საშიშია ის, რომ ასეთი შეთანხმებებით, საქართველო აუცილებლად დაკარგავდა საჰაერო ტრაფიკს. ანუ, ამ ტექნოლოგიებით არცერთი ავიაკომპანია, მათ შორის ქართულიც, არ ისურვებდა ფრენას. ჩვენ ვართ ნავიგაცია და ჩვენი შრომის პროდუქტია ფრენების უსაფრთხოება. ვინ იფრენს საქართველოს საჰაერო სივრცის გავლით, როცა ნავიგაციაში ბაზრობის უბრალო მონიტორები გიყენია. ეს არის დივერსია,"** – აცხადებს კარბელაშვილი და ძალოვანებს დროულ რეაგირებას სთხოვს.

ორიოდ თვის წინათ, "24 საათი" შეეცადა "ნიტას" რეპუტაციის შესწავლას. დავრეკეთ რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციასა თუ ასოციაციაში, გავაგზავნეთ ელფოსტები, დავეკითხეთ ადგილობრივ და საერთაშორისო დონის ექსპერტებს, ავიაკომპანიებს. არავის წარმოდგენა არა აქვს, რა სახის მომსახურებას სთავაზობს მომხმარებელს "ნიტა" და საერთოდ, რა ორგანიზაციაა ასეთი. არადა საქაერონავიგაციას, სილაგაძის ძალისხმევით, უკვე შესყიდული აქვს 490 ათასი აშშ დოლარის საქონელი. საინტერესოა ისიც, რომ კარბელაშვილმა, ნაცვლად ფიქსირებული 300 ყუთი ტექნიკისა, მიიღო 230 ყუთი. მიუხედავად იმისა, რომ განბაჟება გაკეთებულია სრულ შემადგენლობაზე, 70 ყუთი გაურკვეველ ვითარებაში გაქრა. ალბათ, პროკურატურა ამასაც გაითვალისწინებს.

ისე კი, წესით, ნორმალურ ქვეყანაში ასეთი ხელშეკრულებისა და ანტისახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებების გამო, სერიოზული სასჯელია. მართალია, სილაგაძეს ამ ქვეყენაში არაფერი აქვს გაფორმებული საკუთარ გვარზე, მაგრამ ამ ანტისახელმწიფოებრივ ხელშეკრულებაზე ნამდვილად აქვს ხელი მოწერილი, თანაც ყველანაირი ტენდერის ჩატარების გარეშე. რომელ ტენდერზეა საუბარი, როცა, კარბელაშვილის ინფორმაციით, ამ ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე მხოლოდ თავად სილაგაძემ და მასთან დაახლოებულმა ერთიორმა ადამიანმა იცოდა. საქმე კი სახელმწიფოს კუთვნილ მილიონ-


## აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტი საქართველოს მიკროდაფინანსების სტაბილიზაცია და გაუმჯობესება (სმსგ) აცხადებს ვაკანსიას **ადმინისტრაციული ასისტენტის** თანამდებობაზე

GMSE Promoting Sustainable Microfinance — USAID

**საქმიანობის აღწერა**

**ადმინისტრაციული ასისტენტი**

**ადგილმდებარეობა:** თბილისი

**თანამდებობის აღწერა:** ადმინისტრაციული ასისტენტი პასუხისმგებელი იქნება მთელ რიგ ადმინისტრაციულ, ფინანსურ, საკონტრაქტო და ანგარიშგებითი მოვალეობების შესრულებაზე. ადმინისტრაციული ასისტენტი იმყოფება ოფის მენეჯერის უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ.

**სამუშაო კონტრაქტის ხანგრძლივობა** - პროექტის დასრულებამდე.

**მოვალეობები და პასუხისმგებლობა**

ადმინისტრაციული ასისტენტი პასუხისმგებელი იქნება მაღალ პროფესიონალურ დონეზე შეასრულოს შემდეგი დაკისრებული მოვალეობები:

- პროექტის სხვადასხვა დოკუმენტაციის (ანგარიშები, კონტრაქტები, ქვეკონტრაქტები, გეგმები) მომზადება, გადაამრავლება და განაწილება.
- პროექტის ძირითადი ოფისის დოკუმენტაციის არქივის სისტემის ხელშეწყობა და პროექტის სრული დოკუმანტაციის თანმიმდევრული დაარქივება აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და ქემონიქს ინტერნეშნლის პოლიტიკის /პროცედურების შესაბამისად.
- სამოგზაურო სააგენტოებთან ურთიერთობა ოფის მენეჯერის მითითების შესაბამისად.
- სატელეფონო ზარებზე პასუხი, შეტყობინებებისა და ოფისში მოსული სტუმრების მიღება.
- ფაქსისა და ელექტრონული ფოსტის გაგზავნა კლიენტებთან და პარტნიორებთან მითითებების შესაბამისად.
- საფოსტო გზავნილების მომზადება და გაგზავნა სათაო ოფისში. მოსული გზავნილის მიღება და დაბინავება. გაგზავნილი და მიღებული გზავნილების აღრიცხვა და რეესტრში გატარება.
- პროექტის საბუღალტრო საქმიანობის ხელშეწყობა, (ხარჯების აღრიცხვა, ფინანსური ანგარიშგება, ბიუჯეტი, პროგნოზი) და აშ.
- პერსონალისათვის მოგზაურობასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული მხარის უზრუნველყოფა / სასტუმროს დაჯავშნა; თანამშრომლის/სტუმრის შესაბამისად ინფორმირება; სამგზავრო ბილეთების მატარებელი/თვითმფრინავი დროულად უზრუნველყოფა.
- ოფისის აღჭურვილობის მარკირება/აღრიცხვა აშშ-ს საერთაშორისო სააგენტოს (USAID) რეგულაციების შესაბამისად.
- პროექტის აღჭურვილობის ზუსტი და დეტალური ინვენტარიზაციის უზრუნველყოფა - ადგილმდებარეობის, მომხმარებლის, მფლობელისა და მდგომარეობის მითითება.
- საკურიერო დავალების შესრულება პროექტისათვის - საბანკო მომსახურება, გზავნილის მიღება და მიტანა, შესყიდვების გაკეთება და სხვა.
- გუნდის ახალი წევრის დაკვალიანება/ორიენტაცია, მაგ: საორიენტაციო პაკეტის მომზადება, მოგზაურობასთან დაკავშირებით შემდეგის უზრუნველყოფა: ვიზა, ფოტოსურათი, პასპორტი, სასტუმროს დაჯავშნა, სამედიცინო შემოწმება და ვაქცინაციები. ორიენტირების შესაბამისი ტექნიკური ნაწილის უზრუნველყოფა - დღის წესრიგი და მასალა, შეხვედრის ადგილის დაჯავშნა და ა შ.
- პერიოდულად პროექტთან დაკავშირებული გამოკვლევის ჩატარება მოთხოვნის შესაბამისად.
- პროექტთან დაკავშირებულ ჩვეულ დისკუსიებში მონაწილეობის მიღება პროექტის სტატუსზე და სამუშაო გეგმაზე.
- ოფისისათვის სხვადასხვა აღჭურვილობისა და ნივთების შეძენა (მაგ: სემინარებისათვის, სამუშაო შეხვედრებისათვის).
- პროექტის დოკუმენტაციის თარგმნა ინგლისურიდან ქართულად და პირიქით საჭიროებისამებრ.
- ოფის მენეჯერის მოვალეობების შესრულება მისი არყოფნისას.
- ოფის მენეჯერის ან აღმასრულებელი დირექტორის მიერ მიცემული სხვა დავალებების შესრულება - რაც შესაბამისობაშია საქმიანობის აღწერასთან და პროექტის ზოგად მოთხოვნილებებთან.
- ადმინისტრაციული ასისტენტი ანგარიშს აბარებს უშუალო ხელმძღვანელს-ოფის მენეჯერს ან მისი მოვალეობის შემსრულებელს.

**საჭირო კვალიფიკაცია**

მოცემული პოზიციისათვის აუცილებელი კვალიფიკაციის ჩამონთვალი:

1. **გამოცდილება (აუცილებელი)** - მსგავს პოზიციაზე სულ მცირე სამი წლის მუშაობის გამოცდილება. მრავალი მოვალეობის ერთდროულად შესრულების უნარი.
2. **განათლება (აუცილებელი)** - აკადემიური ტრენინგი ბიზნესში, ბუღალტერიაში, ან უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი სხვა მონათესავე დარგში.
3. **ენების ცოდნა (აუცილებელი)** - ინგლისური, ქართული და რუსული ენების შესანიშნავი ცოდნა.
4. **კომპიუტერული პროგრამები (აუცილებელი) - MS** ოფისის პროგრამების ( Word, Excel, Powerpoint, Outlook) ელ-ფოსტა და ინტერნეტის შესანიშნავი ცოდნა.
5. **პიროვნული თვისებები (აუცილებელი)** - ტაქტი, დიპლომატიურობა და მოთმინების უნარი - უცხოელ პერსონალთან, თანამშრომლებთან - ზოგადად საქმიანი გარემოსა და საქართველოს მთავრობის წარმომაგენლებთან ურთიერთობისას. კარგად მეტყველების უნარი და სასიამოვნო სატელეფონო ხმა. ოფისში მოსული ვიზიტორების სასიამოვნოდ და პროფესიონალურად მიღება და მათი წარდგენა.
6. **თვითმოტივაცია და ხელმძღვანელობა (აუცილებელი)** - ყველა დაკისრებული მოვალეობის შესრულებისას ინიციატივის და თვითმოტივაციის გამოვლენა და მინიმალური მეთვალყურეობის საჭიროება.

გთხოვთ გამოაგზავნოთ თქვენი დაწვრილებითი რეზიუმე და დაინტერესების წერილი ქემონიქს საქართველოს ოფისში ელ-ფოსტით: chemonics@gmse.ge ან ფაქსით: **75-10-32.**

**განცხადებების მიღების ბოლო ვადა**
**2004 წლის 22 ოქტომბერი 17:00**

# საექვოდ დაკავებული სარდალი საპყრობილეს საეჭვოდ დაემშვიდობა

ხათუნა ჯანგირაშვილი

*იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვის ბრალდებით ხმაურიანი დაკავებისა და ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველზე, ორთაჭალის იზოლატორში გასტუმრებული ყოფილი სარდალი მიხეილ ქებაძე, რომელსაც უშიშროების სამინისტრო ორი დღის წინ ბრალდების კიდევ უფრო დამძიმებას უწინასწარმეტყველებდა, გუიშინწინ, გვიან ღამით, ყველასთვის მოულოდნელად, იზოლატორიდან საკუთარ ოჯახში გაუშვეს.*



*იზოლატორიდან მოულოდნელად გათავისუფლებული ყოფილი სარდალი მომხდარს გაუგებრობას უწოდებს.*

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული ქართული სამშვიდობო ბატალიონის ყოფილი სარდლის პატიმრობიდან გათავისუფლებას გუშინწინ, გვიან ღამით, სასამართლო პროცესი არ დასჭირვებია. "ქებაძე, სვეშჩამი", - ამ სიტყვებით მიაკითხეს მას უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებმა და პატიმრობიდან ყოველგვარი სასამართლო პროცესის გარეშე გაუშვეს. იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით რამდენიმე დღის წინ დაკავებული მიხეილ ქებაძის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე შეწყვეტილია.

კონკრეტულად რას უკავშირდებოდა ყოფილი სარდლის დაკავება და რა იგულისხმებოდა სამშობლოს ღალატსა და სახელმწიფო ინფორმაციის განზრახ გაჟონვაში, რაშიც, ყოფილი სარდლის დაკავებისთანავე გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით მიხეილ ქებაძე უნდა დაედანაშაულებინათ, კვლავ გასაიდუმლოებული რჩება. მისი ასე მოულოდნელად გათავისუფლება კი, ფაქტობრივად, იმის აღიარებას ნიშნავს, რომ იარაღი, რომლის შეძენა-შენახვის ბრალდებაც დაკავებულს წარუდგინეს, მართლაც ჩადებული გახლდათ.

**"გაუგებრობაში მოვყევი, სიმართლემ გაიმარჯვა და თავისუფალი ვარ",** – ასე აფასებს მომხდარს მოულოდნელად გათავისუფლებული ყოფილი სარდალი. უშიშროების სამინისტროში კი ირწმუნებიან, რომ პატიმარის გათავისუფლება, რომელსაც ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ წინასწარი სამთვიანი პატიმრობა უპრობლემოდ შეუფარდა, მას შემდეგ გადაწყდა, რაც საქმესთან დაკავშირებული ყველა ფაქტი მოიკვლიეს და მიხეილ ქებაძის მიმართ გაჩენილი ეჭვების დასაბუთება ვერ მოხერხდა. **"ყველა ეჭვი კი ბრალდებულის სასარგებლოდ წყდება,"** - აცხადებს უშიშროების მინისტრის მოადგილე ბათუ ქუთელია.

**"ქებაძისთვის წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შეფარდებით, სასამართლომ გამოძიებისთვის სამი თვის ვადა მოგვცა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ გამოძიებისთვის მაინცდამაინც ეს ვადა უნდა იყოს გამოყენებული. ჩვენ გამოძიება დავაჩქარეთ და რადგან ეჭვები არ დადასტურდა, მივიღეთ პატიმრის გათავისუფლების გადაწყვეტილება. მის გათავისუფლებას არანაირი სასამართლო პროცესი აღარ სჭირდებოდა,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილემ კახა წერეთელმა.

არადა, ვაკე-საბურთალოს რაიონული სასმართლოს მოსამართლემ, რომლემაც მისი იზოლატორში გასტუმრების გადაწყვეტილება მიიღო, ბრალდებულის სასარგებლოდ არ გამოიყენა საქმეში არსებული ჩხრეკის ის ოქმი, სადაც მოწმეები, რომლებიც ჩხრეკას დაასწრეს, ირწმუნებიან, რომ სადავო იარაღი ქებაძეების სახლში თავად "მჩხრეკავებმა ჩადეს".

**"სისხლის სამართლის საქმე იმ მიზეზით შეწყდა, რომ მასში არსებული მტკიცებულებები იურიდიულად ვერ იქნა გამყარებული. გარდა ამისა, ის პირები, ვინც ქებაძის ბინის ჩხრეკას ესწრებოდნენ, აცხადებენ, რომ სამართალდამცველებმა ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღი სახლში თავად შეიტანეს",** - ამბობს სამშვიდობო ძალების ყოფილი სარდლის ადვოკატი ოთარ ფანქველაშვილი. იგი აცხადებს, რომ **"სასამართლოს მიერ მისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შეფარდება იმის დასტური გახლდათ, რომ სასამართლო ხელისუფლება საქართველოში არ არსებობს და მართლმსაჯულება სერიოზული პოლიტიკური ზეწოლის ქვეშაა."**

### მოკლედ

## მოშიმშილე პატიმრები ექიმსაც არ უნახავს

არასამთავრობო ორგანიზაცია "ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისათვის" ხელმძღვანელის ნანა კაკაბაძის განცხადებით, მას აკრძალული აქვს პენიტენციარულ დაწესებულებებში შესვლა და, შესაბამისად, არ იცის, როგორია ქსნის N7 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოშიმშილე და პირამოკერილი პატიმრების ჯანმრთელობის მდგომარეობა. ქსნის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში უკვე რამდენიმე დღეა, ხუთი პატიმარი შიმშილობს; ისინი საქმეების გადახედვას მოითხოვენ. ხოლო ის ორი პატიმარი, რომელსაც პირი აქვს ამოკერილი, მიიჩნევს, რომ სასამართლომ მათ მიმართ არაობიექტური გადაწყვეტილება მიიღო.

ნანა კაკაბაძის ინფორმაციით, პატიმრებმა და მისმა ორგანიზაციამ არა ერთხელ მიმართეს იუსტიციის სამინისტროსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტს, მაგრამ მათ ვერ მოახერხეს ამ პატიმრების ან ციხის საავადმყოფოში გადაყვანა, ან - ისეთ კოლონიაში, სადაც ისინი იზოლირებულნი იქნებიან.

"არ შეიძლება პატიმარი შიმშილობდეს, ხოლო იქვე სხვა პატიმრები სადილობდნენ. უფრო მეტიც, ეს მოშიმშილეები, ჯერჯერობით, ექიმსაც კი არ მოუნახულებია. ჩვენ ვაპირებთ შედარებითი ანალიზის გაკეთებას იმის თაობაზე, თუ როგორ რთულდება ვითარება ციხეებში. იმატა თვითდაზიანებისა და თვითმკვლელობების შემთხვევებმა. სულ ერთი კვირის წინათ ქსნის კოლონიაში პატიმარმა თავი ჩამოიხრჩო", - აცხადებს კაკაბაძე. **მედია-ნიუსი**

### ორი სიტყვით

**ქუთაისი.** სამტრედიაში ყაჩაღური ბანდის წევრებსა და პოლიციას შორის მომხდარი შეტაკების შედეგად ადგილზე იქნა ლიკვიდირებული ბანდის ერთ-ერთი წევრი, სამტრედიაში მცხოვრები 29 წლის ბორის გეგეშიძე. როგორც იმერეთის სამხარეო პოლიციაში განაცხადეს, გუშინწინ საღამოს, ხუთმა შეიარაღებულმა პირმა, რომელიც ზესტაფონიდან სამტრედიის მიმართულებით მოძრაობდა, ცენტრალურ ავტომაგისტრალზე თბილისელ გია ჯულაყიძეს "ჯიპის" მარკის ავტომანქანა წაართვა. დაზარალებულმა მომხდარის შესახებ ოპერატიულად აცნობა სამტრედიის პოლიციას. სამართალდამცველებმა რაიონის ერთ-ერთ ქუჩაზე გამტაცებლები ჩიხში მოიქციეს. გაიხსნა ორმხრივი სროლა, რომელიც 20 წუთის განმავლობაში გრძელდებოდა. შედეგად ოთხმა ბოროტმოქმედმა გაქცევა შეძლო, ხოლო ერთი ადგილზე იქნა ლიკვიდირებული. დადგენილია დანარჩენი ოთხის ვინაობაც. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ბათუმი.** საპატრულო პოლიციამ, რეიდის დროს, რუსეთის მე-12 სამხედრო ბაზის 90-ე პოლკის რიგითები ქურდობის ფაქტზე დააკავა. ინციდენტი გუშინწინ, გვიან ღამით მოხდა. რუსმა ჯარისკაცებმა სოფელ კახაბერში მცხოვრები ამირან მიშველაძის საცხოვრებელი სახლიდან პერსონალური კომპიუტერი და ორი ძვირადღირებული დეკორატიული ლარნაკი გაიტაცეს. საპატრულო პოლიციამ ქურდობის ადგილიდან 20 მეტრში დენის შერბაკოვი, ანდრეი აბრამენკო და ალექსეი უსოლცევი დააკავა. ჯარისკაცები ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ისინი წინასწარი დაკავების იზოლატორში მოათავსეს. პირველად საგამოძიებო მოქმედებებს მე-12 სამხედრო ბაზის 90-ე პოლკის ხელმძღვანელობაც ესწრება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს სანებართვო განყოფილების ინფორმაციით, პირად საკუთრებაში არსებულ საფანტის იარაღზე გაცემული ნებართვების ხელახალი რეგისტრაციის ვადა 15 ნოემბრამდე გაგრძელდება. შს სამინისტროს განცხადებით, "იარაღის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, საფანტის იარაღი მოკლელულიან ცეცხლსასროლ იარაღს წარმოადგენს. პირები, რომლებსაც საფანტის იარაღი ტარების უფლებით აქვთ გაფორმებული, ვალდებულები არიან, მიმდინარე წლის 15 ნოემბრამდე იარაღზე გაცემული ნებართვა შეცვალონ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პრეზიდენტად შვეიცარიის წარმომადგენელი ნუციუზ ვილდ ტაბერი აირჩია. მისი ახალი მანდატი 1 ნოემბრიდან შევა ძალაში და სამ წელს გაგრძელდება. გარდა ამისა, ევროპულმა სასამართლომ ასევე სამწლიანი ვადით ვიცე-პრეზიდენტებად საბერძნეთის წარმომადგენელი ხრისტოს როზაკისი და საფრანგეთის წარმომადგენელი ჟან პოლ კოსტა აირჩია. **ინტერ-პრესი**

# საერთაშორისო აფიორა სამგზავრო ჩეკებით

ოთარ ქირია

სამგზავრო ჩეკს მსოფლიოში ანგარიშსწორების ერთ-ერთ უსაფრთხო მექანიზმად იცნობენ. ის სწორედ იმისთვის შეიქმნა, რომ უცხო ქვეყანაში გამგზავრებული ადამიანი ფულის დაკარგვის, გაქურდვის, დაყაჩაღების ან სხვა ინციდენტის შემთხვევაში, სრულად ჯიბეგახვრეტილი არ დარჩეს. ამ ჩეკებს იღებს ყველა მაღაზია, რესტორანი, სასტუმრო თუ მომსახურების დაწესებულება, ოღონდ ერთი პირობით - მფლობელი ჩეკზე ხელმოწერას სალაროსთან გამყიდველის ან მომსახურე პერსონალის თანდასწრებით, საქონლის ან მომსახურების შეძენის მომენტში აკეთებს. უკვე ხელმოწერილ ჩეკს დაწესებულებები არ მიიღებენ. ამასთან, მომსახურე პერსონალს უფლება აქვს, მოგთხოვოთ პასპორტი და შეადაროს ერთამენთს მის თვალწინ გაკეთებული ხელმოწერა და პასპორტში არსებული ფაქსიმელია. შეუძლია, ასევე, პასპორტის სურათის მეშვეობით თქვენი იდენტიფიცირება მოახდინოს. მხოლოდ ამ პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში მიიღებთ მომსახურებას. მიუხედავად იმისა, რომ სამგზავრო ჩეკები მყარად დაცულია, საქართველოში მათი გაყალბების შემთხვევა მაინც გამოვლინდა.

რაში მდგომარეობს სამგზავრო ჩეკის უსაფრთხოება? ჩეკს აქვს ნომერი, რომელიც დაფიქსირებულია ბანკში ან საფინანსო ინსტიტუტში, სადაც ჩეკი ფულის სანაცვლოდ გადმოგცეს. ამ ნომრის ასლი მომხმარებელს ცალკე ფურცლის სახით ეძლევა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩეკის დაკარგვის შემთხვევაში, მისი აღდგენა არ გაჭირდება. იმ შემთხვევაში, თუ ჩეკი უცხო პირის ხელში ჩავარდა, ის მას ვერ გამოიყენებს, რადგან სალაროსთან ვერც ხელს მოაწერს პატრონის მსგავსად, ვერც პასპორტს წარმოადგენს და ვერც საპასპორტო იდენტიფიცირებას გაივლის წარმატებით.

გარდა ამისა, სამგზავრო ჩეკი განსაკუთრებულ ქაღალდზე, სპეციალური მეთოდიკით დამუშავებული საფინანსო ინსტრუმენტია და მას სპეციალური დამცავი მექანიზმებიც გააჩნია. ანუ, მისი გაყალბება ძალიან რთულია.

ცალკე საკითხია გაყალბებული ჩეკის გასაღება. ამ შემთხვევაში გამყალბებელი წინდაწინ გათვლას აკეთებს ისეთ ადამიანზე, რომელიც მაინცდამაინც ვერ ერკვევა ამ სფეროში. ასეთების მოძებნა კი საქართველოში, სადაც სამგზავრო ჩეკებით მომსახურება არცთუ გავრცელებულია, საკმაოდ ადვილია. ჩვენს შემთხვევაშიც ასე მოხდა.

პირველი ფაქტი სამგზავრო ჩეკების გაყალბებისა საქართველოში წელს დაფიქსირდა. ჩეკები "საქართველოს ბანკის" სალარომ აღმოაჩინა, წესის თანახმად ამოიღო და გამოკვლევისთვის ეროვნულ ბანკში გადააგზავნა. ეროვნულ ბანკში ამჟამად ძიების შედეგებს ელიან და მხოლოდ ამის შემდეგ გახდიან ინფორმაციას საჯაროს. თუმცა, ის მაინც გვითხრეს, რომ ბანკმა, კანონის თანახმად, გამოძიებისთვის ჩეკები ფინანსურ პოლიციას გადაუგზავნა, სადაც შემდეგი გაირკვა:

2004 წლის მაისში ფინანსური პოლიციის თბილისის ოპერატიულ სამმართველოში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე სსკ 212-ე მუხლით (ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადება ან გასაღება). წინასწარი გამოძიებით დადგინდა, რომ საქართველოს მოქალაქე კ.კ. ნათესავების მოსანახულებლად საბერძნეთში გაემგზავრა, სადაც მან მიიღო უვიზოდ ცხოვრების უფლება. ეს მოქალაქეობის მიღების წინაპირობაა. გარკვეული დროის მანძილზე მუშაობის შედეგად, ხსენებულმა პიროვნებამ დააგროვა თანხა და თბილისში დაბრუნება გადაწყვიტა, სადაც მას ბინა ჰქონდა დაგირავებული და თანხაც სწორედ ბინის დასახსნელად ესაჭიროებოდა.

საბერძნეთის ქალაქ ქსანტიში, ჯერჯერობით დაუდგენელ ბანკში ამ პიროვნებამ შეიძინა 14 ათასი აშშ დოლარის ღირებულების "ამერიკან ექსპრესის" სამგზავრო ჩეკები და მარტში ავტობუსით საქართველოსკენ გამოემართა. თურქეთის საბაჟოზე ბარგის შემოწმებისას მებაჟეებმა მას ჩეკები უპოვეს და საბაჟო კონტროლის შენობაში გადაიყვანეს. იმის გამო, რომ ჩეკები მგზავრს დეკლარაციაში არ ჰქონდა შეტანილი და არც მებაჟეებთან გარიგებაზე წავიდა, სამგზავრო ჩეკები მებაჟეებმა ჩამოართვეს და მოგვიანებით დაზიანებული, დახვრეტილი დაუბრუნეს. გადარჩა მხოლოდ 8 ცალი 100 დოლარიანი სამგზავრო ჩეკი.

28 აპრილს მეუღლესთან ერთად კ.კ. მივიდა ლესელიძის ქუჩაზე მდებარე "საქართველოს ბანკის" ფილიალში, სადაც ერთი ჩეკი გაანაღდა. მოგვიანებით ბანკის თანამშრომელმა, დეკლარირების მიზნით, ჩეკი ქსეროასლზე გადაიღო და ამ დროს აღმოაჩინა, რომ ჩეკზე სერიის და ნომრების ადგილას, ორი ციფრის შესაცვლელად ჩაწებებული იყო ოთხკუთხედი ქაღალდი. თანამშრომელმა ეს ამბავი ბანკის ხელმძღვანელობას აცნობა, რის შედეგადაც ბანკის ქსელში გაშვებულ იქნა ინფორმაცია საეჭვო სამგზავრო ჩეკების შესახებ.

მეორე დღეს კ.კ. მეუღლესთან ერთად ისევ ესტუმრა "საქართველოს ბანკს", ამჯერად მთაწმინდის ფილიალში, სადაც ორი ჩეკის განაღდება ითხოვა. ბანკმა უარი განაცხადა.

ერთი დღის შემდეგ ორი ჩეკი კ.კ-მ საჩუქრად ნათესავს გადასცა, ნათესავმა მისი განაღდება "საქართველოს ბანკის" პუშკინის ქუჩაზე მდებარე ფილიალში სცადა. ბანკს ინფორმაცია ყალბი ჩეკების თაობაზე უკვე ჰქონდა, შესაბამისად ჩეკები კ.კ-ს ნათესავს ჩამოერთვა. ამავდროულად ბანკში, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ფინანსური პოლიციის თანამშრომლებიც გამოცხადდნენ.

კ.კ-მ ფინანსურ პოლიციაში მიუთითა, რომ მისთვის უცნობია, თუ რატომ აღმოჩნდა საბერძნეთის ბანკში შეძენილი ჩეკები ყალბი. ექსპერტიზამ კი დაადგინა, რომ ჩეკები სტამბურ-ტოპოგრაფიული წესით არის დამზადებული და მასზე გაყალბების ნიშნები აშკარად აღინიშნება - ამოჭრილია ოთხკუთხედი მონაკვეთი და ჩაწებებულია სხვა ნომერი.

"ამერიკან ექსპრესის" დსთ-ს ქვეყნების წარმომადგენლობა იუწყება, რომ ხსენებული ჩეკები მათ საბერძნეთის ერთ-ერთ ბანკზე ჰქონდათ გადაცემული, მაგრამ ჯერ კიდევ 1998 წელს ბანკმა მათ შორის დადებული ხელშეკრულება გააუქმა და შესაბამისად ჩეკების სიყალბეზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება ბერძნულ ბანკს. თუმცა ამას ამბობს "ამერიკან ექსპრესის" წარმომადგენლობა და არა გამოძიება. როგორც ფინანსურ პოლიციაში გავარკვიეთ, საქმე დეტალური გამოძიებისათვის, თხოვნისა და კერძო დავალების სახით, საქართველოს გენერალური პროკურატურის შუამდგომლობით, თურქეთისა და საბერძნეთის სამართალდამცავ ორგანოებს გადაეგზავნა და საქართველოს მხარე გამოძიებას მხოლოდ მათ მიერ ჩატარებული გამოკვლევის დასრულების შემდეგ განაახლებს.

დაბოლოს, ჩეკის დახასიათებისას შეგნებულად არ ვახსენეთ, რომ უცხოეთში თუ ასეთი ჩეკით სარგებლობთ, ნახავთ, რომ ყველა ხსენებული პირობის დაკმაყოფილების შემდეგ, ჩეკს მოათავსებენ სალაროს სპეციალურ აპარატში, რომელიც ჩეკის ნომერს კითხულობს და ქსელის მეშვეობით ადასტურებს, რომ ასეთი ნომრის ჩეკი მართლაც არის გაცემული. გაყალბებულ ჩეკს აპარატი არ მიიღებს და მფლობელს აუცილებლად, ჩეკის ჩაბარებამდე მოუწევს სამართალდამცველებთან გასაუბრება. ალბათ დროა, ჩვენთანაც მიიღონ ასეთი განათლება. მით უმეტეს, როცა ეროვნული ბანკი დიდი ხანია, ბანკის, სხვადასხვა საფინანსო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოლარეებისთვის სპეციალურ სასწავლო კურსებს ახორციელებს.


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

სახელი, გვარი ..........

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი ..........

საკონტაქტო ტელეფონი ..........

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

ენერგოსექტორის მონიტორინგი

USAID

ECM ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი
Center of Economic Corruption Monitoring

*ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და ენერგორეფორმების საზოგადოებრივი მხარდაჭერის პროექტს "ენერგეტიკა – კორუფციის გარეშე" "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, ფონდ "ევრაზიისგან" მიღებული გრანტის მეშვეობით ახორციელებს. მიუხედავად ამისა, პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. ამ მასალების შინაარსზე პასუხს მხოლოდ "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" აგებს.*

# ელექტროენერგეტიკის რეფორმა პოსტსაბჭოთა სივრცეში

*დღეს "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" პოსტსაბჭოთა სივრცეში შექმნილი ენერგომოდელების შედარებით ანალიზს გთავაზობთ. ეს ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოს ენერგოსექტორში დღეს არსებული მოდელი ქვეყანას სერიოზული საფრთხეების და რისკების წინაშე აყენებს. სწორედ ამიტომ, სანამ საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სექტორში ჭარბად არსებული კორუფციული ხვრელების კონკრეტულ მიმოხილვაზე გადავიდოდეთ, გაგაცნობთ პოსტსაბჭოური ქვეყნების ენერგოსტრუქტურულ მოდელთა იმ ღირსებებსა და, რაც მთავარია, ნაკლოვანებებს, რომლებიც, თავის მხრივ, სპეციფიკური კორუფციული სქემების არსებობის შესაძლებლობებს იძლევიან.*

## მოდელის მძიმე და საპასუხისმგებლო არჩევანი

საბაზრო მოდელის ეკონომიკაზე გამარტივებული წარმოდგენა გულისხმობს, რომ საკმარისია საწარმოების აქციონირება და პრივატიზება (ანუ დაინტერესებულ პირთა და ორგანიზაციათა წილობრივი მონაწილეობა და ინვეტიციების ჩადება) და ყველაფერი თავისთავად ამუშავდება. ანუ, "ბაზრის უხილავი ხელი" ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს. უნდა ითქვას, რომ ეს ბოლომდე არ შეესაბამება რეალობას.

არმანდ ჰამერის დროიდან მოყოლებული (მსხვილი ამერიკელი მეწარმე, რომელიც გასული საუკუნის ოციან წლებში ბოლშევიკებთან თანამშრომლობდა), ისტორიას საკმაოდ ბევრი მაგალითი ახსოვს, როდესაც ინვესტორები საკმაოდ დიდ მოგებას იღებდნენ, რაც სულაც არ უწყობდა ხელს ეკონომიკურ ეფექტურობას და აღმავლობას (რომ არაფერი ვთქვათ მოსახლეობის ინტერესებზე) თავად იმ სახელმწიფოებში, სადაც ამ ბიზნესმენთა ინვესტიციები მიემართებოდა.

ძალზე ბევრი რამ, თუ ყველაფერი არა, დამოკიდებულია ქვეყანაში ეკონომიკის ისეთი კონკურენტუნარიანი საბაზრო მოდელის არჩევაზე, რომელიც, ინვეტიციების მოზიდვის თვალსაზრისით, მომხიბვლელი იქნება.

ამ კუთხით გავაანალიზოთ სიტუაცია, რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცეშია შექმნილი (არა მხოლოდ დსთ-ს ქვეყნებში, არამედ ვარშავის ხელშეკრულებაში შემავალ ქვეყნებშიც, რომლებიც იძულებული იყვნენ, 40 წელზე მეტი საბჭოური ეკონომიკის მოდელის გათვალიწინებით ეცხოვრათ).

ერთი მხრივ, მთელი რიგი ეკონომიკური, პოლიტიკური და ასევე, გეოპოლიტიკური მიზეზებიდან გამომდინარე, ეს ქვეყნები კვლავაც იმყოფებიან (მართალია, სხვადასხვა ხარისხით), რუსეთის ეკონომიკური გავლენისა და პოლიტიკური ინტერესების ქვეშ. მეორე მხრივ, ეს გავლენა სულაც არ არის რაღაც განსაკუთრებული და გადაულახავი, როგორც ეს ადრე იყო. ამის შედეგად, ამ ქვეყანათა ხალხებს და მთავრობებს აქვთ მათთვის ყველაზე მისაღები, ოპტიმალური და დამოუკიდებელი არჩევანის საშუალება. ანუ, საშუალება იმ არჩევანისა, რომელიც ყველაზე მისაღები იქნება მათი ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარებისთვის.

გავაანალიზოთ, ერთი მხრივ, რუსეთის ენერგეტიკის განვითრების მაგალითზე ძირითადი ტენდენციები და რისკები, მეორე მხრივ – უკრაინისა და პოლონეთის გამოცდილება.

## რუსული მოდელი

90-იანი წლების დასაწყისიდან რუსეთში გამოცხადებული ეკონომიკის სოციალისტური მოდელის რეფორმა დღემდე დაუმთავრებელია. სხვადასხვა მიზეზებით სახელმწიფო რეგულირების "სოციალისტური ოაზისები" კვლავაც შემორჩა ისეთ უსერიოზულეს სფეროებში, როგორც არის გაზის მრეწველობა, ელექტროენერგეტიკა, რკინიგზა, კომუნიკაციები და ა.შ.

სხვა სფეროებში, კერძოდ კი, ნავთობწარმოებასა და ფერად მეტალურგიაში - მოხდა მსხვილი ბიზნესისა და სახელმწიფოს ინტერესების შერწყმა.

რეგულირების გაძლიერება მომგებიანია როგორც მსხვილი ბიზნესმენებისათვის (ისინი მკაცრი კონკურენციის პირობებში გარანტირებულად არიან დაცულნი), ასევე სახელმწიფიო ჩინოვნიკებისათვის (რომლებსაც მთელი სფეროების მართვის შესაძლებლობა აქვთ).

ამ ურთიერთობების ევოლუციისთვის თვალის მიდევნება შეიძლება როგორც ამ სტრუქტურას შესანიშნავად მორგებული "ლუკოილის", "სიბნეფტის" და "ბაზელის", ასევე ურჩი "იუკოსის" საჩვენებელი განადგურების მაგალითებით.

პერსპექტივაში, ასეთი სახის რეგულირება აუცილებლად მიგვიყვანს სახელმწიფო გეგმისა თუ სახელმწიფო კონცერნების ახალი ანალოგების წარმოშობამდე. ანუ, სახელმწიფოს მხრიდან პროდუქციაზე ფასებისა და მოცულობის რეგულირებამდე მთელი ქვეყნის მასშტაბით, რაც მთლიანობაში, ეკონომიკისათვის კატასტროფული შედეგებით დასრულდება. (დეფიციტი, რიგები, ტალონების შემოღება, შავ ბაზარზე სპეკულაცია და ა.შ.). (შენიშვნა: 2004 წლის 14 ოქტომბერს საინფორმაციო სააგენტო "NEWSRU.COM"-ით გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც რუსეთის მთავრობას განზრახული აქვს ნავთობპროდუქტებზე ფასების რეგულირების შემოღება.)

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ ისეთ მსხვილ კომპანიაში, როგორც არის "რაო ეეს როსიი" და რომელსაც სათავეში უდგას ისეთი "წარმატებული მენეჯერი და ლიბერალ-საბაზრო ეკონომისტი", როგორიცაა ანატოლი ჩუბაისი, ეკონომიკურ ურთიერთობათა მთავარ მოდელად არჩეულია ე.წ. ვერტიკალურ-ინტეგრირებული მოდელი ელექტროენერგიაზე ტარიფების სახელმწიფო რეგულირებით.

სწორედ ანატოლი ჩუბაისი, მხურვალე სახელმწიფო მონოპოლისტის ენერგიითა და სიჯიუტით ცდილობდა მიეღწია (და საბოლო ჯამში, მიაღწია კიდეც), რომ "რაო ეესის" კონტროლქვეშ გადასულიყო "ირკუტსკენერგო" (რომელიც ირკუტსკის ჰესის მიერ წარმოებული იაფი ელექტოენერგიის "რაო ეესისაგან" დამოუკიდებელი მსხვილი მომწოდებელი იყო). ასევე მისი ძალისხმევით არ განხორციელდა კერძო ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობის პროექტი, რომლითაც "რუსეთის ალუმინის" (ამჟამად "ბაზელის") კერძო საწარმოებს უნდა მიეღოთ ელექტრონერგია, რომელსაც აწარმოებდა კრასნოიარსკის ჰესი. სხვათა შორის, "რუსეთის ალუმინი" ეკუთვნის არანაკლებ ძლიერ სახელმწფიო ლობისტ ოლეგ დერიპსკას.

საინტერესო დეტალი: "რაო ეესის" კუთვნილ საინფორმაციო საიტზე, განყოფილებაში "საერთაშორისო გამოცდილება რუსეთისთვის", ელექტროენერგეტიკის რეფორმის ერთ-ერთ ოპტიმალურ - ინგლისურ მოდელზე (კონკურენტული მოდელი) უარის თქმა პირდაპირ არგუმენტირებული იყო იმით, რომ ამ შემთხვევაში "მენეჯმენტი პირდაპირ დაინტერესებული არ იქნებოდა".

შეგახსენებთ - რუსეთის უახლოეს ისტორიაში სწორედ ანატოლი ჩუბაისია "ლიბერალური იმპერიის" იდეის ავტორი. ამ იდეის ძირითადი არსია რუსეთის ეკონომიკური ექსპანსია მოსაზღვრე ქვეყნებში და ამ ექსპანსიის წყალობით ამ ქვეყნების ჩართვა რუსეთის პოლიტიკური გავლენის ორბიტაში.

სწორედ აქედან გამომდინარეა, რომ სომხეთის ენერგოგენერაციის 80 პროცენტის კონტროლი, სომხეთის ატომური ელექტროსადგურის მართვა და ჩრდილოეთ რაზდანის ჰესთა კასკადის ფლობა, ასევე, "თელასის" აქციათა 75 პროცენტის შეძენა "რაო ეეს როსიის" ტყუილად როდი აინტერესებს. სომხეთიცა და საქართველოც – "რაო ეეს როსიისთვის" მხოლოდ სატრანსპორტო კორიდორია, რომელიც იმ გლობალური გეოპოლიტიკური პროექტების განხორციელების საშუალებას მისცემს, რომელიც თურქეთსა და ირანში ელექტროენერგიის ექსპორტს, ხოლო თურქეთის საშუალებით - ევროპის ბაზარზე გასვლას ეხება. უკვე არსებობს გარდაბანი-ახალციხე-ყარსის 500-კილოვოლტიანი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტიც. სხვა საქმეა, რომ, ჯერჯერობით, თურქეთის მთავრობას ამ პროექტისადმი დაინტერესება არ გამოუხატავს.

თუმცა, "რაო ეეს როსიის" უკან დასახევი გზა არა აქვს - დასავლეთზე გასვლის ერთადერთი გზა (ფინეთზე გავლით) შეზღუდულია სკანდინავიური ბაზრის მცირე მოცულობის გამო, ხოლო კალინინგრადის თბოელექტროსადგური ჯერ ასაშენებელია. გასვლა ისეთ სასურველ მყიდველზე, როგორიც გერმანიაა, ჩაკეტილია მართალია, მეგობარი, მაგრამ ჯერ კიდევ დამოუკიდებელი და, რაც ყველაზე მთავარია, ელექტროენერგიის ჭარბი რესურსების მქონე უკრაინის მიერ, რომელსაც თავად სურს ევროპას საკუთარ თბო- და ატომურ სადგურებზე წარმოებული ელექტროენერგია მიჰყიდოს. ამ სატრანზიტო შესაძლებლობების ამოქმედების შემთხვევაში "რაო ეეს როსიის" კუთვნილი ქსელებიდან ელექტროენერგიის გადაქაჩვაში რუსეთის სახელმწიფო მონოპოლისტი ან არაფერს გადაიხდის, ან მხოლოდ მინიმალური გადარიცხვებით შემოიფარგლება. ეს იმ დროს, როცა უკრაინის, ფინეთის ან საქართველოს კომპანიების კუთვნილი ელექტროგადამცემი ხაზების გამოყენებით იგივე პროცედურისთვის ტრანზიტისთვის სრული ღირებულების დაფარვა მოუწევს.

სხვათა შორის, იგივე მოსაზრებებით აიხსნება "გაზპრომის" დაუოკებელი სწრაფვაც სამხრეთ კავკასიის ქვეყნების გაზის ინფრასტრუქტურებისკენ.

სამართლიანობა ითხოვს აღვნიშნოთ, რომ რუსეთის ექსპანსიის მოდელს, შესაძლოა, წარმატება მოჰყვეს მხოლოდ ისეთ ქვეყნებში, სადაც ეკონომიკა სუსტი და კორუმპირებულია, ან სადაც მას სახელმწფიო არეგულირებს. (სხვათა შორის, ამავე მოდელს წარმატება შეიძლება მოჰყვეს ჩინეთისთვისაც, ოღონდ უკვე რუსეთთან მიმართებაში). სხვა საქმეა, რომ გარკვეული "ტაქტიკური წარმატებების" მიუხედავად, ეკონომიკაში მსხვილი სახელმწფიო მონოპოლისტების არსებობის მოდელი აუცილებლად მიგვიყვანს არაეფექტური დანახარჯების ზრდამდე, ტექნოლოგიურ ჩამორჩენამდე და ამ სფეროში საერთო კრიზისამდე.

## პოლონური მოდელი

სულ სხვაგვარად არის საქმე პოლონეთში, სადაც ელექტროენერგეტიკულმა სექტორმა თავი სწრაფად დააღწია საბჭოთა ეკონომიკის გავლენას. ოდესღაც, საბჭოთა კავშირისა და ეკონომიკური ურთიერთდახმარების კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთისა და პოლონეთის ენერგოსისტემები თანაბარ სასტარტო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.

პოლონეთის ენერგეტიკის დეცენტრალიზება ჯერ კიდევ 1990 წელს განხორციელდა. მაშინ დამოუკიდებლობა მოიპოვა 30-მა თბოელექტროსადგურმა, ორმა მააკუმულირებელმა ელექტროსადგურმა და 33-მა ელექტროენერგიის გამანაწილებელმა საწარმომ. თუმცა, 2000 წლის ივლისამდე პოლონეთში ელექტროენერგიის "ერთიანი საბითუმო შემსყიდველის" მოდელი მოქმედებდა. ეს მოდელი არაეფექტურად მიიჩნევა, რადგანაც ერთიანი მყიდველის როლში, როგორც წესი, გვევლინება სახელმწიფო საწარმო, რომელიც მთავრობაზეა დამოკიდებული (ისევე, როგორც "რაო ეეს როსიი" – რუსეთში). ამასთან, ხელისუფლებას შეუძლია ადმინისტრაციული ხერხებით ჩაერიოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარში თანხების განაწილების პროცესში იმ პირობებში, როდესაც მეწარმეთა შორის კონკურენცია ბაზარზე ფაქტობრივად არ არსებობს ისევე, როგორც არ არსებობს ეკონომიკური სტიმულები კილოვატ საათზე ფასების დაწევისათვის.

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ის დანაკარგები, რომელიც გამოწვეულია როგორც არაეფექტური ჩინოვნიკური მართვით, ისე სახელმწიფო კომპანიების ხელმძღვანელების ამბიციური პროექტების დაფინანსებით, ტვირთად აწვება საბოლოო მომხმარებელს, რომელიც, ასეთი სისტემის არსებობის პირობებში, მოკლებულია მომწოდებლის არჩევის საშუალებას.

ამიტომაც, ხანმოკლე პერიოდში პოლონელებმა შეძლეს "ერთიანი მყიდველის" მოდელისაგან გადასულიყვნენ გაცილებით სრულყოფილ და კონკურენტუნარიან მოდელზე - ე.წ. მაბალანსირებელი ბაზრისა და ორმხრივი კონტრაქტორების მოდელზე.

დღესდღეისობით, მომწოდებლების მიერ ელექტროენერგიის შესყიდვის სქემა პოლონეთში ასე გამოიყურება: მაგისტრალურ ელექტროქსელებთან გრძელვადიანი კონტრაქტების საფუძველზე იყიდება ელექტროენერგიის 65 პროცენტი, გენერაციასთან მომწოდებლთა ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე - 25 პროცენტი, ელექტროენერგიის ბირჟიდან - 5 პროცენტი, მაბალანსირებულ ბაზარზე - 2-3 პროცენტი. მაგისტრალურ ქსელებთან გრძელვადიანი ხელშეკრულებების საფუძველზე ელექტროენერგია იყიდება ფიქსირებული ტარიფებით, ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე, ბირჟისა და ბალანსირებული ბაზრის გავლით - თავისუფალი საბაზრო ფასებით. 2006 წლის პირველი იანვრიდან პოლონეთი განახორციელებს ელექტრობაზრის სრულ ლიბერალიზაციას: გამონაკლისის გარეშე, ყველა მომხმარებელი მიიღებს ელექტროენერგიის შესყიდვის უფლებას ნებისმიერი მომწოდებლისაგან.

პოლონეთში საერთო ტექნიკური დანახარჯები 5-10 პროცენტს შეადგენს მაშინ, როცა ეს დანახარჯები 90-იანი წლების დასაწყისში 20 პროცენტს შეადგენდა. ასეთი დონე უკვე პასუხობს საერთაშორისო მისაღებ სტანდარტებს. ეს კი შედეგია იმ მიზანმიმართული და სისტემატური საქმიანობისა, რომელიც მიმართული იყო ინფრასტრუქტურისა და ელექტროქსელების ტექნიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. პოლონელებმა, კონკრეტულად, გამოცვალეს 70-იანი წლებისა და საბჭოთა წარმოების ტრანსფორმატორები, დაამონტაჟეს ვაკუუმური და ელექტროგაზური გამომრთველები, ელექტრონული ავტომატიკა, თანამედროვე მრიცხველები, კავშირგაბმულობის ოპტიკურბოჭკოვანის სისტემა შეცვალეს ციფრული სადგურებით. ელექტროგადაცემის დაბალვოლტიანი ხაზების 75 პროცენტი აღჭურვეს იზოლირებული მავთულებით.

სატარიფო პოლიტიკის სფეროში პოლონელ ენერგომომწოდებლებს შეუძლიათ საკუთარ კლიენტებს შესთავაზონ სატარიფო განაკვეთების ფართო სპექტრი, რომელიც ოთხ სატარიფო ჯგუფს მოიცავს - მთლიანობაში ეს შეადგენს ოცამდე ტარიფს. თითოეული სატარიფო ჯგუფის ჩარჩოში კლიენტს აქვს სატარიფო "სტავკის" არჩევის უფლება, რაც დამოკიდებულია მოხმარების დროსა და სეზონზე. ტარიფის დაწესების სისტემა მოწყობილია შემდეგი პრინციპით: რაც უფრო მეტს მოიხმარ, მით უფრო დაბალ ფასს იხდი.

## უკრაინული მოდელი

რაც შეეხება უკრაინას. ამ ქვეყანას დღეს აქვს საერთო საზღვრები როგორც რუსეთთან, ასევე ევროკავშირთან. (თუნდაც იმავე პოლონეთის სახით).

უკრაინის პოლიტიკაცა და უკრაინის ეკონომიკაც ახლა იმყოფება ამ ორ პოლუსს შორის საკმაოდ რთული არჩევანის პროცესში. ერთი მხრივ, საპრეზიდენტო არჩევნების წინ უკრაინაში ძლიერდება რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ზეწოლა. მათ შორის, თუნდაც "რაო ეესისა" და "გაზპრომის" ლობირებით. ამან კიევი მოსკოვისადმი დაქვემდებარებამდე შეიძლება მიიყვანოს. მეორე მხრივ, არსებობს მოვლენების ამდაგვარი განვითარების ალტერნატივაც: "უკრენერგოკონსალტინგის" წარმომადგენლები, დასავლეთ უკრაინული "ზაპოროჟიეს", "ლვოვის", "პოლტავას", "სუმის", "ჩერნიკოვის", "პრიკარპატიესა" და "ტერნოპოლის" ხელმძღვანელობა მიიჩნევენ სასარგებლოდ პოლონეთის გამოცდილების შესწავლას და სამამულო ენერგოკომპლექსში დანერგვას.

2004 წლის აგვისტოში უკრაინაში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ელენ კრეიმ განაცხადა, რომ თუკი უკრაინა დათანხმდება ევროკავშირის წინადადებებს, "დაიწყება ევროპულ ენერგეტიკულ სისტემაში უკრაინის ინტეგრაციის გრანდიოზული პროცესი". მაგალითად: უკვე გამოყოფილია 3 მილიონი ევრო, რომელიც უნდა მოხმარდეს უკრაინისა და ევროპული ენერგოსისტემების შერწყმის მომზადებას. 2003 წლიდან ბურშტინსკის ჰიდროელექტროსადგური, რომელიც მოიცავს ზაკარპატიის, ნაწილობრივ ლვოვისა და ივანოვო-ფრანკოვსკის ოლქებს, უკვე მუშაობს ევროპის ეგერგოსისტემასთან პარალელურ რეჟიმში. მანამდე მან გაიარა ერთწლიანი გამოსაცდელი პერიოდი.

შემდეგი ეტაპი შეიძლება იყოს უკრაინის ელექტროსისტემის ინტეგრაცია ევროპის ენერგოსისტემასთან.

გასაგებია, რომ ნებისმიერი სცენარის რეალიზაცია (უკრაინის სულ უფრო მეტად ჩამოკიდება რუსეთის ჯერ პოლიტიკურ და შემდეგ ეკონომიკურ გავლენაზე, ან ევროკავშირთან პარტნიორობა და თანმიმდევრული ინტეგრაცია ევროკავშირში, რაც თავისთავად არ გამორიცხავს უკრაინასთვის რეალურად მომგებიან კავშირს რუსეთთან, ოღონდ თანაბარ პირობებში), დიდწილად დამოკიდებულია უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებზე. გამორიცხული არ არის, რომ მან არაერთი სიურპრიზიც კი მოგვიტანოს.

### ქართული მოდელი

ენერგოსექტორის მოწყობის ქართულ მოდელს დაწვრილებით მომავალ ორშაბათს განვიხილავთ. დღეს კი მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ საქართველოს ენერგოსექტორი ამჟამად "ერთიანი შემსყიდველის" მოდელის მიხედვით მუშაობს. დარგში არ არსებობს გენერაციის მასტიმულირებელი იმპულსი, რის გამოც ქვეყანა დეფიციტურია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ჰიდრორესურსების მარაგით საქართველო პოტენციურად ჭარბი ელექტროენერგიის ქვეყანაა, რომელსაც მომავალში ჭარბი ელექტროენერგიის ექსპორტი ძალუძს. ამის გათვალისწინებით, "ვარდების რევოლუციამდე" იყო მოსაზრება, რომ დარგი თანდათანობით უნდა გადასულიყო ე.წ. "კონკურენტულ მოდელზე", მაგრამ ექსპერტებმა და ხელისუფლებამ ეს, ჯერჯერობით, ნაადრევად მიიჩნიეს. პირიქით: ელექტროენერგეტიკაში გამკაცრდა სახელმწიფო რეგულირება, ხოლო პრივატიზაციის პროცესი გაურკვეველი დროით შეფერხდა.

## მოკლედ ევროპული ქვეყნების ენერგომოდელების შესახებ

დიდი ბრიტანეთის, სკანდინავიის, აშშ-ს შტატების უმეტესობის, არგენტინის, ბრაზილიის და ა.შ. ენერგოსექტორებმა განვითარების ყველაზე ოპტიმალურ მოდელად სწორედ "კონკურენტული მოდელი" აირჩიეს.

დღემდე დერეგულირების პროცესში არიან ტაილანდი, იტალია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა და, სხვათა შორის, ევროკავშირის ქვეყნების ენერგეტიკული კავშირი.

ამ სექტორს დღემდე სახელმწიფო არეგულირებს რუსეთსა და საბერძნეთში, ყაზახეთსა და მოლდოვაში. ასევე, ნაწილობრივ, საფრანგეთში.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის ენერგეტიკული კავშირის მოთხოვნები კავშირის ქვეყნების მიმართ შემდეგშია: გენერაციის სექტორებისა და ენერგოგასაღების ლიბერალიზაცია კონკურენციის დანერგვის გზით; მესამე პირთა სრული დაშვება სექტორში; გადაცემა-განაწილების სისტემების გამოყოფა და მკაცრი რეგულირება; 6 წლის განმავლობაში ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრების ეტაპობრივი გახსნა.

კონკურენტული მოდელი დიდმა ბრიტანეთმა თავის ენერგოსექტორში გენერაციისა და გასაღების ბაზრების გახსნით დანერგა. ბრაზილიამ გასაღების სექტორის სრული პროვატიზება განახორციელა. უნგრეთი, ტაილანდი და იტალია კი ამჟამად "ერთიანი შემსყიდველის" მოდელს იყენებენ.

ეს მოდელი უნგრეთს გენერაციისა და გასაღების სეგმენტებში კერძო კაპიტალის მოსაზიდად დასჭირდა, ტაილანდმა კერძო ინვესტორები გარანტირებული კონტრაქტებით მოიზიდა, იტალიამ კი ეს მოდელი რესტრუქტურიზაციის პროცესში მცირე მომხმარებელთა ინტერესების დასაცავად გამოიყენა.

რაც შეეხება ბრაზილიას, მან განვითარების "კონკურენტული მოდელის" არჩევისა და სადისტრიბუციო კომპანიების პრივატიზების წყალობით ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებლების მნიშვნელოვნად გაუმჯობესება შესძლო.

## დერეგულირება ეკონომიკური აღმავლობის აუცილებელი წინაპირობაა

დერეგულირებისა და ეკონომიკური აღმავლობის ურთიერთკავშირი ეკონომისტებმა უკვე დიდი ხნის წინ აღმოაჩინეს. მეოცე საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული ბევრი ქვეყანა შეგნებულად დაადგა საკუთარი ეკონომიკის დერეგულაციის გზას. ამერიკის შეერთებულ შტატებში მშპ-ს პროცენტი, რომელიც მოდიოდა დარგის რეგულირებაზე, ათი წლის განმავლობაში (1977-1987 წწ) 17 პროცენტიდან შვიდ პროცენტამდე დაეცა და ახლაც ეს პროცესი გრძლდება.

2002 წლის დეკემბერში 24 შტატსა და კოლუმბიის ფედერალურ ოლქში მომხმარებლებმა იმის უფლება მიიღეს, რომ თავად ამოერჩიათ ელექტროენერგიის მომწოდებელი.

ევროკავშირის ენერგოსისტემა ასეთივე სწრაფი ტემპებით ხდება ლიბერალური. ეს პროცესი, ძირითადად, უკვე 2006 წლისთვის დასრულდება.

თურქეთის ევროკაშვირში მომავალი გაწევრიანების ალბათობამ, შესაძლოა, საქართველოსაც გაუხსნას ევროპის ენერგოსისტემაში ინტეგრაციის პერსპექტივები. ამიტომაც, უკვე დღეს ნამდვილად აქვს აზრი იმაზე ჩაფიქრებას, რა იქნება ქვეყნის ელექტროენერგეტიკის რეფორმირების ყველაზე პერსპექტიული და კონკურენტუნარიანი

**რეგულირების გაძლიერება მომგებიანია როგორც მსხვილი ბიზნესმენებისათვის (ისინი იღებენ გარანტირებულ დაცვას მკაცრი კონკურენციის პირობებში), ასევე სახელმწიფიო ჩინოვნიკებისათვის (რომლებსაც მთელი სფეროების მართვისა შესაძლებლობა აქვთ). პერსპექტივაში, ასეთი სახის რეგულირება აუცილებლად მიგვიყვანს სახელმწიფო გეგმისა თუ სახელმწიფო კონცერნების ახალი ანალოგების წარმოშობამდე. ანუ სახელმწიფოს მხრიდან პროდუქციაზე ფასებისა და მოცულობის რეგულირებამდე მთელი ქვეყნის მასშტაბით, რაც მთლიანობაში, ეკონომიკისათვის კატასტროფული შედეგებით დასრულდება. (დეფიციტი, რიგები, ტალონების შემოღება, შავ ბაზარზე სპეკულაცია და ა.შ.)**

**ერთიანი შემსყიდველის არსებობის მოდელი არაეფექტურად მიიჩნევა, რადგანაც ერთიანი მყიდველის როლში, როგორც წესი, გვევლინება სახელმწიფო საწარმო, რომელიც მთავრობაზეა ჩამოკიდებული (როგორც "რაო ეესი" რუსეთში). ამასთან, ხელისუფლებას შეუძლია, ადმინისტრაციული ხერხებით ჩაერიოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარში თანხების განაწილების პროცესში იმ პირობებში, როდესაც მეწარმეთა შორის კონკურენცია ბაზარზე ფაქტობრივად არ არსებობს ისევე, როგორც არ არსებობს ეკონომიკური სტიმულები კილოვატ საათზე ფასების დაწევისათვის.**

**უკრაინის პოლიტიკაცა და უკრაინის ეკონომიკაც ახლა იმყოფება ორ პოლუსს შორის საკმაოდ რთული არჩევანის პროცესში. ერთი მხრივ, საპრეზიდენტო არჩევნების წინ ურაინაში ძლიერდება რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ზეწოლა. მათ შორის, თუნდაც "რაო ეესისა" და "გაზპრომის" ლობირებით. ამან კიევი მოსკოვისადმი დაქვემდებარებამდე შეიძლება მიიყვანოს. მეორე მხრივ, არსებობს პოლონეთის გამოცდილების საფუძველზე უკრაინული სამამულო ენერგოკომპლექსის აწყობის საშუალებაც, რაც უკრაინას ზემოთ ნახსენები რისკისგან დაიზღვევს. ასეთი არჩევანი საქართველოსთვისაც აქტუალურია.**












## ზურიკელა იაპონელებმაც გაიცნეს

იასუჰირო კოჯიმამ "მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" იაპონურად თარგმნა.



B2

## გენერალური რეპეტიცია უეფას თასის წინ



B4

## ტერორიზმის სათავეები



B6



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge




საზოგადოებრივი ინტერესის კარგა გვარიანი წილი მიიპყრო ... რა გვარია ის კაცი? ... ჰო, გოდაბრელიძის ქეიფმა აეროპორტში ალიონზე. მთელი მედიასივრცე დაიპყრო, ლამის "პრაიმ ტაიმიდან" ღამის შოუში ისმოდა იმ ქეიფზე წარმოთქმული სავარაუდო სადღეგრძელოები და ის კი ვერ გავიგეთ დანამდვილებით, მართლაც გაიმართა თუ არა ეს საზეიმო გაცილება. ერთი სიტყვით, ამაოდ დაშვრნენ მაუწყებლობის საუკეთესო ძალები. ჭეშმარიტად მნიშვნელოვანი კი სხვაგან ითქვა და სხვა დროს.

სახელდობრ, 10 ოქტომბერს, როცა საქართველოს პრეზიდენტი, **მიხეილ სააკაშვილი** არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა. ეს სიტყვები კი 12 ოქტომბრის ნომერში გადმოგვცა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა. პრეზიდენტმა არასამთავრობოებს უთხრა შემდეგი: "**მე ყოველთვის მქონდა მცდელობა, რომ თქვენი წრიდან თანამდებობებზე ბევრი ხალხი დაგვენიშნა, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, ეს მცდელობა მარცხით მთავრდებოდა, ისე როგორც ეს დავით უსუფაშვილის შემთხვევაში იყო. ეს ბევრს ეხება. ძალიან მაკლია თინა ხიდაშელი, რომელიც ჩემი მთავარი კრიტიკოსია და ახლა საზღვარგარეთ იმყოფება...**"

შეიძლება ითქვას, რომ გასულ კვირას მიხეილ სააკაშვილს ჩვენი ანალიზისთვის ამაზე უფრო საგულისხმო არაფერი უთქვამს. რატომ? ამას უნდა მივუძღვნა მთელი წინამდებარე პუბლიკაცია და თუ არ გამომივა, იმით მაინც ვინუგეშებ თავს, რომ ჩანაფიქრი ნამდვილად ღირდა დამარცხებად.

ჯერ პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხსენებულ სამსახურზე ვთქვათ ორიოდე ტკბილი სიტყვა. ჩვენი გაზეთის იმავე ნომერში ეროვნული ბიუროკრატიის ეს პატივსაცემი ორგანო პრეზიდენტის კიდევ ერთი ტექსტით გვიმასპინძლდება (*საქართველოში უპერსპექტივობის განცდა არავის უნდა გააჩნდეს*): ორატორული ხელოვნების ეს შედევრი საქართველოს პრეზიდენტმა "მასკის" პროგრამის კურსდამთავრებულებთან შეხვედრაზე წარმოთქვა. მათ, ვინც გაზეთებს ეროვნული შერიგების ეპოქამდეც კითხულობდა, ეხსომებათ პოლემიკა, რომელიც მაშინ **გურამ პეტრიაშვილსა** და **ლევან ღვინჯილიას** შორის გაიმართა. მაშინ ენის პალატის მომავალმა თავმჯდომარემ საინტერესო ხერხს მიმართა: გურამ პეტრიაშვილის სატელევიზიო გამოსვლის ფრაგმენტები ყოველგვარი რედაქტირების გარეშე, ასე ვთქვათ, შიშვლად გამოაქვეყნა გაზეთში და ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ამ ტექსტის ავტორმა ან ქართული არ იცის, ან აზროვნებასთანაა მწყრალად. სინამდვილეში ეფექტს ზეპირ და წერილობით მეტყველებას შორის ბუნებრივი განსხვავება იწვევდა. სხვათა შორის, როცა დაწერილ ტექსტს ზეპირად კითხულობენ ამგვარი კომიკური ეფექტი არასოდეს წარმოიშობა. ამიტომ უანდერძა ცხონებულმა დემოსთენემ ყველა ორატორს აუცილებელი რჩევა: სიტყვა ყოველთვის უნდა იყოს წინასწარ დაწერილი. ახლა კი საქმე: საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა სწორედ ასეთი "შტუკა" მოუწყო მიხეილ სააკაშვილს — პედანტური სიზუსტით გადმოსცა მისი ზეპირი ექსპრომტი და მივიღეთ ტექსტი, რომელთან შედარებით თავმჯდომარე მაოს "ციტატნიკი" ფლობერის რომანს ჰგავს.

აბა, დემოსთენეს რჩევა რომ ყურად ეღო და წინასწარ დაეწერა, ასეთი რამ კი არ გაეპარებოდა: "**ვიმეორებ, დღეს დაიჭირეს კორუმპირებული მოსამართლე, ამას წინათ ხუთი პროკურორი დააპატიმრეს, ამას მუდმივად გავაგრძელებთ**". არც იმას იფიქრებდა, რომ შემდეგი სწორხაზოვანი გულუბრყვილობით შეიძლება ეგზომ ავტორიტეტული პროგრამის კურსდამთავრებულების გულის მოგება: "**ამას წინათ საპატრულო პოლიციელს გამოცდაზე გავესაუბრე, რომელსაც, მისდა საუბედუროდ, ანკეტაში ეწერა, რომ ძალიან კარგად ფლობს ინგლისურ ენას, რაც ტყუილი აღმოჩნდა. ვკითხე არა იმიტომ, რომ ყველა პოლიციელმა უნდა იცოდეს უცხო ენა ... არამედ მისი პატიოსნება შევამოწმე. ამიტომაც მიმაჩნია, რომ საქართველოში ადამიანის შეფასების მთავარი კრიტერიუმი პატიოსნება, წესიერება, გონიერება და სწავლის სურვილია**". არა, მცირე სტილისტური შესწორებებსაც ვერ გაართვეს თავი ადმინისტრაციულ სამსახურში — ნეტა მათ რა უწერიათ ანკეტაში ქართული ენის შესახებ?

მაგრამ ესეც არაა მთავარი. ამ დაჩეხილ და უფორმო გამოსვლაში მიხეილ სააკაშვილი გვევლინება ხან ქალაქის მოურავად (მუნიციპალური ტრანსპორტი), ხან შინაგან საქმეთა სამინისტროს "პიარშჩიკად" (საპატრულო პოლიციის სამსახური), ხან პროკურატურის პრეს-მდივნად (კორუმპირებული მოსამართლეების საქმე), ხან რეპატრიაციის განყოფილების კლერკად (საქართველოში დაბრუნებული ემიგრანტები). მაგრამ სად არის მასშტაბი, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტს მოეთხოვება და სხვას არავის. რატომ სხვას არავის? — თუნდაც იმიტომ, რომ სხვა არც ერთი ადამიანი თუ ინსტიტუცია არაა აღჭურვილი ეგზომ ფართო საკონსტიტუციო უფლებებით. სწორედ სააკაშვილის პრეზიდენტობის დასაწყისში მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებები თვისებრივად განსაკუთრებულ ფუნქციას ანიჭებს ამ პოსტს და არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მასზე მდგომმა პიროვნებამ თავისი არსებობა ზემოთ ჩამოთვლილი თანამდებობების თუ ფუნქციების უბრალო შეთავსებით გაამართლოს.

ყოველ შემთხვევაში, თუ ქვეყნის პრეზიდენტს ისრაელიდან საქართველოში დაბრუნებულ ოჯახთა რაოდენობა ნამდვილად აღელვებს, ამ ინფორმაციას თვითონ უნდა ითხოვდეს შესაბამისი ადმინისტრაციული სამსახურისაგან და არა ისრაელის მთავარი რაბინისაგან იგებდეს შემთხვევით...

ახლა კი გადავხედოთ ჩვენი ცხოვრების უმთავრეს სფეროთა მდგომარეობას. მართალია, ყველაფერს ვერ მოვასწრებთ, თუნდაც იმიტომ, რომ გზისმკვლევად გასული კვირის "24 საათი" გვეყოლება, გაზეთში, როგორც ყოველთვის, ბევრი აისახება, მაგრამ არა ყველაფერი.

პარლამენტიდან დავიწყოთ.

12 ოქტომბერს **თამარ მჭედლიშვილმა** ბოლოს და ბოლოს დასვა პირდაპირი შეკითხვა: "**ნაადრევად ხომ არ დავმშვიდდით? მართლაც ხომ არ ვირწმუნეთ საბოლოოდ, რომ რევოლუციის ტალღაზე მოსული თითოეული ახალი თუ ძველი "ახალი"** (ბრავო, თამრიკო! — ნ. ლ.) **პოლიტიკური ფიგურა მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს ინტერესებს დაიცავს?**" ამ ტექსტში კონკრეტული საუბარია ქართული პოლიტიკური ელიტის ერთ საინტერესო თვისებაზე: არ არსებობს თუნდაც საკუთარ გამარჯვებაში ასი პროცენტით დარწმუნებული ჯგუფი, რომელიც თავს შეიკავებს არჩევნების გაყალბებისგან. აქედან გამომდინარე, ავტორი მოსახლეობას პოლიტიკური აქტიურობისკენ მოუწოდებს და სრულიად სამართლიანადაც. მაგრამ ვინ მოსთხოვს პასუხს კანონდამრღვევ პარლამენტს, რომელმაც ეთიკის კოდექსს ხელი მოაწერა და თავი ქუდში ჰგონია? განა ორგანული კანონის ოთხ წუთში მიღება გაგონილა? თანაც ისეთი კანონისა, რომელიც საარჩევნო სიტუაციას ძირფესვიანად გააყალბებს და არჩევნების პროცესიდან მის საფუძველსა და საზრისს — ამომრჩეველთა ნებას გამორიცხავს! უპასუხებს ამ კითხვაზე ქვეყნის პრეზიდენტი, თუ იმას გვირჩევს, 022-ზე დარეკეთო?

თუმცა ეს ბოლო რჩევაც არ იქნება აზრს მოკლებული, რადგან ჩვეული "მეკარუსელეების" ნაცვლად, რომლებიც მხოლოდ საარჩევნო უბნებზე დადიოდნენ, სულ მალე ამომრჩევლების ოჯახებში დაიწყებენ სიარულს მრისხანე და მოშავო სახის სუბიექტები ერთადერთი მოთხოვნით: არ წახვიდეთ ხმის მისაცემად! თუ არჩევნები ერთადერთი მიცემული ხმის შემთხვევაშიც ჩატარებულად ითვლება, ეს გაყალბების უტყუარი და გარანტირებული ხერხია: მისი გაყალბებად მიჩნევაც კი ძნელია.

ერთი სიტყვით, საკანონმდებლო ორგანო თანდათანობით იქცევა ცირკად (ამას ასანიძის გადეპუტატებაც მიუთითებს: ისტორიულად ხომ ძალოსნობის სახეობა სწორედ ცირკში იღებს სათავეს...) და კიდევ უფრო დაკარგავს წონას, ვიდრე რუსეთის დუმა.

ახლა განათლება და კულტურა.

საინტერესოდ დახვდნენ უნივერსიტეტში განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, **ალექსანდრე ლომაიას**. 13 ოქტომბერს ამ მოვლენას **ნინო ცინცაძის** სტატია აშუქებს. აქ ყურადღებას იქცევს ერთი მომენტი: "**დარბაზის მარცხენა ფლანგი დაჩი ცაგურიასა და მის გუნდს ეკავა**". ამათ მართლაც ერთნაირი ხალისით ეხერხებათ რევოლუციის პერიოდში პროვოკაციების მოწყობა და მერე ხუთჯვრიანი დროშის ტანზე შემოხვევა, შევარდნაძის რეზიდენციაში ღამეული სტუმრობები და ტაოკლარჯეთის ქვების ხმამაღალი ქოშინით ზიდვა, სანამ ტელეჟურნალისტის კამერა მუშაობს. ამ ზომის უპრინციპობა კი მიგვანიშნებს, რომ ისინი არასოდეს მოქმედებენ სერიოზული მხარდაჭერის გარეშე. აკი კარგახანს არ ისმოდა მათგან ჩამი-ჩუმი, ახლა რაღამ ამოაღებინათ ხმა? — ალბათ იმან, რომ უნივერსიტეტიც, პარლამენტისა არ იყოს, ცირკად აქცია დღევანდელმა ხელისუფლებამ.

საქმე ისაა, რომ როდესაც ასეთ ზედაპირულობას იჩენ საკადრო პოლიტიკაში, როცა ასე ადვილად თმობ სამართლიანი და თანასწორი არჩევითობის იმ უმთავრეს პრინციპს, რომლის დაცვასაც კისრულობ ხალხის წინაშე, რატომ უნდა გიკვირდეს, რომ პაწაწკინტელა და თავხედი მედროვეების ჯგუფმა (მაგათ მსგავსს პარლამენტშიც ხომ არ მოვკარით თვალი რამდენიმეს?) ცხვირწინ ძალების დემონსტრირება მოგიწყოს, მხოლოდ იმიტომ, რომ საკმაო საფუძველი აქვს ვარაუდისთვის: ძალაუფლების შესანარჩუნებლად იქნებ ლომაიაც ასევე ადვილად გასწირო და მის სახელთან დაკავშირებული აბეზარი რეფორმაც? ამაზე მეტი რა უნახავთ ამ ბიჭუნებს ბოლო თორმეტი წლის განმავლობაში? აქ ხომ იმის დიდი იმედიც არ არსებობს, რომ ჩვენი ყველაფრის ღირსი პროფესურა დღევანდელი აფხაზების ტოლფას ნებისყოფას გამოიჩენს, რომლებმაც კუდით ქვა ასროლინეს ვოვოჩკა პუტინს და ცხადად მაინც დააფიქსირეს, რომ მათი არჩევანი ბაგაფშია. ასეთ პირობებში კი პაწაწინა მედროვეების ასაყვავებლად ნაყოფიერი ნიადაგია. რატომ უნდა ფიქრობდნენ, რომ ხელისუფლება მათ არ შეიწყნარებს და არ შეიტკბობს?

კულტურაშიც დაახლოებით იგივე მდგომარეობაა. 13 ოქტომბერს ჰაინრიხ ბიოლის ფონდის ოფისში კულტურის შესახებ დებატები გაიმართა. მათ შესახებ 14 მარტის ნომერში **ვერა ნეფარიძემ** მოგვითხრო. აქ **გოგი გვახარიას** დაუყენებია საყოველთაოდ გაბატონებული სნობიზმის საკითხი და საყვედურიც მიუღია: შენ სნობიზმი ცუდი სიტყვა ხომ არ გგონიაო? ეს უაზრო საყვედური იქით იყოს და ტელეგადაცემა "ფსიქოს" ავტორმა შემდეგი რამ თქვა: "**სააკაშვილს სნობიზმს ნამდვილად ვერ ვამჩნევ, მაგრამ, ჩემი აზრით, ნამდვილად არსებობს საშიშროება, პრეზიდენტი და მისი ცოლი პოპ-ვარსკვლავებად გავხადოთ**".

განმარტებისათვის: სიტყვა "სნობი" წარმოიშვა ლათინური აბრევიატურისაგან s. nob., რომლითაც აღინიშნებოდა ორი სიტყვა: sine nobilitate — კეთილშობილებას მოკლებული. ასეთ მინაწერს უკეთებდნენ XVIII საუკუნის ინგლისური უნივერსიტეტების რეესტრებში მდაბიო წარმოშობის სტუდენტებს. ეს უკანასკნელნი ყველანაირად ცდილობდნენ ჯენტლმენური მანერების გადმოღებას, მაგრამ მანერები შესაბამისი შინაგანი მდგომარეობის გარეშე ყოველთვის სასაცილოდ გამოიყურება, დაახლოებით ისევე, როგორც ჩვენი კულტურის საქალაქო სამსახურის შეფი, რომელმაც კულტურის საკითხი მარტივად გადაწყვიტა: ყველა "ცოცხალი" სიმღერა კარგი ჰგონია, ყველა ფონოგრამიანი — ცუდი.

მაგრამ განა ასევე სასაცილოდ არ გამოიყურება დემოკრატია და ლიბერალური ღირებულებები, როცა ისინი კანონდამრღვევ პარლამენტს და, თქვენ წარმოიდგინეთ, დაჩი ცაგურიას ნედლ დემაგოგიას ეყრდნობა?

ამ რიტორიკული შეკითხვის საფუძველს ამაგრებს ჩვენს მედიაში შექმნილი მდგომარეობაც.

აჰა, იტყვის ვინმე ღვარძლიანი, ეროსი კიწმარიშვილის გაუჩინარებამდეც მივედით — ახლა მოჰყვება ლადარია თავისი დამქირავებლის აპოლოგიასო. ამ მოლოდინს ვერ გავამართლებ, თუმცა კი ძალიან მინდა. ამის თაობაზე 14 ოქტომბერს "24 საათში" მოწყობილი გამოკითხვიდან მხოლოდ ერთი დასკვნა გამომდინარეობს: არავინ იცის, რა მოხდა სინამდვილეში. არც მე ვიცი. მაგრამ უბედურება განა ვინმეს წასვლაშია, უბედურება თვით ეს არცოდნაა. გადის დრო, მაგრამ ჩვენ "არცოდნას განვაგრძობთ" — აი, ასეთი არაბუნებრივი გამოთქმა გვჭირდება ვითარების ზუსტად აღსაწერად. იმიტომ, რომ თვით ვითარებაა არაბუნებრივი.

თამარ მჭედლიშვილის მოწოდებას ორი დღის შემდეგ, 14 ოქტომბერს, ნინია კაკაბაძემაც შეუერთა თავისი ხმა: "**ნუ მოვდუნდებით!**". მაგრამ რა უნდა ვქნათ, როცა საზოგადოებაში ყველანაირად იხშობა არსებითი დისკუსია. განათლების რეფორმის თაობაზე საკუთარი მატერიალური და სოციალური მდგომარეობის გამო აფორიაქებული პროფესურა იხოკავს ლოყებს, საზოგადოებრივი ტელევიზიის თაობაზე — ასევე საკუთარი მატერიალური და სოციალური მდგომარეობის გამო შეწუხებული კერძო კომპანიების ჟურნალისტები. ამ ალიაქოთში კი არსებითი აზრები არ გამოითქმის.

მდგომარეობა ისეთივეა, როგორც ოთხ წუთში მიღებული ორგანული კანონის შემთხვევაში: ხელისუფლება არაფერს აყალბებს, არაფერს ზღუდავს, ის მხოლოდ პირობებს ქმნის, შეზღუდვასა და გაყალბებას ჩვენს შეგნებაში არსებული ტრადიციული მექანიზმები უკვე თავისთავად ახერხებენ. როგორ იქმნება პირობები? — თავის დროზე ამერიკელები იყენებდნენ ვიეტნამში "ამომწვარი მიწის" ტაქტიკას. როცა წამდაუწუმ გვესხმება თავზე პარლამენტში მანჭვაგრეხისა და საპრეზიდენტო ზეპირ გამოსვლებში წვრილმანთა მოჭარბების ნაპალმი, ჩვენ ირგვლივ თავისთავად იქმნება ინტელექტუალური უდაბნო.

ამის მსგავს უდაბნოში გაისმა ერთის მაგიერ სამი მღაღადებლის ხმა. ვგულისხმობ 11 ოქტომბერს გამოქვეყნებულ მიმართვას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისადმი, რომელსაც სამი მღვდელმთავარი აწერს ხელს. ესეც გარკვეული ბრძოლაა სნობიზმის წინააღმდეგ: ერთი მხრივ, მოთხოვნა იმისა, თუ როგორი უნდა იყოს საეკლესიო მოწყობა დღევანდელი პირობებისა და ეკლესიის მარადიული მისიიდან გამომდინარე (ამ მხარეს ხელისმომწერი ეპისკოპოსები წარმოადგენენ), მეორე მხრივ კი კერძო ინტერესების ხიმინჯებზე შეყენებული ბეღელი თუ ნალია, სადაც სახელმწიფოსაგან და კერძო პირებისაგან მიღებული დოვლათი ინახება და რომელსაც რის ვაი-ვაგლახით უნარჩუნებენ ღვთის სახლის გარეგნულ სახეს, ისიც ხალხის საყოველთაო უმეცრების ხარჯზე.

ამ ფონზე ეპისკოპოსები ითხოვენ: წმიდა სინოდის სამდივნოს შექმნას, სინოდალური კომისიების შექმნას, მართვა-გამგეობის დებულებაში სათანადო ცვლილებების, შესწორებების და დამატებების შეტანას, ეკლესიის სოციალური კონცეფციის შემუშავებასა და ბევრ სხვა რამეს. გულწრფელად მებრალება **შორენა თეთრუაშვილი** (წარდგენა აღარ სჭირდება), რომელსაც ისედაც ორიოდე თუ სამიოდე ერთგული სამღვდელო პირი თუ შერჩენია და თავისიანებით როგორღა დააკომპლექტებს ამ კომისიებსა თუ სამდივნოებს?! არა, იმას კი იტყვის, საცა ორნი თუ სამნი შეკრებილ ხართო სახელისა ჩემისათვის... მაგრამ ამ სიტყვებს ხომ შინაარსით ღვთის გარდა ვერავინ შეავსებს.

ჰოდა, სწორედ უშინაარსობაა ჩვენი საყოველთაო პრობლემა. უშინაარსობის შემთხვევაში კი ხელისუფლებასაც ნებისმიერი ფორმის მიღება შეუძლია, მათ შორის არაა გამორიცხული "პუტინიზაციაც", რომლის შესახებ ერთხელ უკვე ვწერდი.

ამის თაობაზე გუშინ ერთმა მეგობარმა დამირეკა და გამამხნევა: ნუ გეშინია, საქართველოში დიქტატურის რესურსი არ არსებობსო. რუსეთი ნავთობს ეყრდნობა და ბირთვულ იარაღს; ჩვენ კი, მადლობა ღმერთს, ღარიბი ქვეყანა ვართ, ჩვენებს იმდენი აქვთ ნაჭამი დასავლეთის ფულები, რომ ასე ადვილად ვერ გადაუხვევენ ლიბერალიზმის სამეუფო გზასო.

შენს პირს შაქარი-მეთქი, ვუთხარი. მერე კი აზრად მომივიდა, რომ მაინც არსებობს ავტორიტარიზმის ეროვნული რესურსი: ყოვლისმომცველი და ყველგანშემღწევი სნობიზმი, კეთილშობილებისა და სიღრმის ნაკლებობა.

აი, აქ მოვიდა დრო იმის ახსნისა, თუ რატომ იყო პუბლიკაციის დასაწყისში მოყვანილი სიტყვები ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც კი პრეზიდენტმა გასული კვირის განმავლობაში თქვა. როგორც ეტყობა, ჩვენი "კონსტიტუციური ბელადი" (გამოთქმა **თინათინ ხიდაშელის** ინტერვიუდან — "24 საათი", 14 ოქტომბერი) სახელმწიფო თანამდებობას ისევე უყურებს, როგორც დავით ოქიტაშვილი "ცოცხალ" შესრულებას: თანამდებობიანი ადამიანი ცალსახად უკეთესია თანამდებობის არმქონეზე.

თანამდებობა შესთავაზეს ადამიანს, რომელიც იმ დროს სხვაგან იმყოფებოდა. რეალურად, შეთავაზება კი არა, ლამის ფროიდისტული წამოცდენა იყო. ეს კი უკვე სიმპტომია: ფობიის სიმპტომი. "მთავარი კრიტიკოსის" დაძლევა "მთავარი კრიტიკოსისადმი" ყველაზე ძვირფასის — თანამდებობის მიცემით მოისურვეს. ეს კი ნიშნავს, რომ ამ დაძლევის კარს მომდგარ აუცილებლობას გრძნობენ.

მართლაც ძნელი იყო დასავლეთის დარწმუნება იმაში, რომ შევარდნაძე დემოკრატი არაა. მაგრამ დღეს ამგვარი დარწმუნება გაცილებით უფრო ადვილი იქნება. არა მარტო იმიტომ, რომ თვალსაწიერს უკვე ვეღარც "გორბის" მონიშნული შუბლის შარავანდედი დაუჩრდილავს და ვეღარც ბერლინის დამხობილი კედლის მტვერი: უმთავრესად იმიტომ, რომ უკვე შექმნილია პრეცედენტი. პრეცედენტი კი დასავლური მართლმსაჯულების და, შესაბამისად, მენტალობის ერთ-ერთი ბურჯია. და კიდევ იმიტომაც, რომ დამარწმუნებლებად დასავლეთს იგივე, ნდობით ერთხელ უკვე აღჭურვილი ადამიანები მოევლინება.

არ გჯერათ? — წაიკითხეთ თინათინ ხიდაშელის უკვე ხსენებული ინტერვიუ "24 საათის" 14 ოქტომბრის ნომერში და ყველაფერი გასაგები გახდება. ჯერჯერობით ინტერვიუს სათაური თბილი და ლმობიერია: როგორ ვუშველოთ ხელისუფლებას...

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 ტერორიზმი B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

# ამპრედუზო მედუზო, ანუ "არაჩვეულებრივი გამოფენა" კინოსა და რეალობაში

თამარ ამაშუკელი

ქანდაკება ხელოვნების ერთ-ერთი იმ დარგთაგანია, რომელიც გარკვეული მიზეზების გამო ჩვენში დიდი ტრადიციებით ვერ დაიკვეხნის.

თბილისისა და არა მარტო თბილისის მაცხოვრებელნი დიდად არა ვართ განებივრებული ქანდაკებებით, თუმცა XX საუკუნის დასაწყისიდან ქანდაკება გარკვეულ აღმავლობას განიცდის და ასაპარეზზე გამოვიდნენ ისეთი მოქანდაკეები, როგორებიც არიან ნიკოლაძე, კანდელაკი, ბერძენიშვილი, ამაშუკელი, მერაბიშვილი... და მსოფლიო შედევრები თუ არა, ქართული რეალობისათვის შესანიშნავი ნამუშევრები შექმნეს. არქიტექტორებთან ერთად ამ ნამუშევრებისთვის ადგილსაც ისე პოულობდნენ, რომ ამით იგებდა ადგილიც, ქანდაკებაც და ქალაქიც ლამაზდებოდა. ჩვენი ქანდაკებები არც "დავითია", არც "მოსე" და არც როდენის "მარადიული გაზაფხული". არც სტუმრები დაგვყავს ქანდაკებების სანახავად, ესაო და რა შექმნა ქართველის ხელმაო, მაგრამ მერე რა, ზოგი ამითია ძლიერი, ზოგიც - იმითი. ჩვენს მენტალიტეტთან, ალბათ, მინანქარი და ჩუქურთმა უფრო ახლოს დგას, ვიდრე ქანდაკება. თუმცა, იქმნებოდა და იდგმებოდა ქანდაკებები, რომლებიც ქალაქს რაღაც ახალს სძენდნენ, ალამაზებდნენ, ჩვენს მეხსიერებაში ილექებოდნენ და ერთი შეხედვით მიგახვედრებდნენ, ვისთვის თუ რისთვის შეუქმნიათ ისინი. ახლა არავინ იცის რა ხდება, არავინ იცის ვინ სად ან რას დგამს, ან რატომ. უბრალოდ, მთავარი სურვილი და ფინანსებია. მთავარია მონდომება, თორემ ახლა სადაც გინდა, ვისაც გინდა და რასაც გინდა იმას დაუდგამ ძეგლს. მოკლედ კი, ერთი სიმღერისა არ იყოს, "ფული გაქვს? მაქვს, მაქვს. თუ ფული გაქვს... "შეგიძლია შენს არცთუ ისე გამოჩენილ და ღვაწლმოსილ ბაბუას ქანდაკება დაუდგა. თუ ქანდაკების ფული არა გაქვთ, ეგეც არაფერია, უფრო იაფად გამოხვალთ თუ მემორიალურ დაფას შეუკვეთავთ, ზედ თქვენი საყვარელი ბაბუის სახელს დააწერინებთ და, თუ განსაკუთრებული მიღწევებით აწ გარდაცვლილი ბაბუა არ გამოირჩევა, უბრალოდ, "გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს" მიაწერთ, იგი ხომ თქვენთვის ყველაზე გამოჩენილი და საყვარელი იყო. შემდეგ ეს დაფა სადარბაზოსთან, კარგად გამოსაჩენ ადგილას დაკიდეთ და ამით უკვდავყავით თქვენი ყველაზე, ყველაზე... ბაბუის სახელი და ასე. გაივლი, ერთი დაფაა, გამოივლი - სამი, მერე ექვსი, ცხრა. ამდენი საზოგადო მოღვაწე, ვგონებ, არა ჰყავს არც ერთ ერს. ეს ყოველივე კი პირადად მე დისკომფორტს მიქმნის, ვინაიდან ამოვიკითხავ რა, ჩემთვის აბსოლუტურად არაფრის მთქმელ სახელებს, თავი უკეთეს შემთხვევაში ტურისტი, უარესში - კი გაუნათლებელი მგონია. მაგრამ, რა მოსატანია ჩემი დისკომფორტი, როცა საქმე ბაბუის სიყვარულს ეხება.

ისევ ქანდაკებას დავუბრუნდეთ, რომელიც ცოტა უფრო ძვირი დაგიჯდებათ და გამოსაქანდაკებელსაც ერთი, ორი "კაი" საქმეც უნდა ჰქონდეს გაკეთებული, თორემ აბა, ისე ვინ რას დაგადგმევინებს. და ასე, ნელ-ნელა "ეს საწყალი" თბილისი აგული ერისთავის პერსონალურ გამოფენას ემსგავსება: აქეთ, მარცხნივ დავით კაკაბაძის ქანდაკებაა. ამ ნამუშევარში ჩანს კუბიზმის გავლენა, "მიუხედავად ამისა, მხატვარი მაინც ახერხებს საკითხის ექსპრესიონისტულ გადაწყვეტას და აი, შედეგიც, ცხვირი ჰგავს? ჰგავს, თვალი, გავს? ჰგავს, შუბლი ჰგავს? ჰგავს, ე.ი. ჰგავს" - ჰგავს მაგრამ ვის? - საკითხავი აი ეს არის. როგორც ერთი ღვთისნიერი კაცის, მჭედელი სავლეს ქვრივი იტყოდა, რა გიქნეს დავით, მარტივ მამრავლებად დაგშალეს, მერე ისევ აგაწყვეს და ამ არეულ-დარეულობაში რუბიკი კუბიკი თუ, რაღაც მსგავსი შექმნეს. ახლა იტყვიან, ამ სტატიის ავტორმა არც ნამდვილი ხელოვნება და არც კუბიზმი არ იციso. ვიცი, ბატონო, ყველაფერი ვიცი, აბსტრაქციაც ვიცი, კუბიზმიც, ექსპრესიონიზმიც და ფანტაზიისა და გენიის გაფრენა და აფრენაც, მაგრამ "მაგი მაინც არაა ჩემი სიდედრი".

"გთხოვთ, დაიცვათ სიწყნარე და სიჩუმე საგამოფენო დარბაზში." აქეთ, მარცხნივ თქვენ ხედავთ შავ როიალზე "წამოჭიმულ", დიდი კომპოზიტორის, გოგი ცაბაძის ბიუსტს. დიახ, "შარვალ კოსტიუმში" გამოწყობილ ბატონ გოგის, აბსოლუტურად გაურკვეველი თეატრალური ჟესტიკულაციით. "შენი ჭირიმე ჟორჟიკა, როგორ ჰგავს, როგორ ჰგავს. ჟორჟიკა გამიცოცხლე და რაღა მომკლავს... დედა, მგონი, ჰგავს, ჰო, ჰგავს?... კი, მაგისთანა ხალათი ეცვა, აქეთ ჯიბეში ათ თუმნიანები ედო, აქეთ - საბუთები"



ო, ქალბატონი ელენე, თბილისის სულისა და კოლორიტის ტილოზე გადამტანო, ქალბატონო ელენე, ამბობენ, თქვენს დაბადების დღეზე, გაზაფხულზე თოვლი მოსულა, მერე ეს თოვლი სულში ჩაგწვდომიათ და მას შემდეგ არავის თუ ვერავის დაუხატავს თოვლი ისეთი თეთრი, ხელშეხები და თითქოს თქვენი ხელებით გამთბარი. თქვენ კი ვილაცას, კოლმეურნეობის თავჯდომარის სახელს არ დავასახელებ, კაცის ფეხსაცმელებში გამოწყობილი, ჩასუქებული ქალის სახით წარმოუდგენიხართ, "ტაბურეტკაზე" ჩამოუჯენიხართ და სულაც არ ჰგავხართ იმას, ვის ნახატებშიც თბილისმა მარადიული სიცოცხლე შეიძინა.

"ძალიან გთხოვთ, ოდნავ უკან დავიხიოთ. მოგეხსენებათ, ქანდაკება მოითხოვს დისტანციას." ვერ დავიხევთ უკან. უკან რესპუბლიკის მოედანია. უკან მანქანები დაქრიან. აქედან, ქვემოდან დავაკვირდებით. თვალი ჰგავს, ცხვირი ჰგავს ე.ი. ჰგავს. ჰგავს, ოღონდ თემურ წიკლაურს. როგორ, ბატონი თემური მოკვდა? არა, ცოცხალია და მშვენივრადაც გრძნობს თავს. ეს კი ბატონი თემური კი არა, პონიზე ამხედრებული ჩვენი დიდი და საამაყო მეფე დავითია. მოკლედ კი, რეალობასა და კინოს შორის საზღვრები იშლება. ეს ჩვენი ლამაზი თბილისი კი ერთ პატარა, უგემოვნო, პროვინციულ ქალაქს ემსგავსება.

ადრე კი, თუმცა ეს სულაც არ იყო დიდი ხნის წინ, ბევრს ფიქრობდნენ, რა და როგორ უნდა გაეკეთებინათ. დიდხანს არჩევდნენ, ვინ უნდა უკვდავეყოთ ქვაში და სად უნდა მიეჩინათ მისთვის ადგილი. ქანდაკება ნახატი არ არის, რომელიც მხოლოდ მხატვარს, მის ოჯახს და კიდევ რამოდენიმე მეგობარს მოსწონს და მასთან სახლში "ზალაში" კიდია. ქანდაკებაში ხასიათი, იდეა, მსგავსება ერთმანეთს უნდა ერწყმოდეს და შემდეგ ეს ყოველივე ქუჩას, სკვერს, ქალაქისა თუ მოქალაქის ცხოვრებაში უნდა იჭრებოდეს. ქანდაკება ქალაქის სახეა. ის ქალაქმა უნდა შეიყვაროს, მიიღოს, გაითავისოს და ისე შეირწყას, რომ უიმისობა ვერც კი წარმოიდგინოს. ქანდაკება ქვაში შექმნილი და საუკუნეებს გადაცემული ემოცია, სული, ხასიათი თუ ასოციაციაა. და ასე იყო მაშინ და არა ახლა. მაშინდელი ვახტან გორგასალი ერთი ჟესტით მთელი თბილისის ისტორიას გვიყვება. დავით გურამიშვილი... ქართლის ბედზე დაფიქრებულა. გულაჩუყებული თბილისი, კი დასამშვიდებლად ქართლის დედასთან არბის. ჩვენში ქანდაკება არასდროს ყოფილა ისეთი, როგორიც იყო იტალიაში. თბილისს არასდროს ჰქონია ტრევის შადრევანი, მაგრამ აქ ჩუქურთმებში ჩაძირული პატარ-პატარა სახლები და მათ წინ დაჩოქილი ფიროსმანია, რომელიც სულში გვწვდება და იქ რაღაც ისეთს აღვიძებს, რაც დიდი ხნის წინ გვეგონა, რომ დავკარგეთ.

თბილისის ქანდაკებები რაღაც უფრო სხვანაირია, რაღაც თავისთავადი, თითქოს სხვადასხვა ტრადიციებითა თუ თბილისის ჰავით გაჯერებული, ისევე როგორც ყველაფერი. თუმცა, ადრეც ყველაფერს როდი აკეთებდნენ კარგად, მაგრამ მგონი, მაშინ უფრო დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ ასეთ საკითხებს. ახლა რატომღაც ყველაფერი გაიოლდა და სინდის-ნამუსიც სადღაც გაიპარა. ისე, კავალერიის ოფიცრის, პიპინია ერისთავის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, "მოფიქრება უნდა, სერიოზული მოფიქრება უნდა. ქვა თიხა არაა, დაარტყამ, ვერ გაამთელებ. Вот".

# ზურიკელა იაპონელებმაც გაიცნეს

თამარ სუხიშვილი

*- ჩიგოგიძე!*

*- ვარ, მასწავლებელო!*

*- კალანდაძე!*

*- აგერ ვარ, მასწავლებელო!*

*- სიხარულიძე!*

*- ავად გახდა, მასწავლებელო, და ჭყონიამ, ცენტერაძემ, ბურჭულაძემ, ქორიძემ, ნინიძემ და ღლონტმა გააცილეს სახლში.*

*- მთელი კლასი ვერ გაყევით? - იკითხა გულჩვილმა მასწავლებელმა.*

*- ხელის მოსაკიდებელი ადგილი აღარ დარჩა, თორემ მივყვებოდით...*

ყველას კარგად გვახსოვს ცნობილი ეპიზოდი "მე, ბებია, ილიკო და ილარიონიდან". ასე იწყება თავი, რომელსაც "პირველი სიყვარული" ჰქვია და რომელიც ნოდარ დუმბაძის იაპონელი მთარგმნელის - იასუჰირო კოჯიმას საყვარელი პასაჟია ამ ნაწარმოებიდან. იასუჰირო კოჯიმამ მშვენივრად აუღო ალღო ქართულ (გურულ) იუმორს, თუმცა ნოდარ დუმბაძის შემოქმედებით მხოლოდ იუმორის გამო არ დაინტერესებულა: **"მწერალთან ოსტატურადაა ერთმანეთში შეზავებული იუმორი და სევდა. ამის გამო მომწონს და ვაფასებ ამ მოთხრობებს".** ისე, თავიდან ქართველმა მეგობრებმა "მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" სწორედ იუმორის თვალსაზრისით შეურჩიეს - ძალიან, ძალიან სასაცილოა და წაიკითხეო.

**იასუჰირო კოჯიმა** - იაპონელი ენათმეცნიერი. დაიბადა 1976 წელს დასავლეთ იაპონიაში. მისი მშობლები ახლაც იქ ცხოვრობენ. მერე ტოკიოს უნივერსიტეტში შევიდა და საცხოვრებლად დედაქალაქში გადავიდა. ამჟამად ტოკიოს უნივერსიტეტის ასპირანტია. სწავლობს ზოგად ენათმეცნიერებას. თავიდან სლავური ენების შესწავლით იყო დაინტერესებული - რუსულს ეუფლებოდა. მოგვიანებით კი კავკასიური ენებით დაინტერესდა. ქართული ენის შესწავლასაც მიჰყო ხელი. ჯერ ინგლისურ ენაზე დაწერილ ქართული გრამატიკის სახელმძღვანელოს გაეცნო. მერე იაპონიაში ქართველებსაც მიაკვლია. მჭედლიძეების ოჯახი უკვე მეშვიდე წელია იაპონიაში ცხოვრობდა - ოჯახის უფროსი ფიზიკოსი იყო და ერთ-ერთი იაპონური ფირმის ლაბორატორიაში მუშაობდა. იასუჰირო კოჯიმა ხშირად სტუმრობდა მჭედლიძეების ოჯახს, უცხო ენის სამყაროს ეჩვეოდა, ბოლოს საქართველოშიც ჩამოვიდა. ეს იყო 1998 წელს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლის მუშაობაში მონაწილეობდა. 2000-2002 წლებში თბილისში ასპირანტურაში სწავლობდა. წელს უკვე მეოთხედ ეწვია ჩვენს ქვეყანას.

**"თავდაპირველად ქართულის სწავლა ძალიან გამიჭირდა. ჯერ ერთი, ჩემთვის არტიკულაციურად და აკუსტიკურადაც ძალიან უცხო ბგერებია, გრამატიკაც საკმაოდ რთულია და ჩახლართული. მაგრამ უკვე დიდი ხანია ვსწავლობ, მეუღლეც ქართველი მყავს და..."** ამ "რთულ და ჩახლართულ" გრამატიკას კოჯიმა საკმაოდ ინტერესით იკვლევს. 2001-2003 წლებში დაიბეჭდა კოჯიმას რამდენიმე წერილი ქართულისა და მეგრულის შესახებ: "შერწყმული წინადადება და ბრუნვის ნიშნები მეგრულში", "თანდებულთა სინტაქსური ფუნქცია ქართულში", "თურმეობითისა და კილოს კატეგორია თანამედროვე ქართულში" და სხვ. (ჟურნალში "ენათმეცნიერების საკითხები")

იასუჰირო კოჯიმა ამბობს, რომ თარგმნა მისთვის უბრალო ჰობია (თუმცა ეს ნათქვამი მის პასუხისმგებლობაზე უფრო მეტყველებს). "მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" მისი მეორე თარგმანია. პირველად იაპონურიდან ქართულად თარგმნა სიგა ნაოას "კინოსაკიში". ეს თარგმანი გაზეთ "ლიტერატურულ საქართველოში" დაიბეჭდა. "მე, ბებია, ილიკო და ილარიონს" რამდენიმე წლის წინ შეეჭიდა: **"მოგეწონება, სასაცილოა და ადვილი წასაკითხიო, მითხრეს; ჩამითრია. "მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" ისე შემიყვარდა, რომ გადავწყვიტე იაპონურად მეთარგმნა. მთელი გატაცებით ვთარგმნიდი, არაფერი აღარ მახსოვდა".**

თავისთავად საინტერესოდ გვეჩვენება ამ სათარგმნელი იაპონური და ქართული მასალების შერჩევის ქვეცნობიერი იმპულსები. აქ ორი განსხვავებული მსოფლგაგება იხსნება. სიგა ნავოასთან სიცოცხლისაკენ ბუნებრივი სწრაფვა არ ეწინააღმდეგება მარადიული სიმშვიდის (ე.ი. სიკვდილის) უპირატესობის აღიარებას ცხოვრების მშფოთვარებასთან მიმართებით. ნოდარ დუმბაძის სამყარო სრულიად განსხვავებულია. აქ სიკეთე და სინათლე ჩახჩახებს, აქ სიკვდილიც სიცოცხლით არის განათებული.



*იასუჰირო კოჯიმამ "მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" იაპონურად თარგმნა.*

გავიხსენოთ მოთხრობის ფინალი: ბებია კვდება, ბნელ ოთახში შემოდის მერი: "ვიგრძენი, რომ ეს მერი იყო, რადგან მას ბნელ ოთახში უზომო სინათლე შემოჰყვა, მერე მე მაინც ავდექი და შემოვტრიალდი, რათა დამენახა ეს სინათლე და ამ სინათლეზე ჩემი ილიკო, ჩემი ილარიონი და ჩემი ბებია..." იაპონელი მთარგმნელის ეს გზა ნავოადან ნოდარ დუმბაძემდე ჩემთვის ისიკავა ტაკუბოკუს ამ სტრიქონებით ცნობიერდება: **"გავალ სახლიდან.../ გონს მოვეგები./ ხომ არის სადღაც მზე მოჩახჩახე?/ და გული შვებით ამოისუნთქავს."** (კ. ლორთქიფანიძის თარგმანი)

თარგმანზე კოჯიმა სამ წელს მუშაობდა: "თარგმნა რომ დავიწყე, ქართული ჯერ კიდევ სრულყოფილად არ ვიცოდი. ხშირად დავდიოდი მჭედლიძეების ოჯახში, განუწყვეტლივ ვეკითხებოდი - ეს რას ნიშნავს, ის რას ნიშნავს-მეთქი. დასაწყისში ვწვალობდი, თითოეული ნაწყვეტის თარგმნას უამრავ დროს ვანდომებდი, მერე თანდათან ენაც გავიტეხე..."

წლეულს მაისში იაპონიაში იასუჰირო კოჯიმას თარგმანი გამოვიდა - ნოდარ დუმბაძის "მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" იაპონურ ენაზე (გამომცემლობა Michitani, ტოკიო). ეს ქართული ლიტერატურის პირველი თარგმანია იაპონურ ენაზე, რომელიც უშუალოდ დედნიდან ითარგმნა. აქამდე არსებული იაპონური თარგმანები - "ვეფხისტყაოსანი", ნოდარ დუმბაძის "მე ვხედავ მზეს" და "ნუ გეშინია, დედა" რუსულიდან იყო შესრულებული.

"იაპონელების დიდი ნაწილი საქართველოს თითქმის არ იცნობს. მე მგონი, ამ წიგნის გამოსვლა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. არაერთი მკითხველი დაინტერესდა უცნობი ქვეყნის - საქართველოს ცხოვრებით. ერთ-ერთ გაზეთში რეცენზიაც კი დაიბეჭდა, მისი ავტორი რუსული ლიტერატურის სპეციალისტი გახლდათ. მოკლედ, კარგად მიიღეს. მკითხველთა ერთმა ნაწილმა თავისი შთაბეჭდილებებიც კი გამიზიარა. ზოგი იუმორზე ამახვილებდა ყურადღებას, ზოგი - ადამიანურ ურთიერთობებზე, სიყვარულზე (ერთი ჩემი ნაცნობი გაოცებული იმასაც მეკითხებოდა, ეს რამდენი ცხოველი ჰყოლიათ ქართულ სოფლებში: თხა, ძროხა, ცხვარი, მართლა ასეაო?). **უთქვამთ კიდეც ჩემთვის - როგორი მჭიდრო და თბილი ურთიერთობებია ამ ადამიანებს შორისო.**

**მართლაც, ზურიკელას, ილიკოს, ილარიონისა და ბებიას ურთიერთობები განსაცვიფრებელი და უჩვეულოა იაპონელთათვის.** ალბათ, ადრე იაპონიაშიც ასე იყო, მაგრამ ახლა ადამიანები უფრო დაშორებულნი, გაუცხოებულნი არიან. ის, რაც ძველად იყო, მაინცდამაინც აღარაა შენარჩუნებული. მე ვფიქრობ, ამ თვალსაზრისით, "მე, ბებია, ილიკო და ილარიონმა" დიდი შთაბეჭდილება დატოვა იაპონელ მკითხველზე."

მთარგმნელის აზრიც ასეთია. ამ ნაწარმოებში ყველაზე ღირებული სწორედ ეს ადამიანური ურთიერთობებია, რაც ყველაზე ნაღდი და ყველაზე ძვირფასია ამ ცხოვრებაში და, სამწუხაროდ, დღესდღეობით იშვიათობადაა ქცეული. ამიტომაც, როგორც იასუჰირო კოჯიმა გვეუბნება, მართალია, ქართული და იაპონური ლიტერატურული სამყარო ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდება, ეს მოთხრობა იაპონელმა მკითხველმა გულთან ახლოს მიიტანა, სწორედ ამ სითბოსა და სიყვარულის გამო.

ბუნებრივია, მთარგმნელს გარკვეული კონიუნქტურული პასაჟების განმარტება დასჭირდა, მაგალითად, საბჭოურ-სოციალისტური ლოზუნგებისა. პირდაპირი თარგმანით, კომენტარის გარეშე იაპონელი მკითხველისათვის გაუგებარი დარჩებოდა საბჭოთა წყობისა და, საერთოდ, იმდროინდელი ცხოვრების დამახასიათებელი დეტალები.

ყველაზე დიდი დრო და ენერგია კი ახალგაზრდა იაპონელმა მთარგმნელმა მაინც იუმორისტული დიალოგებისა და სიტყვათა თამაშის გადმოთარგმანებას მოანდომა. მაგალითად, ასეთის:

- რასაა, რომ იზუთხავ, შვილო?

- ზმნის პირიანობას ვსწავლობ, ბებია.

- ზმნის პირიანობა ვის გაუგია, ბიჭო, პირიანი კაცი ვიცი მე.

- ეს სხვა პირია, ბებია, შენ რომ გგონია, ის არ არის.

- პირი ერთია, ბიჭო, ქვეყანაზე...

ასეთ შემთხვევებს თარგმანის თეორიაში "უთარგმნელს" უწოდებენ. "უთარგმნელი" სიტყვების თამაში თუ ასეთი სიტყვებით აგებული ხუმრობები და მათ მიერ შექმნილი მხატვრული ეფექტი, მოგეხსენებათ, ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში მრავლადაა. სამწუხაროდ, იაპონური არ ვიცი და ამიტომ ვერც იმას გეტყვით, თუ როგორ გაართვა ამ სიძნელეს თავი ავტორმა. იასუჰირო კოჯიმამ თავადაც გაგვიმხილა, - ძალიან გამიჭირდა, მაგრამ რაღაცნაირად მაინც შევძელიო. იქვე სიცილით დასძინა - ამის ახსნას ქართულად ვერ მოვახერხებ, ძალიან რთული გამოვაო. როგორც ჩანს, მართლაც შეძლო: "ჩემი ამხანაგი მიყვებოდა, "მე, ბებია, ილიკო და ილარიონს" მატარებელში ვკითხულობდი და თავს ვერ ვიკავებდი, სიცილით ვიგუდებოდიო".

იაპონელი მთარგმნელის საყვარელი პერსონაჟი ზურიკელაა. რატომ? - ამ კითხვაზე მხრებს იჩეჩავს და პასუხის გაცემა უჭირს - კარგი ადამიანია და იმიტომო. განა ისე ბევრია ამ ქვეყნად კარგი ადამიანი? ისევ ტაკუბოკუ (დიდ პოეზიაში ყველაფრის პასუხს იპოვი): **"კარგად იცინის ეს ჭაბუკი!/ ღმერთო, რა კარგად!/ იგი რომ მოკვდეს -/ ამ წუთისოფელს ნაღველი უფრო მოემატება."**

ჩვენმა ზურიკელამ იაპონურ თარგმანში ახალი სიცოცხლე დაიწყო.

იასუჰირო კოჯიმას მთარგმნელობითი მუშაობა "მე, ბებია, ილიკო და ილარიონით" არ მთავრდება. უკვე ამზადებს XX საუკუნის II ნახევრის ქართული მოთხრობის ანთოლოგიას (გურამ რჩეულიშვილი, გიორგი ლეონიძე, გურამ დოჩანაშვილი, ლაშა თაბუკაშვილი...), ამას ალბათ XX საუკუნის I ნახევრის ანთოლოგიაც მოჰყვება, მერე ვნახოთ...

# რას იტყვის ჰილარი?!

## კლინტონების ოჯახი ჯერ კიდევ დიდი ძალაა ამერიკულ პოლიტიკაში

ირაკლი კაკაბაძე
ნიუ იორკიდან




*თუ ჰილარი კლინტონს, კერის გაპრეზიდენტება ნამდვილად მოუნდა, მის სიტყვაზე ჯერ კიდევ ძალიან ბევრია დამოკიდებული.*

როდესაც გასულ ზაფხულს, დემოკრატიული პარტიის ნაციონალური კონვენციის დაგეგმვის პერიოდში ჰილარი კლინტონი არ ფიგურირებდა, როგორც ერთ-ერთი მთავარი გამომსვლელი და ფიგურა, ნიუ იორკის დემოკრატიული პარტიის ყოფილმა ლიდერმა ჯუდით ჰოუპმა გაბრაზებულმა განაცხადა:

"ეს პირდაპირი ხელის დარტყმაა სახეში, არა პირადად ჰილარი კლინტონისათვის, არამედ ყველა ქალისათვის დემოკრატიულ პარტიაში და ყველა ქალისათვის ამერიკაში."

ასეთი კატეგორიული განცხადებების შემდეგ კერის საარჩევნო კამპანიამ სასწრაფოდ მოძებნა მნიშვნელოვანი ადგილი ჰილარისთვის. ამ კონვენციაზე სენატორი კლინტონი ერთ-ერთი მთავარი გამომსვლელი იყო, რომელმაც გარდა იმისა რომ ჯონ კერის შესახებ ილაპარაკა, წარადგინა საკუთარი მეუღლე, აწ უკვე ყოფილი ამერიკის პრეზიდენტი. კლინტონების გამოსვლა საუკეთესოთა შორის იყო იმ კონვენციაზე. თუმცა, მთლიანობაში, თავად კონვენციამ, რომელიც მასაჩუსეტსელი სენატორის დაახლოებული პირების მიერ იყო მოწყობილი, აშკარად არ გაამართლა. დემოკრატების კონვენციამ კერის არ მისცა ის უპირატესობა, რომელსაც კანდიდატი თითქმის ყოველთვის მოიპოვებს ხოლმე საერთო ეროვნული ყრილობის შემდეგ. სოციოლოგიური გამოკვლევების თანახმად კერიმ მხოლოდ 5-პროცენტიანი უპირატესობის მოპოვება შეძლო ივლისში, მაშინ როდესაც რესპუბლიკური პარტიის კონვენციის შემდგომ ბუშის უპირატესობა ერთხანს 14 პროცენტსაც შეადგენდა. სექტემბრის შუაგულისათვის კი დემოკრატი კანდიდატის მდგომარეობა თითქმის კატასტროფული იყო. ყველა პირობა ამ საარჩევნო რბოლის მოგებისათვის და ამხელა მანძილით ჩამორჩენა არჩევნებამდე 2 თვეზე ნაკლებით ნამდვილად კატასტროფის ტოლფასი იყო.

კერი მასაჩუსეტსელი ტრადიციული ლიბერალია პატრიციული წარმოშობით და იგი ადრეული ბავშვობიდანვე დაახლოებული იყო ამერიკული პოლიტიკის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან, კენედების კლანთან. კენედის კლანს დემოკრატიულ პარტიაში უკვე 4 წელზე მეტია უდიდესი გავლენა აქვს. კენედები ძველი ლიბერალური სკოლის წარმომადგენლებად ითვლებიან, მაშინ როდესაც ბილ კლინტონი და ალ გორი ეგრეთწოდებული ახალი დემოკრატების ლიდერები იყვნენ 90-იან წლებში. ძველი ლიბერალები ტრადიციულ მემარცხენე სქემას ემხრობოდნენ, სადაც გადასახადების გაზრდა და ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდა პირდაპირპროპორციულია. ამ ხაზის ყველაზე თანმიმდევრულ გამგრძელებლად ამერიკულ პოლიტიკაში მიჩნეულია სენატორი ედვარდ კენედი, ჯონ ფ. კენედის უმცროსი და ერთადერთი ცოცხალი ძმა. თედ კენედის, როგორც მას მეგობრები უწოდებენ, უკვე ჰქონდა ერთი საპრეზიდენტო კამპანია, რომელშიაც იგი დამარცხდა მაშინდელ პრეზიდენტ ჯიმი კარტერთან. 1980 წლის მერე კენედი ალიქმებოდა მოძველებული ულტრა-ლიბერალური იდეების გამგრძელებლად. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მარგინალურ ფიგურად არასდროს გადაქცეულა. პირიქით, მას, როგორც ერთ-ერთ ყველაზე გამოცდილ სენატორს ხშირად იწვევენ სხვადასხვა ცერემონიებზე არა მხოლოდ დემოკრატი, არამედ კონსერვატორი, რესპუბლიკელი პრეზიდენტებიც კი. ამას, ალბათ, მხოლოდ თედ კენედის ნიჭიერი პერსონა არ განაპირობებს, უბრალოდ, იმდენი ლეგენდარული ნათესავი ჰყავდა და ჰყავს რომ მისთვის ანგარიშის არ გაწევა, დღევანდელ ამერიკულ საზოგადო ცხოვრებაში, შეუძლებელია.

მეორე მხრივ, კი ბილ კლინტონის არჩევამ ამერიკის პრეზიდენტად 1992 წელს ახალი დასაბამი მისცა დემოკრატიულ პარტიას. სწორედ კლინტონი იყო ზომიერი და არა-დოგმატური პოლიტიკის პიონერი და ყველაზე კარგად შემსრულებელი. კლინტონმა შეძლო ის, რაც ვერც ერთმა ფისკალურად კონსერვატიულმა პრეზიდენტმა ვერ შეძლო რონალდ რეიგანის ჩათვლით. მან არათუ ნულამდე დაიყვანა საბიუჯეტო დეფიციტი, არამედ საკუთარი პრეზიდენტობის ბოლოს 200 მილიარდზე მეტი პროფიციტული დოლარი დაუტოვა ამერიკის მთავრობას. კლინტონმა უმნიშვნელოდ გაზარდა გადასახადები მდიდრებზე და საშუალო კლასსა და ღარიბებს დახმარებები გაუზარდა. კლინტონის დროს ეროვნულ უსაფრთხოებას არ გადუწევია უკანა პლანზე, მაგრამ მთავრობის ხარჯები საგრძნობლად შემცირდა. ამავე დროს, კლინტონი მეტად პრინციპული იყო, როდესაც საქმე მიდგა სოციალურად გაჭირვებული ფენების ინტერესების დაცვაზე. ის არ თმობდა ტრადიციულად ლიბერალურ ტერიტორიას და ამავე დროს, საუკეთესო თვისებებს კონსერვატორებისგანაც ილებდა. მისი ცოლი კი, ელეონორ რუზველტის შემდეგ, გამორჩეული ნიჭითა და ცოდნით გამორჩეული ქალი იყო, რომელიც თავის მიმართ გულგრილს არავის ტოვებდა. ამერიკაში კლინტონების მიმართ გულგრილი ხალხის რაოდენობა ძალიან პატარაა. ისინი ან ძალიან უყვართ ან უკიდურესად სძულთ. ბევრი მათი მოწინააღმდეგე მომხრედ გადაიქცა. იყო ამის საპირისპირო შემთხვევებიც, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ კლინტონების კეთილისმსურველები მათ მიერ თეთრი სახლის დატოვების შემდეგ ბევრად აღემატებიან მათ მტრებს. "ნიუ იორკ ობსერვერი" გასულ წელს უკვე წერდა იმაზე, რომ ჰილარი კლინტონს თეთრ სახლში დაბრუნებას ბევრი მსურველი ჰყავდა. მაგრამ ამის მიუხედავად, სენატორმა კლინტონმა არჩია პრეზიდენტობაზე კენჭი არ ეყარა 2004 წელს, თუმცა 2008 წელი არ უხსენებია. ჰილარი კლინტონის ფაქტორს ძალიან ბევრი კანდიდატი შიშით უყურებდა და მისმა კონკურენტებმა აშკარად ამოისუნთქეს, როდესაც ყოფილმა პირველმა ლედიმ უარი თქვა ამ საპრეზიდენტო კამპანიაზე. მაგრამ იმაში ეჭვი არავის ეპარება, რომ შემდეგ არჩევნებში ის კენჭს იყრის, თუ ამის შესაძლებლობა მიეცა. მაგრამ ჯონ კერის გამარჯვების შემთხვევაში ასეთი შესაძლებლობა 2012 წლამდე აღარ იქნება. აი, მთელი დილემა სენატორ კლინტონისათვის. 8 წლის განმავლობაში ქვეყანაში ბევრი რამ შეიცვლება, სენატორი კლინტონი კი უკვე 68 წლის იქნება. ეს პრეზიდენტობის კანდიდატისთვის უკვე საკმაოდ ხანდაზმული ასაკია. გარდა ამისა არის კიდევ ერთი ფაქტორიც, ამერიკას არ სჩვევია ერთი პარტიის გაჩერება ხელისფლების სათავეში ძალიან დიდი ხნის მანძილზე. ფრანკლინ დელანო რუზველტისა და ჰარი ტრუმენის გარდა არც ერთ პარტიას არ მოუხერხებია ხელისუფლების სათავეში ყოფნა 12 წელიწადზე მეტ ხანს. ეს ამერიკული დემოკრატიის ოქროს კანონია. იმისათვის რომ ხელისუფლებამ ზედმეტად არ გარყვნას რომელიმე პარტია, მათს შორის ცვალებადობა წახალისებულია. თუ ეს კანონი აღარ იმოქმედებს, მაშინ დემოკრატიაც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება. ასე რომ, 2012 წელს ჰილარი კლინტონის არჩევა მეტად შორეული და კითხვის ნიშნებით სავსე პერსპექტივაა. თუმცა, თუ კერი დამარცხდა, მაშინ სენატორისა და ყოფილი პირველი ლედის შანსები საგრძნობლად იზრდება. სენატში მისი ყოფნის თითქმის 4 წლის მანძილზე მან საკმაოდ რაციონალური და პრაგმატული პოლიტიკოსის რეპუტაცია დაიმსახურა. საგარეო პოლიტიკის საკითხებზე ის ხშირად უფრო კონსერვატიულია, ვიდრე მისი თანაპარტიელების უმრავლესობა. შიდა პოლიტიკაში კი ის ქალების, უმცირესობებისა და სოციალურად დაჩაგრული მოსახლეობის მეტად ძლიერი ადვოკატია. მის მხარდამჭერთა რიცხვი ყოველდღე იზრდება.

სწორედ ამ ფაქტორმა აიძულა ჯონ კერი რომ საკუთარი გემი კლინტონის ხომალდთან ახლოს მიეყვანა სექტემბერში. როდესაც კენედის ხალხის მიერ დაგეგმილი საარჩევნო კამპანია ღრმა კრიზისში აღმოჩნდა, მან დახმარებისათვის ისევ ბილს და ჰილარის მიმართა. კერის კამპანიის სათავეებთან აღმოჩნდნენ კლინტონის დაახლოებული პირები მაიკ მაკკური, ჯო ლოკჰარტი და სხვები. თვით ჰილარი კლინტონი კი აქტიურად მუშაობს ეგრეთწოდებულ "სპინრუმებში", სადაც კერის შესახებ პოზიტიური იმიჯის ინფორმაცია გადის მთელს ამერიკაზე. სენატორმა კერიმ რამოდენიმეჯერ დაურეკა პირადად ბილ კლინტონს საავადმყოფოში, რათა მისი აზრი ეკითხა საარჩევნო კამპანიის ავკარგიანობის შესახებ. რჩევების მიღებამ გარკვეული შედეგი გამოიღო - 14 პროცენტიანი დეფიციტი ერთი თვის მუშაობის შემდეგ პრაქტიკულად გაქრა. კანდიდატები ახლა თანაბრად მიდიან. სამივე საპრეზიდენტო დებატებში ჯონ კერიმ თავი გამოიჩინა. თუმცა, მის გამარჯვებაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა. დარჩენილ სამ კვირაში უეჭველად ბევრი რამ მოხდება. მაგრამ მაინც, ძალიან მნიშვნელოვანია რას იტყვის ჰილარი. მის სიტყვაზე ჯერ კიდევ ძალიან ბევრია დამოკიდებული და თუ მას კერის გაპრეზიდენტება ნამდვილად მოუნდა, მაშინ, ალბათ, მასაჩუსეტსელ სენატორსაც ეშველება რამე.

# 5 წელი სიცოცხლის ბოლომდე

Jupiter Research-ის კვლევითმა კომპანიებმა გამოაქვეყნეს დასკვნა, სადაც კომპაქტ-დისკებისთვის, როგორც პოპულარული მუსიკალური ფორმატისთვის სიცოცხლის ხანგრძლივობა მინიმუმ ხუთი წლით განსაზღვრეს.

ექსპერტების ვარაუდით, ციფრული მუსიკის შემოსავალი 2004 წელს შარშანდელთან შედარებით ოთხჯერ მეტი იქნება, დაახლოებით 46,3 მილიონი ევრო. მაგრამ, Jupiter Research-ის პროგნოზით, ინტერნეტ-მაღაზიების გამომუშავება 2009 წლისთვის ევროპული მუსიკის ბაზრის სულ რაღაც რვა პროცენტს შეადგენს (შესაბამისად - 836 მილიონი და 10,2 მილიარდი ევრო).

კომპანია Forrester Research აგვისტოს მონაცემების საფუძველზე ევროპაში ციფრული მუსიკის განვითარების გაცილებით ოპტიმისტურ სურათს ხატავდა. მაშინდელი ვარაუდით, ინტერნეტიდან გადაქაჩული სიმღერებით მიღებული შემოსავალი 2009 წლისთვის 3,5 მილიარდ ევრომდე გაიზრდებოდა. ანალიტიკოსი მარკ მალიგანი მიიჩნევს, რომ ციფრული მუსიკით ვაჭრობა მუსიკალური ინდუსტრიისთვის სერიოზული გამომუშავების წყარო იქნება, მაგრამ ამ სფეროდან კომპაქტ-დისკების გაძევების პერსპექტივას ჯერჯერობით ვერ ხედავს.



ნესტან კვინიკაძის სვეტი

# მიშა კობახიძის მასტერკლასი



"ყველაფერი რაც გადამხდა, აღვიქვი როგორც ღვთის ნება. მე ვფიქრობდი და ახლაც მაწუხებს ის აზრი, რომ ალბათ, კინოსთვის არ უნდა მომეკიდა ხელი. მინდა ვიცხოვრო გადამეტებული აურზაურის, ზედმეტი ხმაურისა და არასასურველი საუბრების გარეშე.

მუშაობა მთელი დატვირთვით, რომელსაც წონასწორობაში მოყავს შენი ცხოვრება. უნდა განვითარდე, უნდა მიაღწიო სრულყოფილებას. უნდა ისწავლო ახლობლის სიყვარული. რომ არა მარტო კინოსთვის ვართ დაბადებულნი, არამედ სიყვარულისთვის. მიუხედევად ამისა, მე მაინც დავუბრუნდი ჩემს პროფესიას, რადგანაც არ მინდა თავი მოვიტყუო.

გადაწყვეტილი მაქვს, გადავიღო ფილმი სიყვარულზე. სრულმეტრაჟიანი, დიალოგების გარეშე, შავ-თეთრი. მიუხედავად იმისა, რომ პროდიუსერები წინააღმდეგნი არიან შავ- თეთრი კინოსი, მე მაინც მგონია, ბუნებრივი იქნებოდა, კინო დასაწყისშივე ფერადი რომ ყოფილიყო, შავ-თეთრი კი აღმოჩენა. შავ-თეთრი ფილმი უფრო ღრმა და აბსტრაქტულია, ვიდრე ფერადი გამოსახულება." - წერდა ერთ-ერთ ინტერვიუში, ემიგრაციაში მყოფი მიხეილ კობახიძე.

რამდენიმე დღის წინ კი, თბილისში ხმა გავარდა, მიშა კობახიძე ჩამოდისო... ზოგს ჭორი ეგონა, ზოგს კიდევ ერთი ლეგენდა იდუმალებით მოცული რეჟისორის შესახებ.

მიშა კობახიძე მასტერკლასს აწყობსო და საბოლოოდ კინოთეატრ "ამირანში" თავი მოიყარა არა მარტო საზოგადოების იმ ნაწილმა, რომელიც პირადად იცნობს, ან ახსოვს რეჟისორი, იყვნენ სტუდენტებიც, რომლებსაც მხოლოდ მიშას ფილმები აქვთ ნანახი და არაერთი დაუჯერებელი, მითად ქცეული ამბავი სმენიათ ახლა უკვე პარიზში მცხოვრებ მაესტროზე.

"არც კი ვიცი რა გითხრათ" - ეს იყო პირველი წინადადება, რომელიც ნახევრადშევსებულ დარბაზში გაისმა. მობილური ტელეფონები გამორთული იყო, მზერა - ერთ წერტილზე კონცენტრირებული. და, რაღა თქმა უნდა, გამოცდილმა რეჟისორმა მოახერხა შეკრებილი საზოგადოება სადღაც სხვა რეალობაში გადაეყვანა, ისე როგორც მისი ფილმების ყურებისას ხდება. არავინ იცის, თუ როგორ ახერხებს ამას მიშა კობახიძე არაკომერციული კინოს საშუალებით - შავ-თეთრი, უხმო და კავკასიაში, პოსტსაბჭოთა სივრცეში დამზადებული კლასიკა. მიშას ფილმები შეიყვარეს ევროპაში. ჩვენში კი დღემდე ვერ გამოუჩნდა ანალოგი უმარტივესად გადაწყვეტილ სიბრძნეს.

მასტერკლასზე დასწრება უფასო იყო იმ პირობით, თუ კითხვას დაუსვამდი რეჟისორს. თუმცა, პირობა დაირღვა, რეჟისორმა მთელი სასაუბრო დრო საკუთარი სათქმელისთვის გამოიყენა და უპასუხა ყველა იმ კითხვას, რაც კი ოდესმე გასჩენიათ იქ მყოფებს.

"უეცრად, ერთ დღეს, ტრადიციის გარეშე, გაჩნდა კინემატოგრაფი და მან ინტუიციით გააკვლია გზა. კინოში დიდი მნიშვნელობა აქვს ხმას და სიჩუმეს. მე მომწონს ხედვაზე დამყარებული კინო. თვალით გვიყვარდება, თვალით ვიწყებთ შეგრძნებას. თუ ვერ შეამჩნევ იმას, რაც დადებითად მოქმედებს შენზე, სწორედ ის გაგაუბედურებს, რაც თურმე ბედნიერებას განიჭებდა.

ხშირად ხდება, - გიყვარს და არ უყვარხარ, მიხვალ და არ დაგხვდება. არადა მთელი ცხოვრების მანძილზე აწყობ გეგმებს - რა ბედნიერი იქნები... "ქორწილშიც" ეს არის, - ბიჭი გოგონასთან ყვავილებით მივიდა, მაგრამ ის არ დახვდა, რაც ეგონა.

მე, არ მაინტერესებს კინოში ლიტერატურა, არც თეატრი, - მხოლოდ გამოსახულება. კვლავინდებურად უარს ვამბობ ფერად კინოზე... მონტაჟის დროს ყველაფერი უნდა გადაყარო, რაც შენ მთავარ ჩანაფიქრს არ ემსახურება.

თუ აღფრთოვანებული არ ხარ, ფილმს ვერ გადაიღებ. მთავარია, დადებითი იყოს თქვენი დამოკიდებულება... დრო და სივრცეა მთავარი. რაც ბუნებრივია, იმას დრო არა აქვს, - მაგალითად, ჩვენ არ ვამბობთ - რა თანამედროვე ხეა! რა თანამედროვე ბალახია! დღეს უკვე რამდენინე საათში შეგიძლია სხვა კონტინენტზე აღმოჩნდე. ტექნიკა რომ განვითარდა, ესეც ღვთიურია - თურმე რა პატარაა ეს ყველაფერი. თანამედროვეობამ ზომები შეამცირა... მე ბევრი ვიმოგზაურე - ყველგან ერთი და იგივეა - რაც თბილისშია, იგივეა პარიზში, თავისი ვიბრაციით, რა თქმა უნდა. რეალურად ეს ყველაფერი ჩვენს გონებაშია. თუ სწორად აზროვნებ, ყველგან ყველაფერი ესმით. მთავარია შენში არსებული დადებითი ენერგია სხვას გადასცე. თქვენი ნაწარმოებით ერთი რეალობიდან მეორეში გადასვლის საშუალება უნდა მისცეთ სხვას... და აი, მე უკვე ვხვდები, რომ ისინი ჩემს რეალობაში შევყარე, ახლა მათ ყველაფერს დავაჯერებ."

მიშა კობახიძე, პერიოდულად, წასვლის თემას ეხებოდა: "თუ ეს ასე განვითარდა, აქედან უნდა გაიქცე", აღნიშნა მან თანამედროვე არქიტექტურის განხილვისას, - ანგრევენ ჩვენში მთავარს - ვიყოთ მშვიდად. უნდა წახვიდე და იმუშაო, შენი საქმით კონტაქტში შედიხარ სხვა ადამიანებთან. არ არის აუცილებელი შეგიყვარდეს ქართველი, შეგიყვარდეს ფილიპინელი!"

და სასაუბროდ განკუთვნილი დრო სიყვარულის თემით დასრულდა, სიყვარულის და წასვლის თემით.

როდესაც მიშა კობახიძე უხვ რჩევებს აძლევდა მომავალ კინორეჟისორებს, უეცრად საუბარი შეწყვიტა და თქვა - "კი მაგრამ ეს შესაძლებელია? თქვენ გაქვთ ამის საშუალება? მე არ ვიცი!" - ეს იყო, ალბათ, მასტერკლასის ყველაზე უფრო სევდიანი ნაწილი. ყველანაირ საშუალებას მოკლებული სტუდენტები იხტიბარს მაინც არ იტეხდნენ, მათ ხომ პირველად ნახეს მაესტრო.

მასტერკლასის შემდეგ, ჯერ ძველი ფილმები, მოგვიანებით კი ბოლო ნამუშევარი (გზა) ვიხილეთ. მაყურებელი ფეხზე მდგარი გამოხატავდა აღფრთოვანებას. იყვნენ ისეთებიც, ვინც რეჟისორს ხანგრძლივ შემოქმედებით პაუზას არ პატიობდა. მაგრამ თუ გავიხსენებთ მიშა კობახიძის სიტყვებს, რომელიც მან მასტერკლასის დასაწყისში თქვა - "თუ ცუდად ხარ, ჯობია საერთოდ არ გადაიღო კინო", მაშინ ყველაფერი ცხადდება - მაესტრო ძალიან დიდი ხნის მანძილზე ყოფილა ცუდად. ამდენი წლის შემდეგ კი ჩვენ ისევ ვნახეთ კინოშედევრი.

რაც შეეხება ფილმის "გზა" შესაბამის, პროფესიულ, შეფასებას იმ კინოკრიტიკოსებს გადაულოცავ, ბოლო წლების მანძილზე მხოლოდ ქართული კინოს სიკვდილზე რომ წერენ და წაქცეულზე ფეხებით შემდგარნი, ჩემთვის უჩვეულო სიამოვნებას რომ განიცდიან.

მე კი საბოლოოდ ვიტყვი ერთს, როცა მაყურებელს არ აგრძნობინებ თუ რად დაგიჯდა ეს ყველაფერი, რამხელა ტკივილი, დრო და ენერგია ჩადე ამაში, რომ გამუდმებით მოგზაურობაში მყოფი, დინების საწინააღმდეგოდ, ხშირად "საკვების გარეშე, მხოლოდ უსაფრთხო ადგილას ყრი ქვირითს", რომ ცხოვრებამ ყველანაირი ექსპერიმენტი მოგიწყო, აღარაფერი გაგაჩნია, მაგრამ მაინც ბედნიერი ხარ, ეს არის კინო, მიშა კობახიძის კინო. ყველა ქვეყნის და დროის, და ალბათ ამიტომაც - კინოთეატრიდან გამოსული ახალგაზრდები, "ქოლგის" გავლენის ქვეშ, მიახლოებითი ქორეოგრაფიითა და აკვიატებადი მელოდიის ღიღინით მიუყვებოდნენ ცენტრალურ ქუჩას. მათაც " გზის" გმირის მსგავსად - არაფერი აქვთ, მაგრამ მაინც ბედნიერები არიან.

**დღეს, 18 ოქტომბერს, 19 საათზე, "ლოკომოტივის" სტადიონის საკონფერენციო დარბაზში ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგა აწყობს შეხვედრას თბილისის "დინამოს" ფეხბურთელებთან და გუნდის ხელმძღვანელობასთან. შეხვედრას დაესწრებიან ქართული ფეხბურთის ვეტერანები და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.**

*მოკლედ*

## რონალდო ცოლს ირთავს



ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელის რონალდოს პირადი ცხოვრება ისეთი წარმატებული არ არის, როგორც მისი საფეხბურთო კარიერა. მოგეხსენებათ, მისი პირველი ქორწინება უიღბლო გამოდგა. განქორწინების შემდეგ არაერთხელ უთქვამს, რომ ძნელად გადაიტანა თავისი ცხოვრების ეს მძიმე პერიოდი. რაც შეეხება მის ყოფილ მეუღლეს მილენა დომინგეშს, ის საკმაოდ ადვილად შეეგუა ცნობილ მეუღლესთან განშორებას.

რონალდომ ცოლის შერთვა გადაწყვიტა. მისი რჩეული ბრაზილიელი ფოტომოდელი დანიელა ჩიკარელი გახლავთ. რონალდო გუშინდლამდე აჭიანურებდა ქორწილის თარიღის დანიშვნას. როგორც ჩანს, ის ჯერ კიდევ არ იყო დარწმუნებული, რომ დანიელა ის ერთადერთი ადამიანია, რომელიც მას სჭირდება.

ასეა თუ ისე, რონალდომ ქორწილის თარიღი გამოაცხადა. ის 2005 წლის 2 იანვარის გაიმართება.

## "ფლამენგოს" მეკარე გუნდის დატოვებას აპირებს

ბრაზილიური გუნდის "ფლამენგოსა" და ბრაზილიის ეროვნული ნაკრების მეკარე ხულიო სეზარი ლონდონის "ჩელსიში" გადასვლას აპირებს. ბრაზილიის მასობრივი საინფორმაციო წყაროების ცნობით, ფეხბურთელის აგენტი ხოსიას კარდოსო თავს იკავებს იმ კლუბის დასახელებისგან, სადაც, შესაძლოა, სეზარი გადავიდეს.

"ჯერჯერობით ოფიციალური შემოთავაზება არავისგან მიმიღია, მაგრამ ჩვენ მოლაპარაკებას ვაწარმოებთ ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბთან," - განაცხადა აგენტმა.

რამდენიმე დღის წინათ ბრაზილიელი მეკარე "ფლამენგოს" ხელმღვანელობას შეხვდა. "გუნდის ფინანსური მდგომარეობა არასტაბილურია, ამიტომაც, შეიძლება, გუნდი დავტოვო კიდეც. ძნელია, როცა სამ თვეში ერთხელ გაძლევენ ხელფასს," - განაცხადა ბრაზილიელმა მეკარემ.

*მოამზადა ნინო ტიკარაძემ*

*TV-სპორტი*

**ორშაბათი. 18 ოქტომბერი**

**НТВ+ФУТБОЛ**
08:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: გრანტ ჰილი
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:25 ესპანეთის ჩემპიონატი. "ვალენსია" - "სევილია"
14:05 ბრაზილიის ჩემპიონატი. "ატლეტიკო პარანენსე" - "პარანა"
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 პორტუგალიის ჩემპიონატი. "ბენფიკა" - "პორტუ"
17:40 საფრანგეთის ჩემპიონატი. "ოსერი" - "ლანსი"
19:20 საფეხბურთო უიკ-ენდი
20:05 სახვალიო ტელეპროგრამა
20:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
21:05 რუსეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:05 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:55 ინგლისის ჩემპიონატი. "პორტსმუტი" - "ტოტენჰემი". პირდაპირი ტრანსლაცია
00:50 იტალიის ჩემპიონატი. "იუვენტუსი" - "მესინა"
02:35 02:35-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV - დღიური
03:30 NBA TV. წინასასეზონო მატჩი. "MIAMI HEAT" - "ATLANTA HAWKS". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ+СПОРТ**
10:00, 13:00, 16:00 პრესცენტრი
10:20, 13:15 "ფორმულის ჰარმონია"
10:40 ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი. "OAKLAND RAIDERS" - "DENVER BRONCOS"
13:35 ჭადრაკი. მატჩი მსოფლიო ჩემპიონის წოდებისთვის. ვ. კრამნიკი - პ. ლეკო
14:05 ჩოგბურთი. ATP ტურნირი საფრანგეთში. ფინალი
16:15 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
16:45 აფროსნობა. საკრეისერო იახტების რბოლა. რუსეთის ჩემპიონატი
17:15 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი
17:45 კალათბურთი. NBA-ს წინასასეზონო მატჩი. "LOS ANGELES LAKERS" - "GOLDEN STATE WARRIORS". შესვენებისას (19:00) - პრესცენტრი
20:30 "ორშაბათამდე მივატანთ"
21:00 სახვალიო ტელეპროგრამა
21:15 "ჰოკეი-პლუს"
21:30 "დიდი რინგი". კორი სფინქსი - მიგელ გონსალესი
23:30 ჭადრაკი. მატჩი მსოფლიო ჩემპიონის წოდებისთვის. ვ. კრამნიკი - პ. ლეკო
00:00 "ჰოკეი-პლუს"
00:15 ახალი ამბები
00:30 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი

**EUROSPORT**
10:30 მოტოსპორტი გამოსასვლელ დღეებში
11:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპი კორსიკაზე
11:30 მოტორბოლები. ავსტრალიის დიდი პრიზი
12:30 მულტისპორტი
13:00 ჩოგბურთი. ATP ტურნირი ავსტრიაში. ფინალი
14:15 ჩოგბურთი. WTA ტურნირი "კრემლის თასი". ფინალი
15:30 ჩოგბურთი - Real Life on the WTA Tour
16:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
17:00 მოტოსპორტი გამოსასვლელ დღეებში
17:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპი კორსიკაზე
18:00 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება
19:15 ფეხბურთი. გ-ო-ო-ო-ლ!!!
19:30 ფეხბურთი. ევროგოლები
20:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
22:00 მულტისპორტი
22:30 მხედრული ორთაბრძოლები. მებრძოლთა კლუბი
00:30 ფეხბურთი. ევროგოლები
01:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
02:00 ახალი ამბები
02:15 სუპერმოტო
02:45 მულტისპორტი
03:15 ახალი ამბები

*ფეხბურთი*

www.pfl.ge

# გენერალური რეპეტიცია უეფას თასის წინ

მიხეილ აბაიშვილი



*გეგუჩაძეს დიდი საკადრო პრობლემები დაატყდა თავს.*

ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის მე-11 ტური სენსაციებით სავსე გამოდგა. გუნდების ჯგუფს, რომლებიც ჩემპიონობაზე აცხადებენ პრეტენზიას, ამ ტურში ხელი მოეცარათ. თბილისის "დინამოს" მთავარმა კონკურენტმა ქუთაისის "ტორპედომ" ვერ შეძლო აუტსაიდერ "ზესტაფონის" დამარცხება, ხოლო მედლების კიდევ ერთი მაძიებელი "თბილისი" ფოთიდან სულაც უქულოდ დაბრუნდა.

ტურის ცენტრალური მატჩი გაიმართა თბილისის "ლოკომოტივის" სტადიონზე, სადაც საქართველოს ჩემპიონი "ვიტ ჯორჯია" და ჩემპიონატის მთავარი ფავორიტი "დინამო" შეხვდნენ ერთმანეთს.

კალენდრის მიხედვით, მასპინძლად ითვლებოდა "დინამო", რომელიც, როგორც წესი, საშინაო მატჩებს ეროვნულ სტადიონზე ატარებს. 21 ოქტომბერს "დინამო" უეფას თასის ჯგუფური ტურნირის პირველ მატჩში საფრანგეთის "სოშოს" უმასპინძლებს. ამ თამაშისადმი გულშემატკივრების ინტერესი იმდენად დიდია, რომ ეროვნული სტადიონის 20 ათასი ადგილი ყველა მსურველს ვერ დაიტევს, რის გამოც "სოშოსთან" თამაში "ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართება (იქ 28 ათასი კაცი ეტევა). ახალ არენასთან შეგუების მიზნით, "დინამოს" ხელმძღვანელობამ მიზანშეწონილად ჩათვალა, "ვიტ ჯორჯიასთან" მატჩი "ლოკომოტივის" სტადიონზე დაენიშნა.

"დინამოს" მთავარ მწვრთნელს გია გეგუჩაძეს ამ მატჩის წინ სერიოზული საკადრო პრობლემები ჰქონდა. გუნდის ძირითადი მეკარე ირაკლი ზოიძე, რომელმაც "ვისლასთან" შეხვედრაში ტრავმა მიიღო, სამი დღის წინ შეუდგა ვარჯიშს, თუმცა, ჯერ არ არის ფორმაში. შეძლებს თუ არა იგი "სოშოსთან" მატჩამდე დარჩენილ სამ დღეში საჭირო კონდიციების აღდგენას, ძნელი სათქმელია. ტრავმირებულია საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი დავით კვირკველია, რომელსაც, სულ ცოტა, 10 დღე დასჭირდება რეაბილიტაციისთვის. ლევან სილაგაძე თითქოს მომჯობინდა და ჩემპიონატის ბოლო ორ თამაშშიც მიიღო მონაწილეობა, მაგრამ "სიონთან" მატჩში ძველი ტრავმა გაუმიზეზდა და გაურკვეველი დროით გამოაკლდა გუნდს. ტრავმირებულია გრიგალაშვილიც, რომელმაც ბათუმში, ადგილობრივ "დინამოსთან" შეხვედრაში ფეხი მოიტეხა. ოდნავ შეუძლოდაა გონჩაროვიც, რომელიც კი ვარჯიშობს, მაგრამ 21 ოქტომბრისთვის მზად იქნება თუ არა, არავინ იცის. არჩევანში საკმაოდ შეზღუდულმა გეგუჩაძემ ძირითად შემადგენლობაში გაამწესა: **მამალაძე, შაშიაშვილი, სალუქვაძე, ჭიჭვეიშვილი, რომერო, კანკავა, კანდელაკი, ნემსაძე, კაკალაძე, მელქაძე, ახალაია.**

მისმა კოლეგამ ვლადიმერ ხაჩიძემ კი ამ მატჩზე ასეთი შემადგენლობა აირჩია: **მერლანი, იმედაშვილი, ადამია, ნოზაძე, გოჩაშვილი, კვახაძე, დიღმელაშვილი, მერებაშვილი, დათუნაიშვილი, გველესიანი, ინწკირველი.**

მატჩის მთავარმა არბიტრმა ალექსანდრე მეშკოვმა კი არცთუ უმნიშვნელო როლი შეასრულა გუშინდელი მატჩის შედეგის ფორმირებაში, რაზეც ქვემოთ მოგახსენებთ.

ამ გუნდების დაპირისპირება ყოველთვის უშეღავათო და პრინციპული იყო. არც გუშინდელი მატჩი გამოდგა გამონაკლისი. თამაში დაიწყო საღამოს 8 საათზე, იმ დროს, როცა ტურის ყველა დანარჩენი მატჩი დამთავრებული იყო და ორივე გუნდმა იცოდა მათი შედეგი. ლიდერებმა ქულები დაკარგეს, რაც, როგორც "დინამოს", ისე "ვიტ ჯორჯიას", წარმატების შემთხვევაში სატურნირო მდგომარეობის გამყარების საშუალებას აძლევდა. ამიტომ ორივე გუნდი დებიუტში შეეცადა, უპირატესობა მოეპოვებინა. მას შემდეგ, რაც პირობითმა მასპინძლებმა ვეტერინართა რამდენიმე შეტევა მოიგერიეს, ტერიტორიულ უპირატესობას დაეუფლნენ და მერლანის კართან ზედიზედ დაიწყეს სახიფათო მომენტების შექმნა. ვიტელებმა ნახევარ საათს გაუძლეს, 29-ე წუთზე კი მაინც მოუხდათ დანებება: "დინამოს" კაპიტანმა გიორგი ნემსაძემ ბრწყინვალე დრიბლინგით შეაღწია მეტოქის საჯარიმოში, კარის გასწვრივ დაბალი ბურთი ჩააწოდა, ბურთი მელქაძეს მოხვდა და ასხლეტით კარის ბადეში აღმოჩნდა: 1:0. თუმცა, გოლმა სტუმრებს ფარხმალი ვერ დააყრევინა. ისინი ტაიმის მიწურულს გააქტიურდნენ და ზუსტად 45-ე წუთზე მეშკოვს პენალტი გამოსტყუეს: კუთხურის ჩაწოდების შემდეგ "დინამოს" საჯარიმოში შექმნილ არეულობაში მსაჯმა ჩათვალა, რომ ბურთი ერთ-ერთ დინამოელს ხელზე მოხვდა და თერთმეტმეტრიანი დანიშნა. დარტყმა ზუსტად შეასრულა მერებაშვილმა და გუნდები შესვენებაზე საყაიმო ანგარიშით გავიდნენ.

მატჩის მეორე ნახევარი ისევ "დინამოს" უპირატესობით დაიწყო. გეგუჩაძის იერიშები სულ უფრო მძაფრ ხასიათს იღებდა. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ლადო ახალაია, რომელიც, როგორც ჩანს, მოშუშებული ტრავმის შემდეგ თანდათან შედის ოპტიმალურ ფორმაში, რაც არსებული ლაზარეთის პირობებში "დინამოსთვის" სულზე მისწრებად შეიძლება ჩაითვალოს. სწორედ ახალაიას წინააღმდეგ უხეში თამაშისთვის მეშკოვმა ამ მატჩში მეორედ მიუთითა თერთმეტმეტრიანის ნიშნულზე. ბურთთან მივიდა გიორგი ნემსაძე, რომელმაც ზუსტი დარტყმით თავისი გუნდი დააწინაურა.

ცოტა ხანში თავის კაპიტანს მხარი აუბა მელქაძემ, რომელმაც მარცხენა ფლანგიდან მოჭრილი დარტყმით ლამაზი გოლი გაიტანა. ეს მოხდა 72-ე წუთზე და თითქოს "დინამოს" გამარჯვება უეჭველიც გახდა, მაგრამ მის გულშემატკივრებს კიდევ მოუხდათ ნერვიულობა: შეცვლაზე შემოსულმა მარცვალაძემ 82-ე წუთზე მინიმუმამდე შეამცირა ანგარიშში სხვაობა. დარჩენილ დროში "ვიტ ჯორჯია" ბევრს ეცადა, ქულა გადაერჩინა, მაგრამ ველარ შეძლო. მატჩი დამთავრდა 3:2 "დინამოს" გამარჯვებით. ამ გუნდების პირველი წრის შეხვედრაშიც, რომელიც მცხეთაში გაიმართა, იგივე ანგარიში დაფიქსირდა და მაშინაც "დინამომ" გაიმარჯვა.

ვლადიმერ ხაჩიძე: "ჩემს გუნდს ურიგოდ არ უთამაშია, მაგრამ დაცვაში უპატიებელი შეცდომები დავუშვით და დამსახურებულად დავმარცხდით. ამ შეცდომებს გავაანალიზებთ და ვეცდებით, მომავალში აღარ გავიმეოროთ. როდესაც ამ რანგის გუნდები ხვდებიან ერთმანეთს, კარგი იქნება, თუ გაცილებით მომზადებულ მსაჯს დანიშნავენ. მეშკოვმა ელემენტარული შეცდომები დაუშვა, რითაც თამაშს სერიოზული დაღი დაასვა."

გია გეგუჩაძე: "საინტერესო და დაძაბული თამაში გამოდგა, რაც, ალბათ, არავისთვის ყოფილა მოულოდნელი. "დინამოსა" და "ვიტ ჯორჯიას" დაპირისპირება ყოველთვის უშეღავათოა. მიხარია, რომ გავიმარჯვეთ და ლიდერებად დავრჩით. პრინციპულ და ძლიერ მეტოქესთან გამარჯვებით უეფას თასის მატჩის წინ ბრწყინვალე ფსიქოლოგიური განწყობაც შეგვექმნა."

ზესტაფონში მეორე ადგილზე მყოფ "ტორპედოს" კი ქულის გადარჩენისთვის მოუხდა ბრძოლა. როგორც ჩანს, თემურ მახარაძე, რომელიც სწორედ ამ მატჩის წინ დაინიშნა "ზესტაფონის" მწვრთნელად და რომელმაც წყალწაღებული გუნდი ჩაიბარა, კიდევ ერთ სასწაულს მოახდენს. ამ ნიჭიერმა მწვრთნელმა, რომელსაც ჯერ არ მისცემია საშუალება, თავისი შესაძლებლობები სერიოზულ გუნდში გამოევლინებინა, ბევრჯერ დაამტკიცა, რომ თავის საქმეში, მართლაც, საუკეთესოა. ამჯერადაც, თავის პირველივე მატჩში, ჩემპიონატის გამოკვეთილ ლიდერს ქულები დააკარგვინა. მეტიც: 63-ე წუთზე მასპინძლები ჯანაშიამ დააწინაურა და ქუთაისელებს დიდი ოფლისღვრა დასჭირდათ, რომ ქულას მაინც გამორჩენოდნენ. ეს მათ უმცროსი მეგრელაძის მიერ 77-ე წუთზე გატანილი გოლით მოახერხეს.

"თბილისმა" კი, რომელსაც დისკვალიფიკაციის გამო ორი წამყვანი მოთამაშე, გეწაძე და გუნდის კაპიტანი ხოჯავა აკლდა, ფოთში ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწია ადგილობრივ "კოლხეთს" და მინიმალური ანგარიშით 0:1 დამარცხდა. გოლი 42-ე წუთზე თოდუამ გაიტანა.

**მე-11 ტური**

| | |
|---|---|
| კოლხეთი - თბილისი | 1:0 |
| დინამო (ბთ) - ლოკომოტივი | 1:1 |
| დილა - სიონი | 2:1 |
| დინამო - ვიტ ჯორჯია | 3:2 |
| ზესტაფონი - ტორპედო | 1:1 |

**სატურნირო მდგომარეობა 11 ტურის შემდეგ**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბ) | 11 | 8 | 2 | 1 | 26-9 | 26 |
| ტორპედო | 11 | 6 | 4 | 1 | 16-5 | 22 |
| დინამო(ბთ) | 11 | 6 | 3 | 2 | 18-7 | 21 |
| თბილისი | 11 | 6 | 2 | 3 | 21-13 | 20 |
| ლოკომოტივი | 11 | 5 | 5 | 1 | 16-5 | 20 |
| ვიტ ჯორჯია | 11 | 5 | 2 | 4 | 21-17 | 17 |
| სიონი | 11 | 2 | 1 | 8 | 10-27 | 7 |
| დილა | 11 | 2 | 1 | 8 | 8-20 | 7 |
| კოლხეთი | 11 | 2 | 1 | 6 | 7-21 | 7 |
| ზესტაფონი | 11 | 2 | 1 | 8 | 7-27 | 7 |

# შესაძლოა, მორიენტესი "ლივერპულში" გადავიდეს

ნინო ტიკარაძე



"ლივერპულის" ესპანელმა მწვრთნელმა რაფაელ ბენიტესმა გადაწყვიტა, რომ იანვარში, სატრანფერო ფანჯრის გახსნის დროს, მადრიდის "რეალის" თავდამსხმელი ფერნანდო მორიენტესი შეიძინოს. "ნუთუ შეიძლება, ასეთ თავდამსხმელზე უარი თქვა?!" - განაცხადა ესპანელმა მწვრთნელმა.

28 წლის ესპანელი ფეხბურთელი, რომელიც ვერა და ვერ ეღირსა "სამეფო გუნდის" სასტარტო შემადგენლობაში თამაშს, წინააღმდეგი არ არის, საკუთარი ძალები "ლივერპულში" მოსინჯოს. "ჩემი მდგომარეობა მადრიდის "რეალში" არც მთლად სახარბიელოა. დავიღალე სათადარიგოთა სკამზე ჯდომით. ასე თუ გაგრძელდა, აუცილებლად დავტოვებ გუნდს. თუ ეს მოხდა, გუნდი, რომელშიც მე გადავალ, "ლივერპული" იქნება, თუ, რა თქმა უნდა, მისი ხელმძღვანელობა ჩემზე უარს არ იტყვის. "ლივერპული" - ესაა კლუბი საინტერესო ისტორიით, კარგი მწვრთნელითა და მრავალრიცხოვანი გულშემატკივრით. დარწმუნებული ვარ, იქ დიდ სათამაშო პრაქტიკას მივიღებ, რომელიც ასე ძალიან მჭირდება," - განაცხადა მორიენტესმა.

შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონზე მორიენტესი ფრანგულ გუნდ "მონაკოში" თამაშობდა. იმავე წელს დაბრუნდა მადრიდის "რეალში". სხვათა შორის, მაიკლ ოუენის შემდეგ ის მეორე ფეხბურთელია, რომელიც ვერ შეეგუა სათადარიგოთა სკამზე ჯდომას და საჯაროდაც გამოთქვა თავისი პროტესტი.

კრივი

# სიტყვების ომი ომამდე

ბიგა ბურასაშვილი

*კრივის მექა ლას ვეგასი. 11 დეკემბერი. სასტუმრო "მენდელეი ბეის" დარბაზი და უამრავი მოსიერე. რინგის ერთ მხარეს კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) მძიმეწონოსანთა ეშელონის უკრაინელი ჩემპიონი ვიტალი კლიჩკო მეტოქეს თვალებით ბურღავს. რინგის მეორე მხარეს მბორგავი ბრიტანელი დენი უილიამსი უკრაინელის ცივ მზერას იგერიებს და გააფთრებული ხარივით შეტევისთვის ემზადება. მაყურებელი ხელებს იფშვნეტს და დიდი ჩხუბის მოლოდინში გაბრდღვიალებულ რინგს მიშტერებია. გონგის ხმა და...*





*უილიამსს კლიჩკოსთან შეხვედრის პატივი ერგო.*

11 დეკემბრამდე დიდი დრო არაა დარჩენილი. ვიტალი კლიჩკომ სამხრეთაფრიკელ კორი სანდერსთან ომით მოპოვებული ყველაზე პრესტიჟული საბჭოს უმთავრესი ქამარი დენი უილიამსის ხელყოფისგან უნდა დაიცვას.

რა არის კრივი? კრივი - ესაა მუშტებით მეტოქის მიბეგვა და მერე მისი ნოკაუტში გაგზავნა. თუ ეს არა, მაშინ ქულებით აღმატება, ისე რომ სამი მსაჯიდან ორმა ერთ-ერთს მიანიჭოს უპირატესობა. მაგრამ სანამ საქმე აქამდე მივა, მეტოქეები, როგორც წესი, პრესკონფერენციებზე ცდილობენ, ერთმანეთი ფსიქოლოგიურად გატეხონ. ხშირად არც იმაზე ამბობენ უარს, რომ იქვე გაიწიონ ერთმანეთზე. ამ დროს მფრინავი სკამები და მაგიდები ჩვეულებრივი ამბავია, ისევე როგორც გამშველებელთა დალილავებული ცხვირ-პირი. მაგრამ რას იზამ, თუ ეს ყველაფერი ერთგვარი სავალდებულო წარმოდგენაა უმთავრეს წარმოდგენამდე, ანუ, როგორც ამერიკელები ამბობენ, შოუმდე. თუმცა, არის შემთხვევები, როცა მეტოქეები დიდი პატივისცემით მოიხსენიებენ ერთმანეთს და ხმის ტემბრსაც კი აკონტროლებენ. ზოგჯერ ისეთი მოკრძალებით საუბრობენ ერთმანეთზე, რომ, შესაძლოა, გულიც კი აგიჩუყდეთ.

რაკი წინასამატჩო შეხლა-შემოხლაზე - სიტყვებით ომზე ჩამოვარდა სიტყვა, გეტყვით, რომ ამის დიდოსტატი მუჰამედ ალი გახლდათ. ლაყბობის მოყვარულ დიდ ჩემპიონს მეტსახელად "დიდი პირიც" კი შეარქვეს. მაგრამ გულში წყენა კი არ ჩაუდია! ალიმ იცოდა, რასაც აკეთებდა. იცოდა, რომ რინგზე ასვლამდე ლაპარაკით მეტოქის გაბრუება და დაშინება საუკეთესო საშუალება იყო წინდაწინვე უპირატესობის მოსაპოვებლად.

რაც შეეხებათ 11 დეკემბრის მოქმედ გმირებს, კლიჩკოსა და უილიამსს, რამდენიმე დღის წინათ ლონდონსა და ჰამბურგში მოწყობილ პრესკონფერენციებზე ვერც უკრაინელს დასწამებდით სიტყვაძუნწობას და ვერც ბრიტანელს. რატომ მაინცდამაინც ლონდონი და ჰამბურგი? ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს - უილიამსი ბრიტანელია, კლიჩკოები კი, რა ხანია, გერმანიაში ცხოვრობენ.

ლონდონი. სასტუმრო "Plainsboro". პირველმა ჩემპიონმა ითხოვა სიტყვა: "პირველად სწორედ ამ ქალაქში დავეუფლე მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს, როდესაც ჰერბი ჰაიდი დავამარცხე. მახსოვს, მაშინ ჰაიდის ერთ-ერთი სპარინგ-პარტნიორი დენი უილიამსი იყო...

ყოველთვის ვოცნებობდი, რომ მაიკ ტაისონთან ერთად გავსულიყავი რინგზე. ვიდრე მაიკისა და დენის ორთაბრძოლა გაიმართებოდა, ჩვენი ბანაკი "რკინის მაიკთან" აწარმოებდა მოლაპარაკებას, მაგრამ უილიამსმა ტაისონის ნოკაუტში გაშვებით ჩემი ოცნება დაამსხვირია. ახლა იმის წინააღმდეგ მინდა გავიდე, ვინც, როგორც მე ვთვლი, მსოფლიოს უძლიერესი მოკრივე დაამარცხა. დიდად მესიამოვნება, თუ ვძლევ ისეთ ღირსეულ მოჩხუბარს, როგორიც დენი უილიამსია".

იანვარში, როდესაც დენი უილიამსი ბრიტანეთისა და თანამეგობრობის უმთავრეს ტიტულებს დაეუფლა, ბევრმა ჩათვალა, რომ ეს უცნაური ბრიტანელის ბოლო გაფართხალება იყო, მაგრამ...

ალბიონელს მაიკ ტაისონთან შერკინება არგუნა ბედმა. ცხადია, "რკინის მაიკთან" ივლისში გამარჯვება უილიამსისთვის ტრამპლინი გამოდგა. ქვედა ეშელონებში თითქმის ათწლიანი "ბუქსაობის" შემდეგ უილიამსის კარიერაში მზემ გამოანათა. თუ ახლა უკრაინელის დამარცხებაც შეძლო, კაცი ვარ და ქუდი მხურავსო, მაგან უნდა თქვას. არადა, ერთი წლის წინათ ვინ წარმოიდგენდა, თუ საბჭოს ტიტულისთვის რინგზე უილიამსს უხმობდნენ.

"მართალი გითხრათ, არც კი მიფიქრია, თუ მაიკთან გამარჯვება ასე უცაბედად მომცემდა მსოფლიოს ჩემპიონის წოდებისთვის ბრძოლის შესაძლებლობას. ასე რომ, ჩემს შანსს ბოლომდე გამოვიყენებ. მე მსოფლიოს უძლიერეს მოკრივეს უნდა შევხვდე, მაგრამ ესეც კი ვერ შემიშლის ხელს იმაში, რომ ჩემპიონის ტიტული დიდ ბრიტანეთში დავაბრუნო...

არაერთხელ დავატრიალე ჯო ლუისის, როკი მარჩიანოსა და მუჰამედ ალის ორთაბრძოლათა ვიდეოჩანაწერები. ახლა მეც მომეცა საშუალება, ვიჩხუბო იმ ტიტულისთვის, რომლისთვისაც ისინი იბრძოდნენ".

უილიამსი იმასაც შეუგულიანებია, რომ მის გვერდით დიდი ჩემპიონი, ვიტალი კლიჩკოს ოდინდელი მეტოქე ლენოქს ლუისი დადგება.

"ის, რომ ჩემს კუთხეში ლუისი იდგება, ძალიან მაგარია".

როცა უილიამსი ცაში დაფრინავდა, კლიჩკომ მეოცნებეს ფრთები შეუკვეცა და ოსტატურად დაანარცხა მიწაზე: როგორც მახსოვს, რჩევა-დარიგებებს ლუისი კორი სანდერსსაც აძლევდა. თანაც, მაშინდელი დაპირისპირებისას ლენოქსი ბევრად უფრო დაინტერესებული იყო, რადგან სამხრეთაფრიკელის პრომოუტერი გახლდათ. განა რამეში გამოადგა სანდერსს ლუისისეული დარიგებანი? ჰოდა, ვერც დენის უშველისო.

ბრიტანელის მწვრთნელი ფრენკ უორენიც დაეთანხმა ვიტალის: დენისს ლენოქს ლუისის რჩევები არ სჭირდებაო. პრესკონფერენციის შემდეგ ბანაკებმა გუდა-ნაბადი აიკრეს და ჰამბურგში გადაფრინდნენ.

ჰამბურგში, სასტუმრო "Atlantic"-ში მოწყობილ პრესკონფერენციაზეც ვიტყოდით რამეს, მაგრამ აქაც რომ ის თქვეს, რაც ინგლისში? პრესკონფერენციები კი ხუთშაბათსა და პარასკევს გაიმართა.

კალათბურთი

# ვინ, რა, როგორ NBA-ში

**დასაწყისი N-245 (794)**

სანდრო ნავერიანი

### 8. "ფილადელფია-76" (გასული სეზონი: 33-49)

**სასტარტო ხუთეული:** ალენ აივერსონი, ანდრე იგუოდალა, გლენ რობინსონი, კენი ტომასი, სამუელ დალემბერტი.

ერიკ სნოუს დაკარგვა შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს "სიქსერზისთვის". როგორც ჩანს, "პირველ ნომრად" თამაში მოუწევს ალენ აივერსონს. ეს იმას ნიშნავს, რომ მან თანაგუნდელებზეც უნდა იფიქროს. სხვათა შორის, აივერსონი ათენის ოლიმპიურ თამაშებზე სწორედ "პირველ ნომრად" თამაშობდა და არცთუ ურიგო გადაცემებით ამარაგებდა თანაგუნდელებს. "მეორე ნომრის" ადგილს დაიკავებს ასოციაციის ახალწვეული ანდრე იგუოდალა. ისეთი კალათბურთელის ძირითად შემადგენლობაში დაყენება, რომელიც ჯერ კიდევ არ გაშინაურებულა, საკმაოდ სარისკოა, მაგრამ ფილადელფიელებს სხვა გზა არა აქვთ. "სიქსერზის" მეორე პრობლემა ის არის, რომ მათ, ფაქტობრივად, არ ჰყავთ მაღალი კალათბურთელი, რომელიც ფარქვეშ თამაშს შეძლებდა. ერთადერთი, ვინც 210 სმ-ზე მეტია, ეს სამუელ დალემბერტია. ვფიქრობ, 76-ელებს ძალიან გაუჭირდებათ ფარის მოგება, მოგება კი არა, საერთოდ, ბურთის მოხსნა. რა თქმა უნდა, კენი ტომასს შეუძლია ფარიდან ასხლეტილი ბურთების მოხსნა, მაგრამ მხოლოდ ტომასის იმედად ყოფნა ფილადელფიელებს კარგს არაფერს მოუტანს. "სიქსერზის" ახალწვეულებიდან აღნიშვნის ღირსია კორნეს უილიამსონი, რომელიც ფილადელფიაში "დეტროიტ პისტონზიდან" გადავიდა. "პისტონზში" ის ცოტა ხნით შედიოდა მოუდანზე, მაგრამ როცა შედიოდა, თავის გამოჩენას ყოველთვის ახერხებდა. შესაძლოა, სწორედ სათამაშო დროის ნაკლებობის გამო ბოლომდე ვერ გაიხსნა, ახლა კი, როდესაც ფილადელფიელთა რიგებში მას მიეცემა საშუალება, მოედანზე, სულ ცოტა, 15 წუთი დაყოს, ვინ იცის, იქნებ დაფარული ტალანტიც გამოაჩინოს.



*"ფილადელფია" აივერსონის იმედადაა დარჩენილი.*

### 7. "მილუოკი ბაქსი" (გასული სეზონი: 41-41)

**სასტარტო ხუთეული:** მაიკ ჯეიმსი, მაიკლ რედი, ჯო სმიტი, კეიტ ვან ჰორნი, დენ გაძურიჩი.

"მილუოკი ბაქსი" შარშანდელი სეზონიდან, ფაქტობრივად, არ გადახალისებულა. არა მგონია, მილუოკელებმა შარშანდელზე უკეთესი სეზონი ჩაატარონ. არადა, ეს გუნდი კარგად არის დაკომპლექტებული. კალათბურთელები ერთმანეთთან შეთამაშებულნი არიან, მაგრამ მათ ყოველთვის რაღაც აკლდათ. ეს "რაღაც" წლეულსაც აკლიათ. უკვე რა ხანია, "მილუოკო ბაქსი" არ ცვლის სათამაშო ტაქტიკას, რასაც მისთვის წარმატება არ მოუტანია. გუნდში არ არის კალათბურთელი, რომელსაც იმპროვიზებული კალათბურთის თამაში შეეძლოს. გუნდის ძირითადი გამთამაშებელი ტი ჯეი ფორდი მძიმე ტრავმის შემდეგ ჯერ კიდევ ვერ ჩადგა მწყობრში. ფორდის შეცვლა მოუწევს მაიკ ჯეიმსს, რომელიც არცთუ ურიგოდ ანაწილებს თამაშს, მაგრამ მას არ შეუძლია, უბურთოდ პოზიცია შეარჩიოს. მიუხედავად იმისა, რომ "მილუოკი ბაქსში" ხუთი ცენტრი ირიცხება, არც ერთი მათგანი არ არის მაღალი დონის მოთამაშე. დენ გაძურიჩს შარშანდელ სეზონში თითო მატჩში 20 წუთზე მეტი არ უთამაშია, წლეულს კი სასტარტო ხუთეულში მოხვდა. მისი ფიზიკური მონაცემები იმაზე მეტყველებს, რომ მას არ უნდა გაუჭირდეს, მოედანზე 35-დან 40 წუთამდე ითამაშოს. ვფიქრობ, "მილუოკი ბაქსი" ყველაზე სუსტი გუნდია აღმოსავლეთ კონფერენციაში.

### 6. "კლივლენდ კავალიერსი" (გასული სეზონი: 35-47)

**სასტარტო ხუთეული:** ერიკ სნოუ, ლებრონ ჯეიმსი, ლუკ ჯექსონი, დრიუ გუდენი, ჟიდრუნას ილგაუსკასი.

შარშანდელ სეზონთან შედარებით "კლივლენდ კავალიერსი" სულ მთლად გადახალისდა. ზოგი ცვლილება წაადგათ, ზოგიც - არა. კავალერებმა ვერ შეინარჩუნეს კარლოს ბუზერი, მაგრამ "ფილადელფია-76" შეაცდინეს და იქიდან ერიკ სნოუ გადაიბირეს. ასე რომ, გამთამაშებლის პრობლემა მოხსნილია. თუმცა, სკეპტიკოსთა აზრით, კარლოს ბუზერის სრულფასოვნად შეცვლა ერიკ სნოუს მეტად გაუჭირდება. ვნახოთ. "ორლანდო მეჯიქიდან" კავალერებმა გადაიბირეს დრიუ გუდენი, რომელმაც გასულ სეზონში ვერაფრით დაგვამახსოვრა თავი. რატომ განახორციელა ეს ტრანსფერი კლივლენდურმა კლუბმა, ჩემთვის გაუგებარია. ერთადერთი სიკეთე, რაც "კავალიერსმა" ამ სეზონში გააკეთა, ის არის, რომ დრაფტზე აირჩია ფორვარდი ლუკ ჯექსონი, მეტად პერსპექტიული კალათბურთელი, რომელიც, ვფიქრობ, ლებრონ ჯეიმსს სათანადო პარტნიორობას გაუწევს. რაც შეეხება ცენტრს, ამ პოზიციაზე კვლავაც ჟიდრუნას ილგაუსკასი რჩება. ასე რომ, "კლივლენდ კავალიერსის" სასტარტო ხუთეულში სამი ცვლილებაა. წლევანდელ სეზონში ბევრი იქნება დამოკიდებული ლებრონ ჯეიმსზე, რომელმაც, სავარაუდოდ, თავისი შედეგიანობა უნდა გაზარდოს. არ არის გამორიცხული, კავალერებმა რეგულარულ სეზონში 40-45 გამარჯვება მოიპოვონ და პლეი-ოფში გავიდნენ.

### 5. "ბოსტონ სელტიქსი" (გასული სეზონი: 36-46)

**სასტარტო ხუთეული:** გერი პეიტონი, რიკი დევისი, პოლ პირსი, ელ ჯეფერსონი, მარკ ბლონტი.

სასიამოვნოა, რომ "ბოსტონ სელტიქსმა" შარშანდელი შემადგენლობის ძირითადი კალათბურთელები შეინარჩუნა. როგორც იტყვიან, ხერხემალი იგივეა. რაც შეეხება გერი პეიტონის ბოსტონში გადასვლას, არა მგონია, "ხელთათმანმა" (გერი პეიტონის მეტსახელი.-რედ.) მთელი სეზონის განმავლობაში შეძლოს სასტარტო ხუთეულში ადგილის შენარჩუნება. საქმე ის არის, რომ "ბოსტონ სელტიქსის" მეორე გამთამაშებელი მარკუს ბენქსი კარგ ფორმაშია და არ აპირებს, მარტო იმიტომ იჯდეს სათადარიგოთა სკამზე, რომ მის პოზიციაზე ლეგენდა თამაშობს. არ შეიძლება იმაზე ლაპარაკი, რომ გერი პეიტონი მარკუს ბენქსზე სუსტია, უბრალოდ, ბენქსი გაცილებით ახალგაზრდაა, რაც უკვე ბევრზე მეტყველებს. პეიტონის უხეირო სეზონი "ლოს-ანჯელეს ლეიკერსში" იმაზე მეტყველებს, რომ მისი ვარსკვლავი ნელ-ნელა ქრება. თუმცა, არის მეორე ვარიანტიც: მარკუს ბენქსი ძალიან კარგად თამაშობს "მეორე ნომრის" პოზიციაზეც და თუ მან ისურვა ამ პოზიციაზე თამაში, მაშინ "ხელთათმანი" და ბენქსი ადვილად შეძლებენ მეტოქის დაცვის გარღვევას. წლეულს, დრაფტზე, "ბოსტონ სელტიქსმა" მეტად პერსპექტიული ელ ჯეფერსონი აირჩია. ეს კალათბურთელი მაღალია და არც გაბარიტები აქვს მცირე. სკეპტიკოსთა აზრით, თუ "ბოსტონმა" ჯეფერსონი სამი წლით მაინც შეინარჩუნა (მომავალ სეზონში მასზე ბევრი კლუბი დაიწყებს ნადირობას), შეიძლება ის "ბოსტონ სელტიქსის" ლიდერი გახდეს.

*გაგრძელება მომდევნო ნომერში*

საჩუქრის ახალი ფორმა!
გსურთ გაუკეთოთ განსაკუთრებული საჩუქარი ახლობელ ადამიანს? გიჭირთ არჩევანის გაკეთება?
ვაჟა-ფშაველას 32
ტელ: 911991 877-791991



# ტერორიზმის სათავეები

## ნაწილი II



ჰასან-ი საბაჰი - "მთის მოხუცი"

**დასაწყისი იხილეთ წინა ნომერში**

ლაშა ბაქრაძე

### მითები ისლამურ ტერორზე

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში და დასავლეთში ტერორიზმის დიდი ტრადიცია არსებობს და მე-19 საუკუნის ბოლოს ევროპა ტერორის შიშით არანაკლებ ძრწოდა, ვიდრე დღეს (მე-19 საუკუნის ბოლო ათწლეულს ყუმბარების ათწლეულსაც უწოდებდნენ, ანარქისტები ახალი ტექნოლოგიებით - დინამიტით მუშაობდნენ. 1894 -ში მოკლეს საფრანგეთის პრეზიდენტი კარნო, 1901-ში ამერიკის პრეზიდენტი მაკკინლი), მაინც ტერორის მითოლოგიური ფესვების ძიება გვიყვარს.

მიღებული და ხშირად გამეორებული აზრია, რომ ისლამური ტერორი შუა საუკუნეების ისმაილიტებს და უფრო კონკრეტულად კი ასასინებს უკავშირდება. ალ-ისმაილია შიიტური ისლამის ერთ-ერთი მთავარი მიმდინარეობაა. იგი სათავეს იღებს შიიტთა შორის VII საუკუნეში მომხდარ განხეთქილებაში, როდესაც შიიტთა მეექვსე იმამმა ჯაფარ ას-სადიკმა თავის მემკვიდრედ უფროსი შვილი ისმაილი არ დაასახელა. ამ გადაწყვეტილებით უკმაყოფილო ისმაილის მომხრეებმა მეშვიდე იმამად ისმაილის ნაადრევად გარდაცლილი ვაჟი მუჰამედი გამოაცხადეს.

ისმაილიტები დროთა განმავლობაში, ხშირ შემთხვევაში ისევ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული უთანხმოებების გამო, მრავალ ჯგუფად დაიშალნენ.

ისმაილიტებმა ირანში, XI საუკუნის ბოლოს, სახელმწიფო, შექმნეს. მათი ცენტრი ლეგენდარული ციხესიმაგრე ალამუთი იყო, მათი ხელმძღვანელი კი არანაკლები საიდუმლოებით მოცული ჰასან ბინ ას-საბაჰი, სპარსულად: ჰასან-ი საბაჰი, "მთის მოხუცი". ირანელი ისმაილიტები - ნიზარიტები ბრძოლის ტერორისტულ მეთოდებს იყენებდნენ და შიშის ზარს სცემდნენ თავიან მტრებს. ჯვაროსნები მათ ასასინებს უწოდებდნენ, რაც ჰაშიშიუნ - ჰაშიშის მომხმარებელს უკავშირდება. სპარსელები მათ ჭეშმარიტი სარწმუნოებიდან განდგომილებად მიიჩნევდნენ და ერეტიკოსებს - ალ-მალაჰიდა (მხოლობითი: ალ-მულჰიდ) უწოდებდნენ. "ქართლის ცხოვრებაც" ამ სახელით იცნობს მათ: "არიან კაცის მკვლელნი მიპარვითა, რომელთა მულიდად უწოდიან."

ასასინ-მულიდთა საქმე მაშინვე ბურუსით იყო მოცული. თავის ასეთი გამეტება, არა მარტო გარდაუვალ სიკვდილზე წასვლა, არამედ სიკვდილის წყურვილიც კი, გაუგებარი იყო როგორც ქრისტიანთათვის, ისე მუსლიმანთათვის და უამრავ ლეგენდებს წარმოშობდა. ამას ხელს უწყობდა ისმაილიტთა დაფარული, ეზოთერიული მოძღვრება (ბატინ), რომელიც უცხოთათვის საიდუმლოდ რჩებოდა. უცხოთათვის ასასინ-მულიდები ან ნარკოტიკებით იყვნენ გაბრუებულნი, ან მარკო პოლოს თუ დავუჯერებთ, ეშმაკი "მთის მოხუცი" მათ ყალბი სამოთხით ხიბლავდა. ქართველი ჟამთააღმწერელი კი პირდაპირ ღვთისმშობელ მარიამის ჩარევას აბრალებდა იმას, რომ მულიდმა თავი თვითონ ამხილა და ამით მონღოლთა მიერ მათი ერთ-ერთი გენერლის მკლელობაში ეჭვმიტანილი ქართული ლაშქარი სიკვდილს გადაარჩინა, თორემ რატომ დაბრუნდებოდა პროფესიონალი ტერორისტი უკან? "დღესა ერთსა წარმოგზავნეს ალმუთელთა მულიდი ხელოვანი, მივიდა ღამით და შემოეპარა მცველთა ჩალატა ნოინისათა, შევიდა კარავსა მისსა, მძინარესა დასდვა დანა გულსა მისსა და მოკლა იგი, რომელ ვერავინ ცნა." შემდეგ იგი უკან დაბრუნდა ალამუთის მოალყეთა ბანაკში და განაცხადა, ჩალატა მე მოვკალიო - "მან ქუშტემ ჩალატა".

მონღოლებს, ქართული წყაროების მიხედვით, შვიდი წელი დასჭირდათ ალამუთის ციხის ასაღებად. ალამუთისთვის ბრძოლაში, მონღოლებისგან დაყმევებული ქართველებიც იღებდნენ მონაწილეობას მეფე ულუ დავითთან ერთად.

მონღოლებმა მაღალ, მიუვალ მთაზე აშენებული ციხესიმაგრისგან ქვა-ქვაზე არ დატოვეს. დღემდე უცნობია ალამუთის ზუსტი ადგილმდებარეობა. ვარაუდობენ, რომ კასპიის ზღვის სამხრეთში, ელბურსის მთების დასავლეთ ნაწილში უნდა ყოფილიყო სამ ათას მეტრზე მაღალ კლდეებზე აღმართული.

სპარსი ისტორიკოსის, მონღოლთა მემატიანის რაშიდ ად-დინის სიტყვით, როცა ჰულაგუ ყაენმა აღებული ციხე ნახა, იმ მთების სიდიადით აღფრთოვანებულმა "განცვიფრების თითზე იკბინა".

ალამუთის დაცემამ (1256 წ. ან 1258/1259 წ.) სიცოცხლეზე ხელაღებულ ტერორისტთა წვრთნის და აღჭურვის პლაცდარმი მოშალა.

ნიზარიტები კი ძირითადად ინდოეთში გადასახლდნენ. უფრო პატარა თემები მთელს აღმოსავლეთშია მიმობნეული, მაგრამ ისინი ტერორისტული აქტიურობით არ გამოირჩევიან.

ზოგიერთი მკვლევარი ტერორიზმის ნამდვილ, უფრო ღრმა, იდეოლოგიურად უფრო მტკიცე და სერიოზულ ფესვებსაც პოულობს ისლამში, და კერძოდ, შიიტურ ისლამში.

### აშ-ში´ა და წამებულთა კულტი

მუჰარამის თვის მეათე დღეს, ჰიჯრის 61 წელს, ჰუსეინ ბენ ალი, მისი ძმა აბასი და ყველა, ერთგული 70 თანამებრძოლი ბევრად უფრო მრავალრიცხოვან, ხალიფა იაზიდის ჯართან უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა. ეს მოხდა დღევანდელ ერაყში, იქ, სადაც შემდეგში ქალაქი ქერბალა აღმოცენდა - შიიტთა ერთ-ერთი მთავარი სალოცავი და პილიგრიმობის ადგილი. შიიტებისთვის ჰუსეინი "უდიდესი მოწამეა", წამებულთა მეფე (შაჰ-ი შუჰადა) და მისი სიკვდილის დღე ყველაზე დიდი გლოვის დღეა (აშურა - მეათე დღე). შიიტურ ისლამსა და ქრისტიანობას შორის, ჩვენი მაცხოვრის ჯვარცმითა და წამებული წმინდანების კულტით, ბევრი პარალელის მოძებნაა შესაძლებელი.



საუდის არაბეთის დროშა წარწერით "არ არის ღმერთი თვინიერი ალაჰისა და მუჰამედია მოციქული ალაჰისა (ლა ილაჰა ილლა ლლაჰუ ვა მუჰამადუნ რასულუ ლლაჰ)". მუსლიმური რწმენის ამ ფორმულას შიიტურ ისლამში აქვს დამატება "ალი ახლობელია ალაჰისა (ალი ვალი ალლაჰ)".

ყოველ წელს მუჰარამის პირველ ათ დღეს იმართება მისტერიები (თაზია), რომლებიც ადამიანებს ჰუსეინისა და მის თანანებრძოლთა მოწამებრივი აღსასრულის ისტორიას ახსენებს. ამ დღეებში მეჩეთებში, მედრესეებში, ჰუსაინიებში (ასეთ თავყრილობათა მოსაწყობი შენობები) ეწყობა როუზეხანა - კრებები, სადაც კითხულობენ წამებულთა ამბებს. სამგლოვიარო დღეთა კულმინაცია, რასაკვირველია, მუჰარამის ათია (აშურა). კითხვის, დადგმებისა და მსვლელობების დროს, რომლის მონაწილენიც თავს სასტიკად იგვემენ, ისმის ხმამაღალი ტირილი და შეძახილები - ალი! ჰუსაინ! შაჰ-სეი, ვაჰ-სეი! ანუ შაჰიდ (მოწამე) ჰუსეინ, ვაი ჰუსეინ!

1323 წლის წინათ დატრიალებული ტრაგედია არის სათავე შიიტური ხსნის რწმენისა, რომლის დედა-აზრი თავგანწირვა, თვითმსხვერპლშეწირვაა.

შიიტების (ანუ ალის მომხრეთა ან ალის დასის, პარტიის) ყველა სულიერი მამა თუ წინამძღოლი წამებული და მსხვერპლია. მოციქული მუჰამედის სიკვდილის (632 წ.) შემდეგ მისი მემკვიდრეობის გამო დიდი განხეთქილება მოხდა. მედინაში, არაბული თემის წესისამებრ, მუჰამედის უახლოესი თანამებრძოლი და სიმამრი, მოციქულის უსაყვარლესი ცოლის - აიშას მამა, აბუ ბაქრი აირჩიეს მეთაურად - ხალიფად ("მოადგილე", ამ შემთხვევაში ალაჰის მოციქულის შემცვლელს გულისხმობს). ალი იბნ აბი ტალიბს, მუჰამედის ბიძაშვილსა და მისი ქალიშვილის ფატიმას ("ბრწყინვალეს") ქმარს, ხალიფობაზე თავისი პრეტენზიები ჰქონდა. ალი გახდა კიდეც ხალიფა, მაგრამ აბუ ბაქრის და მეორე ხალიფა ომარი სიკვდილის და მესამე ხალიფა ოსმანის მოკვლის შემდეგ. მეოთხე და უკანაკნელი "მართლმორწმუნე ხალიფა" ალი ყველამ არ ცნო. სამოქალაქო ომში მუსლიმები ორ დიდ ბანაკად გაიყვნენ: ალის მომხრეებად (ში'ა) და მოწინააღმდეგეებად, სუნას, ანუ "სწორი გზის", ადათის, ტრადიციის მიმდევრებად. ალი 657 წელს ევფრატის მარჯვენა ნაპირზე მომხდარ გადამწყვეტ ბრძოლაში იმარჯვებდა, როცა მისი მთავარი მოწინააღმდეგის, სირიის გამგებელი მუავიას მომხრეებმა შუბის წვერებზე ყურანის ფურცლები აღმართეს, რითაც ალის არმიას მოუწოდეს წმინდა წიგნის საფუძველზე მშვიდობიანად მოეგვარებინათ დაპირისპირება. ალი დათანხმდა, რაც მის ბანაკში ახალი განხეთქილების მიზეზად იქცა. თორმეტმა ათასმა იმედგაცრუებულმა მეომარმა ბანაკი მიატოვა და ამით ახალ ისლამურ მიმდინარეობას დაედო საფუძველი. მათ ხარიჯიტები ("გამოსულები", "ამბოხებულები") ეწოდათ. ისინი თავს ყველაზე ჭეშმარიტ მუსლიმებად თვლიდნენ და ალისაც ებრძოდნენ და მის მოწინააღმდეგეებსაც. სწორედ ხარიჯიტმა იბნ მულჯამმა მოკლა 661 წელს ქუფის მეჩეთში ალი. ალი დაკრძალეს ქუფის ახლოს, სადაც შემდეგში ქალაქი ნაჯაფი აშენდა, შიიტთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი.

როგორც კი, ხალიფა მუავია გარდაიცვალა, ალისა და ფატიმას უმცროსი ვაჟი ჰუსეინი ალის მომხრეებმა ქუფაში მიიწვიეს ახალი ხალიფა იაზიდის წინააღმდეგ აჯანყების სახელმძღვანელოდ. თავის ერთგულ თანამებრძოლებთან ერთად მექიდან გამგზავრებულმა ალიმ უკვე გზაში შეიტყო აჯანყებულთა დამარცხების ამბავი, მაგრამ უკან აღარ გაბრუნდა და ბედისწერას მიენდო.

სუნიტები ოთხივე ხალიფას აღიარებენ, შიიტები კი - მხოლოდ ალის. ალი ამავე დროს შიიტთა პირველი იმამიცაა, პირველი 12 იმამს შორის, რომელთაგან არცერთი ბუნებრივი სიკვდილით არ გარდაცვლილა. შიიტების უმრავლესობას სწამს (შიაც უამრავ სხვადასხვა ჯგუფად და თემად დაიშალა, დროთა განმავლობაში), რომ მეთორმეტე იმამი გაუჩინარდა, "ფარულ" იმამად იქცა, დაბრუნდება როგორც მაჰდი ("ალაჰის გზით მავალი", მოციქულის საქმის უკანასკნელი გამგრძელებელი), ტირანიას დაამარცხებს და ქვეყნად სამართლიანობას აღადგენს. ეს შიიტური მესიანური იდეა საფუძვლად უდევს აიათოლა ხომეინის მიერ შემუშავებულ ვილაიათ-ე ფაყიჰ (არაბ.: ვილაიათ ალ ფაკიჰ)-ის ინსტიტუციას, რომლის მიხედვითაც, რადგანაც ისლამურ მმართველობაში სასულიერო და საერო ფუნქციები განუყოფელია, მმართველი იმამის მოვალეობას ასრულებს და ის "ფარული" იმამის წარმომადგენელია. აიათოლა ხომეინიმ ეს შიიტური ვნების თეოლოგია ერაყთან ომის დროს გამოიყენა, როგორც უკანასკნელი რეზერვი ომში. ჯარისკაცებს უნერგავდნენ, რომ მათ, როგორც იმამი ჰუსეინის მიმდევრებს, ღმერთისკენ გზაზე სიკვდილის შიში არ უნდა ჰქონოდათ, პირიქით სიკვდილი უნდა ეძებნათ. ქერბალასთან დაღუპულთა არა ვაჟკაცობის, არამედ უპირველეს ყოვლისა მათი ტანჯვისა და მოწამებრივი სიკვდილის იდეალიზაცია ხდებოდა.

ხომეინიმ შექმნა ბასიჩი-ე მოსტაფანის (დაახ.: ჩაგრულთა შორის მობილიზირებულნი) მოძრაობა, რომელშიც მოხალისეებად ნებისმიერი ასაკის ადამიანებს იღებდნენ. მოწამებრივი სიკვდილის იმედით ისინი დანაღმულ ველებს წმენდნენ ან მტრის ამბრაზურებზე ეფარებოდნენ. ხომეინიმ ათი-ათასობით ბავშვი-ჯარისკაცი გამოიყვანა ამ ომში. მათ პლასტმასის გასაღებს კიდებდნენ ყელზე, სამოთხის ბჭეთა გასაღებად. ჯარისკაცთა და მოხალისეთა თავგანწირვამ გადაარჩინა ირანი სამხედრო თვალსაზრისით ბევრად უფრო ძლიერ ერაყთან დამარცხებას.



აშურას დღესასწაული კავკასიაში. მე-19 საუკუნის გრავიურა



აშურა დღეს ქერბალაში

ერაყთან ომში მოწამებრივად აღსრულებულთა კულტის ნაშთებით დღესაც სავსეა ირანი. სახლების კედლებზე ამ გმირთა უზარმაზარი სურათებია დახატული, ხშირად სწორედ მოწამებრივად აღსრულების მომენტში. ჩამოგდებული თვითმფრინავები, განადგურებული ტანკები, წითელი ტიტების ჩარჩოები გმირებს რომანტიკულ და სევდიან ელფერს სძენენ. თეირანის ყველა დიდ ავტოტრასას რომელიმე შაჰიდის სახელი ჰქვია.

მე-13 საუკუნის დიდი არაბული ლექსიკონის "ლისან ალ არაბ"-ის ავტორი იბნ მანდური, სიტყვა "შაჰიდის" უაღრესად დაწვრილებით ახსნის სულ ბოლოს დღეისთვის აქტუალურ განმარტებას იძლევა: შაჰიდი არის ღმერთისა და სარწმუნოებისთვის მოკლული. ის მხოლოდ ფიზიკურად კვდება. მისი სული ცოცხალია და თანაც ღმერთის სიახლოვეში იმყოფება. იმის ასახსნელად, რომ შაჰიდი იშვიათი და განსაკუთრებული მოვლენაა, იბნ მანდური მოციქული მუჰამედის შესახებ ერ-ერთი გადმოცემიდან ციტატას იშველიებს, რომ წამებულთა სულები სამოთხის მწვანე ჩიტების ყრონტში ცხოვრობენ.

შაჰიდს გარანტირებული სამოთხე ელოდება, რომელშიც ის ისლამური განსაწმენდელის გვერდის ავლით მოხვდება და გადაურჩება სიკვდილის ანგელოზების მუნქარისა და ნაქირის მიერ დაკითხვას. მას ეპატიება ყველა მიწიერი ცოდვა და სამოთხეში უმაღლეს საფეხურზე (დარ აშ შუჰადა) მოხვდება, ალაჰის ტახტთან. იმასაც ამბობენ, რომ შაჰიდები ერთადერთნი არიან სამოთხეში მოხვედრილთა შორის, რომლებსაც მიწაზე დაბრუნება უნდათ, რადგანაც იმ სიამოვნებებისთვის, რომლებიც მათ სამოთხეში ერგოთ, ისინი მზად არიან კიდევ ათჯერ გაუძლონ წამებას.

თვით მოციქული მუჰამედი ეჭვის თვალით უყურებდა ზედმეტად სამოთხემონდომებულებს, ნაძალადევ შაჰიდებს. მოციქულს ასეთი დიალოგი მოჰყავს მაგალითად - "მკვდარი: მე სარწმუნოებისათვის ვიბრძოდი, სანამ არ მომკლეს. ღმერთი: მატყუარავ, შენ იბრძოდი ყურადღების მისაპყრობად. ანგელოზო, წაიყვანე ეს კაცი და ჩააგდე განსაწმენდელის ცეცხლში!"

ტრადიციული ისლამური თეოლოგია ყოველთვის ეჭვით უყურებდა სიკვდილის სურვილს, რადგანაც თვითმკვლელობა დიდ ცოდვად ითვლება. ამიტომ მშვიდობიანი მოვალეობები - მარხვა, ლოცვა, ყურანის კითხვა მოწამებრივ აღსასრულს უტოლდება.

საერთოდ, დროთა განმავლობაში შაჰიდის მნიშვნელობა გაფართოვდა. განსაკუთრებით ირანში შაჰიდობა პირდაპირ ინფლიაციას განიცდის. სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს გარდაცვლილი მოხელე ან თვიმფრინავის ავარიის მსხვერპლი შეიძლება შაჰიდად გამოცხადდეს.

ეს ირანში, ერაყთან ომის გაჭირვების გამო გამოცოცხლებული და შიიტური ისლამისთვის დამახასიათებელი წამებულთა კულტიდან აღმოცენებული შაჰიდი თვითმკვლელის იდეა 80-იან წლებში, მთელ ისლამურ აღმოსავლეთს მოედო მიუხედავად იმისა, რომ სუნიტური ისლამისათვის წამება და საკუთარი თავის მსხვერპლთშეწირვა უცხო იყო.

თანაც, ომის ეს ახალი მეთოდი ირანიდან არ გავრცელებულა და არც არაბები იყვნენ პირველი თვითმკვლელი ტერორისტები ახლო აღმოსავლეთის უახლეს ისტორიაში. ქარი სულ სხვა შორეული ქვეყნიდან ქროდა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



პილიგრიმი გოგონა ალის სურათით



ქერბალა. ჰუსეინის მეჩეთი

გამოსათხოვარი

## მშვიდობით, მერაბ!



ლოცვებს აღვავლენთ მისი უკვდავი სულისათვის და შევთხოვთ ღმერთს, აცხონოს იგი და დააწესოს სავანესა მართალთასა, ამგვარი გამოსათხოვარი სიტყვებით გვინდა, მოვეფეროთ მერაბ ჯაფარიძეს, მებო ო`ნელს, ეს მისი ფსევდონიმია. 1952 წლის 20 აპრილის მშვენიერ დღეს საქართველოს ულამაზეს კუთხეში, რაჭაში დაიბადა მერაბ ჯაფარიძე. პროფესიით რეჟისორი - წლების განმავლობაში მუშაობდა ტელევიზიაში ლიტერატურისა და ხელოვნების რედაქციაში. პოეზიაზე უზომოდ შეყვარებული, თავად მრავალი კრებულის ავტორი, უცხოეთში ხანგრძლივი დროით გადახვეწილი, ადამიანებთან ურთიერთობის გასაოცარი უნარით იყო დაჯილდოებული. ევროპაში გადახვეწილ თანამემამულეთა გამაერთიანებელი, რომელმაც ქართულ-გერმანულ კულტურულ ურთიერთობათა ხელშემწყობი საზოგადოება “ოქროს საწმისი” დააარსა. იყო ევროპელ მწერალთა ორგანიზაციის “კოგეს” წევრი. სულის საოხად მხატვრობასაც მიჰყო ხელი, ყველაფერმა ქართულმა მის პოეზიას ტკივილისა და მონატრების მოტივი მისცა. სნეული, სამშობლოში დაბრუნებული ვედრებას აღავლენდა უფლისადმი.

“ცა აღარ მინახავს
უკვე რა ხანია
ვერც ტყეს და ვერც მინდორს
მოვკარი თვალი
და მაინც მოვდივარ
და მაინც ვსულდგმულობ
უფალო, მე შენი ძალით
გული მიმქრალი ნაღვერდალი
შენეულ სასწაულს ელის
მაჩუქე! მაჩუქე უფალო
სულ რამდენიმე წელი.

რა უძლურნი ვართ სიკვდილის წინაშე, არაფერი ყოფილა ისე მწარე და მტკივნეული, როცა იცი, რომ ასეთი ადამიანი უკვდება მშობელ ერსა და მის საახლობლოს. ნათელში იყოს მისი სული მზეგადასულთა საუფლოში.

საზოგადოება “ოქროს საწმისი” გერმანია.

# სამშობლო

რუსუდან რუხაძე

### მე არ დავცინი ქვევრს

იყო დრო, როდესაც ქართველებს იმდენი ცერცვი მოჰყავდათ, რომ დაჟინებით კედელსაც კი აყრიდნენ, დოს უმარილობით იწუნებდნენ და ნიახურის მახლობლად სანაქებო ხარს ანავარდებდნენ...

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. დრო, რომელიც ყველაფრის მკურნალი იყო, "ფიტომალმა" შეცვალა, თავის მოკვეთა - კბილის მოკვეთამ. ისიც იმ შემთხვევაში, თუ ბაბუას ქლიავი აქვს ნაჭამი. ნემსისა და აქლემის ქურდებს აღარაფრის ეშინიათ. იციან, რომ ციხე ისევ შიგნიდან ტყდება.

ახლა, როცა მწყერმა როგორც იქნა ხეზე შეჯდომა გადაწყვიტა, ტყეში ხე აღარ არის. სწორედ ახლა გამოვლინდა ყველაზე ნათლად ტყის მკვიდრთა ვნებანი და საქმე იქამდეც მივიდა, რომ ყვავი ჩხიკვის მამიდაც კი აღმოჩნდა.

რაღა ხარების უკვირთ, აბა, დააბი კაცი კაცთან და მერე ნახე ზნისა და შესაბამისად ფერის შეცვლაც. ახლა კი მივხვდი, რას ნიშნავს წინა კაცი უკანა კაცის ხიდიაო. მერე დაიწყება წყალწაღებულთა ხავსზე მოჭიდება და თავის დაიმედება, რომ პატარძალი ბწკენა-ბწკენით ფეხმძიმდება.....

...მითხრეს, საქართველო ის ქვეყანა იყო, რომელიც ზღვის პირას მდებარეობდა და ნაოსნობა არ იცოდაო. ალბათ, ეშინოდათ ქართველებს რომ ზღვა კოვზით დაილეოდა.

არა მგონია, დავითას თავისი თავით მოსვლოდეს ის, რომ მოქანდაკეს ცხენი უკეთესი გამოუვიდა, ვიდრე მეფე. ცხენი კი მხოლოდ იმიტომ არის კარგი, რომ მათრახს არ ირტყამს.

მე არ დავცინი ქვევრს, რომ იგივე არ დამემართოს და რასაც ჩამძახებენ, იგივე არ ამოვძახო. მე არც მღვდელი ვარ და არც მღვდლის ცოლი. უბრალოდ, კარგი მთქმელი ვარ და კარგი გამგონე მინდა. მე თავი მტკივა, იმიტომ რომ არ ვარ სიფრთხილე, მაგრამ ჩემი გული ისევ გულობს და ქადას ორი ხელით მივირთმევ.

*1997 წელი*



### იგრძენი შენი მოედანი!

თუ ყველაფერში რიგითი ხარ, ნუ გექნება იმის იმედი, რომ სადმე ურიგოდ გაგიშვებენ. თუ გსურს, ოდნავ გამორჩეული იყო, ის წიგნები მაინც უნდა გქონდეს წაკითხული, რომელსაც "რჩეული" აწერია. ვილაცას შენი "ჯინი" უნდა სჭირდეს, ნაყინში რომ უსახური სათამაშო ჩაგიდოს. დილით სახლიდან გასვლისას, ის მაინც უნდა იცოდე, იმ დღეს მაღალი წნევის არეში მოგიწევს მოღვაწეობა, თუ დაბალი წნევის ქვეშ დაგეკარგება საკუთარი სიმაღლის შეგრძნება.

შენ იქნებ ვერასოდეს გაიგო შენი თავის ფასი, მაგრამ დღეს უკვე შეგიძლია იცოდე, რა ღირს ჟვანიას ჰალსტუხი. იმის მიხედვით, თუ სად გიძრახვენ, მიხვდები, ვინ არის შენი მტერი და ვინ - მოყვარე. შენ ხომ ურჩი ხარ, როგორც გადამხდელი, და მორჩილი, როცა მზის აფეთქებაც არ შველის შენი გაყინული ხელფასის გალღობას.

უზმოზეც ეწევი "პრეზიდენტს" და იცი, რომ ის დაბალი კლასის სიგარეტია. თუმცა, ეს შენ ნაკლებად გაღელვებს, რადგანაც მისი სახელი არასოდეს ყოფილა შენთვის ხარისხის ნიშანი. როდესაც გშია, მხოლოდ მაშინ ფიქრდები, როგორი შორია მაღალმთიან საძოვრებამდე.

თითქმის ყოველდღე უსმენ საინფორმაციო გამოშვებებს და იმდენს მაინც ხვდები, რომ ამინდი არ იცვლება. ალაგ-ალაგ ცვალებადი მინისტრების უკან იმალება მზე. ფიქრობ ამაზე და მთვარეულივით დაეხეტები ოთახიდან ოთახში, იცი, რომ დილიდან იგივე დაიწყება.

დროულად გესმის მსაჯის სასტვენის ხმა და ხვდები, რომ ფეხბურთის ყურება სჯობდა ხასიათის გაფუჭებას. თავს იმხნევებ და, ალბათ, შენს ცხოვრებაში ერთ-ერთ მართებულ გადაწყვეტილებას იღებ: ხვალინდელი დღე სხვაგვარად დაიწყო. გადააბიჯე ზღურბლს, შენ ხომ მეკარე არა ხარ, იგრძენი შენი მოედანი და ნუღარასოდეს დაფიქრდები, თუ რატომ არის ბურთი მრგვალი.

*2000 წელი*

### ცხოვრება გონი-ერისა

სამკუთხედს სად უქნია კარგი, აქ რომ ექნა: ან ბერმუდა არ გაახსენდათ, ან მეზობლების მიერ ქირქილით ნათქვამი "**классический треугольник**"-ო და სიამტკბილობით ნაშენი ოჯახები სიამედ (იქა) და ტკბილობად (აქა) რომ იყოფოდა?! ქალაქის ერთ-ერთი მთავარი არქიტექტორი ამ რამდენიმე წლის წინ მეუბნებოდა, ეპოქალურ ძვრებს წლები კი არა, საუკუნეები სჭირდებაო (რა თქმა უნდა, კომპეტენციისა და არქიტექტურის ფარგლებში). ჰოდა, სტრესში (ციხე რომ არ ერქვას) იქნება ეს კაცი, აბა, სხვაგვარად როგორ, სულ ერთ წელიწადში გადაბრუნდა ქვეყანა. რა ვიცი, მე მაინც იქა ვარ, რომ ჯანდაცვის მინისტრს მარტო ჯანმრთელობა არ უშველის, ისევე როგორც განათლებისას - განათლება. ამ ეკონომიკის მინისტრზე კი ზოგს საქართველოც კი ახსენდება, ილია და აკაკი რომ აერია ნათელაშვილს, ზუსტად იმ საკითხთან მიმართებაში. ეს ჩვენი მემარჯვენეები ამერიკელ მემარცხენეებს დაუმეგობრდნენ, ერეკლეს ამდენჯერ შეწუხება კი აბა, რა საკადრისია... ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას ისევ უშიშროება ჰქვია, პუტინს - ვლადიმირი, ვიმეორებ ვლადიმირი, "ფრანციას" - "ფრანცია" (ასეთია "არქსტუდიას" პირობა, ყოველ შემთხვევაში).

"პროცესები შეუქცევადია", ეს მაინც დაეჯერება იმ კაცს - "წავალ, ბატონო, სულ წავალო" - ერთი წლის წინ რომ გვითხრა და წავიდა. სწორედ ამ შეუქცევადობის იცვლება გონი-ერის ცხოვრება, ასე მაგალითად, დეფიციტი პრეფიციტით, ჰიმნი თავის მუსიკით და ტექსტით. დაწყება მიჭირს, თორემ მეც არაუშავს ლექსებს ვწერ. მაგრამ მაინც აღარაფრის დაწერა არ მინდა. რეზო გაბრიაძისა არ იყოს, "ჩავფიქრდები, დავხედავ ქაღალდს და გამახსენდება, რომ მას ხისგან აკეთებენ... ეს აზრი იმწამსვე მიკარგავს წერის ხალისს... დე, ჩემმა წილმა ტყემ იშრიალოს. მე კი იმ ტყეში ჰამაკში ჩავწვები და წავიკითხავ ილიას, ავრელიუსს, ლეონიძეს..."

*2004 წელი*

სკანვორდი



## TV პროგრამა

18 ოქტომბერი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.50** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** სერიალი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** პერეკროსტიკი **18.20** "ჯეტიქსი" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.40** პატრული **19.50** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** თამაში "ყველაზე ჭკვიანი" **23.00** დოკ. ფილმი (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "ტურბულენტურობა-2: ფრენის შიში" (18) (კრეგ შეფერი) **02.10** პატრული

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.05(შვეიცარია), 02.35(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.00** ინტერპოლი. ბრძოლა დამნაშავეობის წინააღმდეგ. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **11.05** ზიგ-ზაგ კაფე. **15.35** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** დიდი ბედნიერება. მხ. ფილმი. რეჟისორი ერვე ლერუ. 2003. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** გადაცემა: თალასა. **22.15** ციხე სიმაგრეების ისტორია. **23.00** გადაცემა: თვალსაზრისი. სელინ დიონი. **04.20** ეს იყო ომი. ტელესერიალი.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.40** მულტსერიალი "მარსუპილამი" **10.00** "იმღერე რამე" **10.30** მხ. ფილმი "მაცივარში ვილაც იჯდა" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **13.00** კონცერტი **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.30** დოკ. ფილმი "ლეგენდარული თვითმფრინავები" **15.20** "ფორტუნა" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** სერიალი "უშიშრები" **16.30** ფრაგმენტები სურათისთვის **17.00** მულტსერიალი **17.25** ჩემი მშვენიერი ლედი **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "ზღვის რაჯა" მე-2 ს. **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **22.00** ღამის მატარებელი **00.00** მხ. ფილმი "ჩემებრ ლამაზი გოგო" (გ)

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** ქართული ესტრადის ვარსკვლავები **13.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **20.00** ვიპ-შოუ **21.00** ქართული ესტრადის ვარსკვლავები **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** "კენო" **23.00** დებატები 202-ზე

### კავკასია

**12.00** საბავშვო პროგრამა "ინკოგნიტო" **13.00** ვარსკვლავები გვამცნობენ **14.00** ინდ. მხ. ფილმი "სიყვარულით გაგი:ებული" (გ) **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** სერიალი "მილედი" **19.20** სპექტრი **21.00, 00.30** ქართული მუსიკა **22.30** "საქმე და ეკონომიკა" **23.00** სერიალი "ნარჩიტა მომღერალი ჩიტია"

### მზე

**09.00** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **09.30** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **10.30** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ვუპი" **11.35** ერთი ჟურნლისტის მზერა. ლ. კოღუაშვილი. "სახლი" **12.05** ტელეჟურნალი "დები ტრევისის საოცარი სახლი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** "ფარული კამერა" **14.45** "მუსიკა მზეზე" **15.00** სერიალი "მარია ემილია" **16.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ფარული კამერა" **17.50** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.20** ტელეჟურნალი "სცენა" **19.05** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "ვუპი" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "მე ვრჩები" (15) (სოფი მარსო)

**18.00** მინისერიალი "მგლების შვილი" 1-ლი ს. **19.40** დოკ. ფილმი **20.40** კონცერტი **22.15** მხ. ფილმი "ალვარი პლუს პოლუქსი" (15)

### მეორე არხი

**19.00** საქ. პარლამენტის მაჟორიტარ კანდიდატთა შუალედური არჩევნები **20.00** მულტფილმი **20.25** "იმღერე რამე" **20.50** სერიალი "უშიშრები" 1-2 ს. **21.40** "ფრაგმენტები სურათისთვის" **22.10** ბასტი-ბუბუ **22.25** ფორტუნა **22.55** მხ. ფილმი "ხაფანგი თანამდებობის სახით" (გ)

### იმედი

**07.00** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **07.30** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** ანიმაციური ფილმი "სანდოკანი - მალაიზიის ვეფხვი" **08.25** "იმედის" დილა **09.20** "აქტიორი" **10.05** სერიალი "ტყუპები" **11.15** დროება **12.40, 16.25, 02.40** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "დიდი ზომა" (გ) **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 02.30** ქრონიკა **15.20** სერიალი "კლონი" **16.40** დოკ. სერიალი "საზღვაო ისტორიები" **17.25** ვაკაჭი-ნიუსი **18.05** სერიალი "ტყუპები" **20.00** სერიალი "კლონი" **20.55** სერიალი "ყავა და ლუდი" მე-3 ს. **22.50** საქმე ტ **23.20** "არჩევანი თქვენ" **00.35** სპ. პროგრამა "გოლი" **01.00** "აქტიორი" **01.35** სერიალი "ნეშ ბრიჯესი" **03.10** იმედის მელოდიები

### ОРТ

**Профилактические работы 12.00, 15.00, 19.00** Новости **12.10** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.00** Джим Керри в комедии **"БРЮС ВСЕМОГУЩИЙ". 15.20** "Угадай мелодию" **15.50** "Последний герой". Суперигра**. 17.00** “Пять вечеров”. Понедельник**. 18.00** Вечерние новости**. 18.20** "Пан или пропал". Поединок с Николаем Фоменко**. 19.00** Сериал **"КЛОН". 20.00** Жди меня**. 21.00, 00.30** Время**. 21.30** Сериал **"МОСКОВСКАЯ САГА". 22.40** Спецрасследование. “Опасный возраст.ru”**. 23.50** "Фабрика звезд"**. 00.10** Искатели. “Славянская Троя”**. 00.40** Алена Свиридова в программе “Русский экстрим”**. 01.10** Ион Скай в комедии **“ПРИНЦ ИЗ СНОВ”. 02.50** Харви Кейтел в фильме **“СВЯЩЕННЫЙ ДЫМ”. 04.50** Сериал "Специальное подразделение II"**.**

### НТВ

**06.00** “Сегодня утром”**. 09.05** Сериал **“БЕЗ СЛЕДА: УЛИЦА КЛЕНОВ”. 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.30** “Сегодня” **10.20** Криминальная Россия**. 10.55** Сериал **“АГЕНТ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ-5: ДВЕ МОНЕТКИ”. 13.35** Сериал **“АДВОКАТ: ДЕЛО ПРОСТЫХ ЛЮДЕЙ”. 15.35** Чрезвычайное происшествие**. 16.20** Ток-шоу “Принцип домино”**. 17.25** Сериал **“КАМЕНСКАЯ: НЕ МЕШАЙТЕ ПАЛАЧУ”**. Часть 1-я**. 18.35** Чрезвычайное происшествие**. 19.40** Сергей Маховиков в сериале **“СЛЕПОЙ”. 1**-я с**. 20.50** Сериал **“КОДЕКС ЧЕСТИ”. 22.00** “Страна и мир”**. 22.40** Сериал **“СЕКС В БОЛЬШОМ ГОРОДЕ”. 23.20** “Школа злословия”**. 00.40** Премьера. К юбилею Л.Яшина. “Лев Яшин. N1”**. 01.45** Сериал **“СКОРАЯ ПОМОЩЬ”. 02.35** Бильярд**. 02.55** Питер Уэллер в боевике **“СТИКС” 004.30** Сериал “Дикий мир. Борьба за выживание: акулы юрского периода”**. 05.15** Сериал **“СУПЕРШПИОНКИ”**.

# ქართული ფოლკლორი გერმანიაში

გერმანიაში საქართველოს საელჩომ ორგანიზება გაუწია ქართული ფოლკლორული გუნდი "ნეკრესის" კონცერტების მოწყობას გერმანიის სამ ქალაქში: ბერლინში, შტუდტგარტსა და მიუნხენში. გუნდი "ნეკრესი" 2000 წელს ჩამოყალიბდა ნეკრესისა და ჰერეთის მიტროპოლიტ სერგი (ჩეკურიშვილის) ინიციატივით. 2002 წელს ანსამბლმა დიდი წარმატებით იმოგზაურა საფრანგეთში, სადაც გაიმართა კახეთის კულტურის დღეები. 2002 წლის მაისში "ნეკრესი" წარმატებით მონაწილეობდა საქართველოს ფოლკლორულ ფესტივალზე, სექტემბერში ანსამბლს კონცერტები ჰქონდა საბერძნეთში, ათენში სადაც ჩაიწერა პირველი დისკი.

ანსამბლ "ნეკრესის" რეპერტუარში წარმოდგენილია საქართველოს სხვადასხვა კუთხის ფოლკლორული ნიმუშები, როგორც სიმღერით, ასევე ქორეოგრაფიითა და ხალხურ საკრავებზე შესრულებით.

ანსამბლის გერმანიაში კონცერტების ორგანიზებაში საქართველოს საელჩოს დაეხმარა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ბრანდენბურგ-საქართველოს საზოგადოება, დიაკონიის ევანგელური საზოგადოება ბეთელი, შტუდტგარტის ქართველი სტუდენტობა, ორგანიზაცია: Kulturring in Berlin, რუმინეთის მართლმადიდებელი მონასტერი ნიურნბერგში.

გუნდი "ნეკრესის" პირველი კონცერტები გერმანიაში შემდეგ მისამართებზე ჩატარდება:

**სამშაბათი,**
**19 ოქტომბერი, 19.00 საათი**
Diakoniegemeinschaft Bethel e.V., Amselstraße 4, 14195, ბერლინი

**ოთხშაბათი,**
**20 ოქტომბერი, 19.00 საათი**
Kulturforum Hellersdorf, Carola-Neher-Straße 1, 12619, ბერლინი

**ხუთშაბათი,**
**21 ოქტომბერი, 19.00 საათი**
Ev. Segenskirche, Sch nhauser Allee 161, 10435, ბერლინი

**პარასკევი,**
**22 ოქტომბერი, 15.30 საათი**
Gemeindesaal der Ev. Auenkirche Wilmersdorf, Wilhelmsaue 118 a, 10715, ბერლინი

**პარასკევი,**
**22 ოქტომბერი, 19.00 საათი**
St. Johannes Kirche, Seilerplatz 2, 15517 Furstenwalde

**შაბათი,**
**23 ოქტომბერი, 17.00 საათი**
Jugendhaus, Giebelstr. 15, 70499, შტუდტგარტი

**კვირა,**
**24 ოქტომბერი, 17.00 საათი**
Kirche St. Jakob (nahe U-Bahnstation Weisser Turm), Nu-rnberg-Mitte "sudwestliche Altstadt"

კონცერტების შესახებ ინფორმაცია ასევე შეგიძლიათ ნახოთ საქართველოს საელჩოს ინტერნეტის გვერდზე: **www.botschaftvongeorgien.de**







თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

საინფორმაციო ტექნოლოგიების
ცენტრი „მზიური“
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

**არის თუ არა მოსახლეობა მზად მოახლოებული ზამთრისათვის?**

საქართველოს გააჩნია საკუთარი ენერგორესურსი, რომ დააკმაყოფილოს მოსახლეობის მოთხოვნები.

ეს არის ნახშირი, იდეალური საწვავი, რომელსაც აწარმოებს ქარხანა დამონტაჟებული უცხოური ინვესტორების მიერ ქ. ტყიბულში. ჩვენი სამთო-სამრეწველო კომპანია გთავაზობთ გამდიდრებულ, ხარისხიან პროდუქციას. ცნობილია, რომ ნახშირი გამოიყენება როგორც დიდ ქარხნებისათვის ასევე საყოფაცხოვრებო ობიექტებისათვის (სკოლები, საავადმყოფოები, სახლები, ღუმელები და ა.შ.).

**შეიძინეთ ნახშირი იაფად ქ. ტყიბულში. შეიძლება ადგილზე მიტანაც.**

საკონტაქტო ტელეფონები: 99-68-26 / 92-37-43










## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.